# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 6 თებერვალი 2001 №18 (1291) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, შვილი: იაშვილი!

## დიდი ფრანგი მორაგბის ვაჟმა საქართველოს ამსტერდამში გათელილი ტიტები უძღვნა



გრეგუარ იაშვილი

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური. 4 თებერვალი

NEDERLANDSE RUGBY BOND

### ჰოლანდია 3:32 საქართველო

ამსტერდამი. რაგბის ეროვნული ცენტრი. 1200 მაყურებელი

*საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მძლავრად დაიწყო „ევროპის ერთა თასის“ გათამაშება, რომელიც, ამავდროულად 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიც გახლავთ. „ბორჯღალოსნებმა“ ტურნირის საწყის მატჩში ამსტერდამში 32:3 დასცეს ჰოლანდია. „ტიტების“ რბევა ტომით ქართველმა, დიდი ფრანგი მორაგბის, მიშელ იაშვილის ვაჟმა, ისტორიული სამშობლოს სამსახურში ახლახან ჩამდგარმა და პირველი ბორჯღალის მიმთვლელმა, 23 წლის გრეგუარ იაშვილმა ლელოთი დაიწყო. ქართველებმა კიდევ სამი ლელო, სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანეს, საპასუხოდ კი ერთადერთი საჯარიმო მიიღეს.*

იხილეთ მეცამეტე გვერდი

**2**

### ჩემი დინამო ჩემთან!

შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ შემთხვევის ადგილი მოინახულა

**3**

### დინამოს აყირავებული მოლოდინი: არავითარი 50%

გრიგორი სურკისი თბილისის „დინამოს“ არაფერს პირდება

**6**

### ძე და შვილები ქართველთა

ქართული ტრიოს „ფრაიბურგმა“ ლევან კობიაშვილის პენალტით არჩილ არველაძის „კიოლნს“ მოუგო

**16**

### საფრანგეთმა საუკუნე გახსნა

ფრანგებმა ხელბურთის მსოფლიოც მოიგეს

## Milan, esordio di Kaladze

**NEL MILAN, CONTRO LA REGGINA, KALADZE CENTRALE IN UNA DIFESA A TRE**

Milan: kaladze in dubbio con la Reggina

Milan, e gia l'ora di kaladze

**Milan: Maldini scommette su kaladze**




საკვირაო „მილანი“ — „რეჯინა“ 1:0:
მილანელები თომას ჰელვეგი (№2), კახა კალაძე და რეჯინელი დავიდე დიონიჯი

*საქართველოს ნაკრების 22 წლის მცველმა, მილანელმა კახა კალაძემ კვირას „რეჯინას“ წინააღმდეგ სერია A-ს სადებიუტო მატჩი ითამაშა. კალაძე დაცვის ცენტრში მოქმედებდა, თამამად იყო და მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის ნამატჩევს ასეთი სიტყვებიც ათქმევინა: მან ძალიან კარგად ითამაშა, სიმტკიცე გამოავლინა, ტექნიკაც არ დაეწუნება და ვგონებ, ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული. უკვე შემიძლია განვაცხადო, რომ*

## კალაძე ჩინებულია

*თავად კალაძემ მატჩის შემდეგ იტალიელ ჟურნალისტებს ასე მოუთხრო თავისი პირველი შთაბეჭდილების შესახებ: „დიდი მადლობა გულშემატკივრებსა და თანაგუნდელებს ასეთი დახმარებისთვის. „სან სიროზე“ თამაშს არ დავუთრგუნივარ, რადგან კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი რომ ვიყავი, ჩემპიონთა ლიგაში ევროპის უდიდესი სტადიონები შემოვიარე. ვერც დაცვის ცენტრში თამაშმა დამაფრთხო, ხოლო იტალიურის არცოდნას საყოველთაო საფეხბურთო ენა მივსებდა“.*

იხილეთ მერვე და მეცხრე გვერდები



„ფრაიბურგის" ქართული ტრიო: ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი

*შაბათს გერმანიაში, ბუნდესლიგაში მოთამაშე ყველა ქართველი ერთად შეიყარა და კიოლნელი გულშემატკივარი 18 წუთს ოთხი ქართველის თამაშს უცქერდა. შაბათს „კიოლნი" „ფრაიბურგს" მასპინძლობდა და მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ლევან კობიაშვილის ზუსტად შესრულებული პენალტით დამარცხდა. „ფრაიბურგის" შემადგენლობაში კობიაშვილმა და იაშვილმა 90 წუთი ითამაშეს. ლევან ცქიტიშვილმა — მეორე ტაიმი, კიოლნელმა არჩილ არველაძემ — 18 წუთი.*

*ჩვენ კი გუშინ ამ მატჩის გმირს ლევან კობიაშვილსა და მის შაბათის მეტოქე არჩილ არველაძეს შევეხმიანეთ და ვთხოვეთ ორიოდ სიტყვა ეთქვათ „კიოლნ" — „ფრაიბურგის" დაპირისპირებაზე, მით უმეტეს, რომ ამ თამაშს საქართველოს ნაკრების მწვრთნელები — რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანიც უნდა დასწრებოდნენ.*

# გერმანიაში ქართულად: ვინც შეგირდებსა არ ეძებს...

— ძალიან დაძაბული მატჩი გახლდათ და ჩვენთვის მნიშვნელოვანი. კიოლნში მოპოვებულმა სამმა ქულამ ხომ გაგვახარა და ისიც შეიძლება ვთქვა, რომ უეფას თასისთვის ბრძოლის პერსპექტივა გაგვიჩნდა. საშინელი ამინდი იყო, წვიმა, ქარი, ატალახებული გაზონი. ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ — გვითხრა ლევან კობიაშვილმა.

— მიუხედავად ამისა მოიგეთ... უფრო სწორად, „ფრაიბურგს" შენ მოაგებინე...

— რა ვიცი, ამ ბოლო დროს პენალტებს მე მარტყმევინებენ. ჩემი იმედი აქვთ და მეც 11-მეტრიანებს იშვიათად ვაცუდებ.

— არჩილ არველაძეს შეხვდი?

— თამაშამდე და თამაშის შემდეგ დიდხანს არ გვისაუბრია, ერთმანეთი მოვიკითხეთ, მატჩზე კი არაფერი გვითქვამს.

— ნაკრების მწვრთნელებს?

— მე პირადად არც ძოძუაშვილი მინახავს, არც ყიფიანი, თუმც მითხრეს, რომ ისინი მატჩს ესწრებოდნენ. მოთამაშეთაგან მწვრთნელები არავის შეხვედრია.

*არჩილ არველაძე:*

— პირველ ტაიმში „ფრაიბურგს" აშკარად ვაჯობეთ, მეორეში კი პირიქით, მათ დაგვჯაბნეს. თამაში თამაშს არ ჰგავდა, საშინელი ამინდი იყო. „ფრაიბურგიდან" საუკეთესონი ქართველები იყვნენ — კობიაშვილმაც და იაშვილმაც ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს. თანაგუნდელებმაც ეს მითხრეს. ცქიტიშვილმა მეორე ტაიმში ითამაშა და მანაც კიდევ უფრო გააძლიერა „ფრაიბურგის" მარჯვენა ფლანგი. მე კი არ ვიცი, მწვრთნელი ძირითადში რატომ არ მათამაშებს, ვერც ვერაფერს ვეუბნები. როცა ამის თაობაზე ჩამოვარდება სიტყვა, ლიენენი ერთსა და იმავეს მიმეორებს, შენი იმედი მაქვსო. ყოველი მატჩის წინ მაიმედებს, ძირითადში გათამაშებო. უკვე მერამდენე შეხვედრაა, შემცვლელად შევდივარ მოედანზე. „ფრაიბურგამდე" არც მქონდა იმედი, რომ თამაშს თავიდანვე დავიწყებდი, მწვრთნელმა მითხრა, ორი მცველი გვაკლია, თავდასხმას კაცი უნდა მოვაკლო და მცველებს მივუმატოო. მატჩის მერე კი ნანობდა, შევცდი, უნდა მეთამაშებინე, ვერც დაცვა გავაძლიერე და თავდასხმასაც ფეხბურთელი დავაკელიო.

**კობა ინასარიძე**

# მეტამორფოზა

## დინამოს საყრდენი გამოეცალა

ჩაბარდა პოლიციის „დინამო", ამიერიდან შინაგან საქმეთა სამინისტროა ჩვენი ათგზის ჩემპიონისა და წარსულის დიდების პატრონი. ბედისწერა მაცნეს არ გვიგზავნის, მაგრამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველი ნაღდად გვაქვს — სამყაროს სრბოლა ფეხქვეშ ველარ გათელავს „დინამოს".

ეს კი გუშინდელი ამბავია — დიღმის ბაზას კარისკაცების გარდა პოლიციელებიც დარაჯობენ, რომლებმაც სარბიელელი ბაზის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. არც „დინამოს" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გოჩა ტყებუჩავა გამოგვექომაგა, არ მცალია, მეჩქარებაო. ამგვარად „გვიმასპინძლა" ორშაბათს „დინამომ", რომლის თავკაცი რევაზ არველაძე შვეიცარიაშია უეფას წევრი ქვეყნების ელიტარული კლუბების შეხვედრაზე. მის არყოფნაში უფროსობას დიღმის ბაზის დირექტორი მურმან ნებიერიძე სწევს, რომელიც ჩვენი სტუმრობისას იქ არ გახლდათ.

საფეხბურთო ამბები კი „დინამოში" ჯერაც არასახარბიელოა — სამი დღის წინ დატოვა გუნდი 24 წლის მცველმა ირაკლი ვაშაკიძემ. მოგეხსენებათ, რევაზ არველაძის „დინამო" ბოლო დროს სამი მცველით თამაშობდა და ქემოკლიძისა და ვაშაკიძის წასვლის შემდეგ, სამეულს 21 წლის გიორგი შაშიაშვილიღა შემორჩა.

არც ნახევარდაცვაში აქვს არხეინად საქმე „დინამოს", ჯერ იყო და პაატა ჯინჭარაძე გადავიდა ქუთაისის „ტორპედოში", ახლა კი „დინამოს" მეორე საყრდენი ნახევარმცველიც გამოეცალა — გუნდი თენგიზ სიჭინავამაც დატოვა. მისი და ვაშაკიძის მოსურნე კლუბები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველო ყველას ამხანაგია

28 მარტს საქართველოს ნაკრები, ალბათ მოგეხსენებათ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს რუმინელებთან შინ გამართავს. იქამდე კი ჩვენი ეროვნული გუნდი თითქმის უძლიერესი შემადგენლობით თბილისშივე უკრაინელებს ამხანაგურად დაუპირისპირდება.

გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ გადაწყდა, რუმინელებამდე ჩვენი ნაკრები კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს — 27 თებერვალს ქვეყნის რჩეულნი გერმანულ კიოლნს ესტუმრებიან და არჩილ არველაძის კლუბს გაექიშპებიან, იქიდან კი ესპანეთს მიაშურებენ და ბევრისთვის საოცნებო კალბა დე მალიორკაში, პრიმერადივიზიონის „მალიორკას" ეთამაშებიან.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელები რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი „კიოლნთან" და „მალიორკასთან" მატჩებისთვის რომელ ფეხბურთელებს გამოიძახებენ, ჯერჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მწვრთნელები გერმანიაში და ესპანეთში იმ ფეხბურთელებს ვერ იახლებენ, რომლებსაც უკრაინელებთან ათამაშებენ. მოგეხსენებათ, უეფას ფეხბურთელთა ნაკრებში თამაშისთვის ლიმიტი აქვს დაწესებული და აქედან გამომდინარე, ეროვნული გუნდის მწვრთნელები ალბათ მოერიდებიან 27 თებერვალსა და 1 მარტს იმათ გამოიძახებენ, ვისი იმედიც ოფიციალური მატჩებისთვის უნდა ჰქონდეთ.

**კობა ინასარიძე**

# ჩემი დინამო ჩემთან!

## პოლიციამ შემთხვევის ადგილი მოინახულა

პარასკევს, 2 თებერვალს, ქვეყნის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ თბილისის „დინამო" შინაგან საქმეთა სამინისტროსი იქნება. ამ მოვლენას სპორტსაზოგადოება „დინამოს" რიგგარეშე კრება მოჰყვა, სადაც „დინამოს" თავმჯდომარის პირველ მოადგილედ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანიშვილი დაამტკიცეს. მანამდე ამ თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად რევაზ მაჭავარიანი იყო დანიშნული, ამიერიდან იგი ივანიშვილს გაუწევს მოადგილეობას.

„ჩავატარეთ კრება. „დინამოს" ხელმძღვანელებმა ვიმსჯელეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ნიკოლოზ ივანიშვილი აგვერჩია. იგი ამ თანამდებობაზე ერთხმად იქნა დამტკიცებული. ეს არის საკმაოდ საპასუხისმგებლო პოსტი, მას დიდი შრომა მოუწევს იმისთვის, რათა რეალურად განახორციელოს აუცილებელი ზომები თბილისის „დინამოს" საკეთილდღეოდ" — განაცხადა კრების შემდეგ სპორტსაზოგადოება „დინამოს" თავმჯდომარემ და შსს-ს მინისტრმა კახა თარგამაძემ.

თავად ნიკოლოზ ივანიშვილმა კი ეს თქვა: „კრების გადაწყვეტილება საკმაოდ მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაგრამ, ვატყობ, ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა. პირველი, რაც უნდა გავაკეთო, ისაა, რომ დიღმის ბაზაზე მივიდე და ადგილზე გავეცნო სიტუაციას. ჩემი მიზანი, რაღა თქმა უნდა, „დინამოს" აღორძინებაა."

ივანიშვილმა სიტყვა შეასრულა და კვირას შსს-ის მინისტრთან ერთად დიღმის ბაზას ეწვია. სტუმრებმა საფუძვლიანად დაათვალიერეს ბაზა, დაესწრნენ გუნდის ვარჯიშს და გაესაუბრნენ მომსახურე პერსონალს. ვიზიტის ბოლოს კახა თარგამაძემ იმედიანად განაცხადა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა კლუბს ძველი დიდება დაუბრუნოს.

**ბაატა ქვანტალიანი**



ნიკოლოზ ივანიშვილი (მარცხნივ) და კახა თარგამაძე დიღმის ბაზაზე

# ნოდიას 23 რჩეული

საგაზაფხულო სამზადისში ერთი, თბილისური ეტაპი დაასრულა თასის მფლობელმა „ლოკომოტივმა". გივი ნოდიამ სასურველი ფეხბურთელები შეიგულა და დღეს რკინიგზელთა 31-კაციანი დელეგაცია კვიპროსს მიემგზავრება.

გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებებია, რაზეც ადრეც გაცნობეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ და საბოლოოდაც დავაკონკრეტებთ. საკვიპროსე სიაში ვერ ამოიკითხავთ თოდუას, სილაგაძის, აბრამიძის, ხიზანიშვილის, რუსიას, გონჩაროვის, დავითაშვილისა და პარამონოვის გვარებს.

ამათგან ნაწილი ქუთაისურ „ტორპედოში" გადაბარგდა ყოფილ მთავარ მწვრთნელთან ერთად, ზოგმა რუსეთს და უკრაინას მიაშურა, ზოგიც კლუბმა ტრანსფერზე დააყენა. ზურაბ ხიზანიშვილი კი დღემდე ლონდონშია.

რკინიგზელები ქალაქ აიანაპაში, სასტუმრო „მელისში" დაბინავდებიან და იქ ორ კვირას დაჰყოფენ. 31-კაციანი დელეგაციიდან 23 ფეხბურთელია.

*მეკარეები: გიორგი ლომაია, დავით ასლანაძე, მანუჩარ იჯარდავა;*

*მცველები: გიორგი ბალაშვილი, ზაზა ლაცაბიძე, დავით ბაქრაძე, ალექსენტი გილაური, ლაშა სალუქვაძე, გიორგი გოგნაძე, კობა ნინუა;*

*ნახევარმცველები: გიორგი კვეტენაძე, გიორგი შენგელია, კახა გოგიჩაიშვილი, დავით ჭიჭვეიშვილი, გივი კვარაცხელია, გიორგი ანჩაბაძე, გელაქტიონ ზოიძე;*

*თავდამსხმელები: ალექსანდრე კიდარაშვილი, ცეზარ ხუროძე, იოსებ მანჭარაული, ვალერი გაგუა, გია შედანია, რევაზ კვერნაძე;*

მოულოდნელი თითქმის არაფერია ერთის გარდა — მერანელი გიორგი კვეტენაძე ისე გამოეთხოვა ავჭალურ კლუბს, გუშინდლამდე არაფერი გაგვიგია.

„ლოკომოტივი" თბილისში 21 თებერვალს დაბრუნდება. კვიპროსზე კი ოთხი საკონტროლო შეხვედრაა დაგეგმილი, ოღონდ მეტოქეები ჯერჯერობით უცნობია.

**დათო დანელია**

**პორტუგალია**

XX ტური
**ფეირეირა 1:0 პორტუ**

**იტალია**

სერია B. XXI ტური
**სამპდორია 2:0 სალერნიტანა**

ეროვნული ბიბლიოთეკა


შსს-ის საგამოძიებლო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ზაზა ყულოშვილი




*ერგება თბილისის „დინამოს“ კიევის „დინამოსგან“ კახა კალაძის სატრანსფერო თანხის ნახევარი? ბოლო დროის აქტუალური კითხვა კვლავაც უპასუხოდაა. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში „სარბიელის“ სტუმრობით გუშინ გამოვკვეთა ერთობ საინტერესო დეტალები.*

*„დღეს არსებობს მეორე, ყალბი კონტრაქტი, რომელიც შსს-ის საგამოძიებო საბუთებში დევს. ეს კონტრაქტი შსს-ის საგამომძიებლო დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა ზაზა ყულოშვილმა მერაბ რატიანის დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თავად ჩამოიტანა კიევიდან“ — ვაჟა ჟვანიას „სარბიელისთვის“ ნათქვამი ეს სიტყვები მკითხველს ალბათ ემახსოვრება. ჟვანიას განცხადების შემდეგ ,ბევრი მცდელობის მიუხედავად, ზაზა ყულოშვილთან დაკავშირება გუშინ ლა შევძელით.*


შსს-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ვალერი გორგოძე

# დინამოს აჭირავებული მოლოდინი: არავითარი 50%

*გუშინ კი შშს-ის საგამომძიებლო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე რომან შევრელიშვილის კაბინეტში ზაზა ყულოშვილმა ჩვენს კითხვებს უპასუხა.*

— რა კონტრაქტი არსებობს დღეისთვის „დინამოსთან“ დაკავშირებულ საგამოძიებო საქმეში?

— დღეს საქმეში ორი კონტრაქტის ასლი დევს და ჩვენ სიმართლის გარკვევას ვცდილობთ.

— კონკრეტულად რომელ ასლებს გულისხმობთ?

— ერთის თანახმად, კახა კალაძე კიევის „დინამომ“ თბილისის „დინამოდან“ მხოლოდ 300 000 დოლარად იყიდა, მეორე კონტრაქტის ასლის მიხედვით კი, თბილისის „დინამოს“ 30 000 დოლარის გარდა კალაძის შემდგომი გაყიდვიდან სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი ერგება.

— ვაჟა ჟვანიას განცხადებით, პირველი კონტრაქტის ასლი სწორედ თქვენ ჩამოიტანეთ კიევიდან...

— გასული წლის აგვისტოში საგამოძიებო ჯგუფთან ერთად მივლინებით კიევში ვიყავი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნათა თანახმად, უცხო სახელმწიფო ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება არ გვაქვს. ამიტომ, ჩვენ კერძო დავალებით მივმართეთ უკრაინის სამართალდამცავ ორგანოებს, რომ გამოეძიათ კახა კალაძის ტრანსფერთან დაკავშირებული საქმე. უკრაინის პროკურატურის გამომძიებელმა ჩვენი თანდასწრებით დაკითხა კიევის „დინამოს“ საფინანსო დირექტორი სივკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ კალაძე თბილისის „დინამოდან“ 300 000 დოლარად შეიძინეს. სივკოვმა წარმოგვიდგინა ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი — კახა კალაძის სატრანსფერო კონტრაქტი.

— ფინანსურ მხარესთან დაკავშირებით კონკრეტულად რა ეწერა იმ კონტრაქტში?

— მხოლოდ ის, რომ თბილისის „დინამოს“ 300 000 დოლარი ეკუთვნის კიეველთაგან და მეტი არაფერი. იქ არაფერი ეწერა დამატებით პუნქტებზე, უმთავრესი კი ის არის, რომ სივკოვის მიერ წარმოდგენილ კონტრაქტში არაფერი იყო ნათქვამი თბილისის „დინამოს“ კუთვნილ 50 პროცენტზე.

— თქვენ სწორედ ამ კონტრაქტის ასლი წამოიღეთ კიევიდან?

— დიახ. ამის შემდეგ გამოძიებისთვის ცნობილი გახდა მეორე კონტრაქტის ასლის არსებობა, რომლის თანახმადაც „დინამოს“ გარკვეულ თანხასთან ერთად კალაძის შემდგომი გაყიდვიდან სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი ეკუთვნის.

— სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა ბევრი კითხვა... რა მოიმოქმედეთ საპასუხოდ?

— მეორე კონტრაქტის გამოჩენისთანავე დამატებითი შეკითხვები გავუგზავნეთ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული პასუხი არ მიგვიღია კიევიდან. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ კიევის „დინამოს“ მაშინდელი პრეზიდენტი გრიგორი სურკისი მხოლოდ 300 000 დოლარიანი კონტრაქტის არსებობას აღიარებს. სურკისი ამბობს, რომ რეალურად მხოლოდ ერთი კონტრაქტი არსებობს, სწორედ მასზე აქვს ხელი მოწერილი, და არავითარი 50 პროცენტი არ ეკუთვნის თბილისის „დინამოს“...

— თქვენ თუ ნახეთ სურკისისეული კონტრაქტის დედანი?

— დიახ, ვნახე ის პირი, რომელიც უკრაინულ მხარეს გააჩნია.

— გამოძიებისთვის ცნობილია, რომ ორივე კონტრაქტის ასლი ერთი და იგივე რიცხვით — 1998 წლის 17 იანვრითაა დათარიღებული, ესე იგი, ერთ-ერთი ყალბია...

— რა თქმა უნდა... ქსეროასლით კონტრაქტის რეალურობაზე მსჯელობა სათუოა...

— კი მაგრამ, ასლის არსებობა დედნის გარეშე გამორიცხულია...

— გეთანხმებით, მაგრამ კიევის „დინამოს“ მხარემ დედანი წარმოადგინა და განმარტა, ჩვენი მხრიდან, ამის გარდა არანაირ კონტრაქტზე არ არის ხელი მოწერილი კალაძესთან დაკავშირებითო. მოკლედ, ამ მხრივ გამოძიება მიმდინარეობს და ყველაფერს გაარკვევს.

*გუშინვე შევხვდით შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ ვალერი გორგოძეს, რომელიც ამ საქმითაა დაკავებული.*

— ამჟამად კახა კალაძის და თბილისის „დინამოდან“ სხვა კლუბებში გადასული ფეხბურთელების ტრანსფერებს ვიკვლევთ. გამოძიება, ყველანაირ ზომებს გაატარებს, რათა გაარკვიოს, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ის, რომ თბილისის „დინამოს“ კიევის „დინამოდან“ კალაძის სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი ეკუთვნის.

— „აგრომრეწვბანკის“ ხელმძღვანელთა განცხადებით, „50-პროცენტიანი კონტრაქტი“ მერაბ ჟორდანიამ მიიტანა ბანკში „დინამოს“ ხელმძღვანელებთან ერთად...

— მერაბ ჟორდანია არ ამბობს იმას, რომ ბანკში კონტრაქტი გარანტად ჩადო. გამოძიება ყველაფერს გაარკვევს. თუ საჭირო იქნა, დამატებით დავკითხავთ ჟორდანიას, „აგრომრეწვბანკის“ ხელმძღვანელებსაც.

— თუ გაქვთ რაიმე ვერსია „50-პროცენტიან კონტრაქტთან“ დაკავშირებით?

— პასუხისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, ჯობს გამოძიების შედეგებს დაველოდოთ, გარწმუნებთ, მიმდინარეობს ყველა საჭირო საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიება, ვთანამშრომლობთ უკრაინელ კოლეგებთან ერთად, მალე ჭეშმარიტებაც დადგინდება.

**პაატა ქვანტალიანი**

# ბუიღლიშვილის ჯილა გეგუჩაძეა

## ალადაშვილი უფროსად ჩამოაქვეითეს


გია გეგუჩაძე

რიხით დაიწყო მეთორმეტე ეროვნული რუსთავის „გორდამ“, რასაც მერე წარუმატებლობების სერია მიაყოლა და ახლა ოღონ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. არადა, გუნდს ამ სეზონში პატრონი გამოუჩნდა, ნორმალური არსებობა დაიწყო, მაგრამ „გორდას“ ყოველივე ეს დიდად არ დამჩნევია.

საშემოდგომო ეტაპის შემდეგ „გორდიიდან“ ფეხბურთელები არ წასულან, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ახალშენაძენი მოთამაშეებით გუნდი ერთობ გაძლიერდა. ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელობამაც მწვრთნელის შეცვლით ინება ახალი სისხლის გადასხმა — „გორდას“ გაწვრთვნას დღეიდან გია გეგუჩაძე შეუდგება. შეგახსენებთ, რომ ეს ახალგაზრდა სპეციალისტი ექვსი წელი მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა თბილისის „დინამოში“, ხოლო იოჰან ბოსკამპის ხანმოკლე ეპოქაში მისი ასისტენტიც იყო ეროვნულ ნაკრებში. სფფ-მ კი შარშან გეგუჩიძეს ქართველ მწვრთნელთა სწავლაგანათლების საქმე მიანდო, რასაც ის გაზაფხულიდან უნდა შესდგომოდა. როგორ შეუთავსებს გია გეგუჩაძე ამ ორ მოვალეობას ერთმანეთს, მისი სფფ-ს ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ გადაწყდება. „გორდას“ აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი გუნდის უფროსის თანამდებობაზე გადავიდა. მისი თანაშემწეები კი კვლავაც მწვრთნელებად დარჩებიან „გორდაში“, ხოლო გეგუჩაძის ასისტენტი გია ჭყონია იქნება.

„ამ ეტაპზე „გორდას“ მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა, მერე კი ვნახოთ. საკმაოდ რთული კალენდარი გვაქვს — შინ ძლიერ გუნდებს ვიღებთ, გასვლაზე კი უშუალო კონკურენტებს ვეთამაშებით. ასე რომ, ერთობ რთული ბრძოლები გველის, მაგრამ ჩვენ ოპტიმისტები ვართ. გუნდში ახალი ფეხბურთელების მოწვევას ჯერჯერობით არ ვაპირებთ. ვთვლი, რომ დღეს არსებული კონტინგენტითაც შეგვეძლება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება“ — გვითხრა გია გეგუჩაძემ, რომელიც გუშინ წარადგინა ფეხბურთელებთან „გორდას“ პრეზიდენტმა თემურ ბუიღლიშვილმა.

დაბოლოს, რუსთავის „გორდა“ გია გეგუჩაძისთვის პირველი კლუბია, რომელსაც დამოუკიდებლად გაწვრთნის.

**დავით თავართქილაძე**


☎ (231) 7 17 58 **იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში** ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიაოსთან"

**ჰერბალ-ვი ვიაგრას მცენარეული ალტერნატივა**




**სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება**

**HERBAL VY** — მამაკაცებისთვის — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს;

*„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად!*

**HERBAL VY** — „ვიაგრა“ — უაღრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტარულ საზოგადოებაში!

*ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.*

**აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!**

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორენტ“ ტ. 99-87-37

# მერთი წლით სპარტაკში



ვლადიმერ კაკაშვილი

მოსკოვის „ლოკომოტივის" თავკაცმა იური სიომინმა პორტუგალიური შეკრების შემდეგ ასე გადაწყვიტა — ზაზა ჯანაშიას ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი, ვლადიმერ კაკაშვილს...

უკვე ორი წელია, ქართველი მცველი მოსკოველ რკინიგზელთა განკარგულებაშია, მაგრამ ძირითად გუნდში თამაშის შანსი არ მისცემია. სიომინის მონდომების მიუხედავად, კაკაშვილი „ლოკომოტივს" შეკრებაზეც ვერ ეახლა. ჯერ იყო და თანაგუნდელმა დაალალატა, სოჭურ შეკრებაზე მიმავალ „ლოკომოტივს" აეროპორტში ვერ მიუსწრო, წლეულს კი საპასპორტო პრობლემებმა შეაფერხა.

არადა, ქართველი მცველი სიომინისთვის სასურველი მოთამაშეა, თუმც მწვრთნელს მისი სათამაშო პრაქტიკა არ აკმაყოფილებს. რკინიგზელთა თავკაცმა საქმეში ვერც ერთხელ ვერ ნახა ჩვენებური (ფარმ-კლუბში ბურთაობას თუ არ ჩავთვლით), არ იცის მისი რეალური ძალა.

ლადო ახლახან ფარმ-კლუბის კაპიტნად აირჩიეს, მაგრამ პორტუგალიიდან მობრუნებულმა სიომინმა ყველაფერი თავისებურად გადაწყვიტა:

„ლოკომოტივის" ძირითადში ჯერ ვერ დამკვიდრდები, პრაქტიკა გაკლია. სეზონის შემდეგ ჩუგაინოვი სათამაშოდ უცხოეთში წავა, სწორედ მის პოზიციაზე გიპირებ დაყენებას და უნდა მოემზადო. მანამდე ერთი სრული სეზონია, ამიტომ ნალჩიკში წახვალ და იქაურ „სპარტაკში" ითამაშებ. ამისთვის ყველაფერი მოგვარებულია. უკვე ვესაუბრე სპარტაკელებს, ამიტომ შეგვიძლია, იმათ შენი პირობებიც წაუყენო. ალბათ დაგთანხმდებიან, არადა, ნებისმიერ წუთს უკან დაბრუნებაც შეგიძლია".

ასე გახდა კაკაშვილი სპარტაკელი. ვნახოთ, ერთი სეზონიც მალე ჩაივლის და სიომინის სიტყვას რა ფასიც დაედება, იქ გამოჩნდება.

დათო დანელია

# მშვიდობით ნორჩა, წინ პერუჯაა!

თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ", რომელიც იტალიურ შეკრებაზე იმყოფება და „ნორჩას ზამთრის ტურნირში" მონაწილეობს, ქვეჯგუფის ბოლო მატჩი მინიმალური ანგარიშით — 1:0 დათმო რუმინულ „სტიაუასთან".

ვეტერინარები მეოთხედფინალში მაინც გავიდნენ, სადაც ბულგარული „ლიტექსი" მოელოდათ, მაგრამ სანამ იმ მატჩის შედეგს მოგახსენებდეთ, მანამდე „სტიაუასთან" თამაშზე ვთქვათ ორი სიტყვა.

დაძაბული და საინტერესო მატჩი ჩვენებურთა უპირატესობით დაწყებულა და ორჯერ მეკარესთან პირისპირ გასულ გიორგი ქორიძეს გაუფუჭებია ხელსაყრელი მომენტი.

მეორე ტაიმის 65-ე წუთზე რუმინულთა კონტრშეტევა გოლით დასრულებულა. ამ დროისთვის ვეტერინარები კაცნაკლული დარჩენილან, ექიმები ტრავმირებულ დილმელაშვილს წამლობდნენ.

მართალია, დილმელაშვილი შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ სერიოზული არაფერი სჭირსო, გვითხრა „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გოჩაშვილი გასულა მეკარესთან პირისპირ, თუმც...

„სტიაუასთან" ვიტელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, არსოშვილი, ნოზაძე (წუწუნავა), დილმელაშვილი (გოჩაშვილი), გოგობერიშვილი, ყოფიანი (გოცირიძე), ქორიძე, მელქაძე;*

ბულგარეთის უმაღლესი დივიზიონი „ლიტექსთან" „ვიტ ჯორჯიამ" მთელი ორი ტაიმი ტოლსწორად იბრძოლა, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში გოლი გაუშვა და „ნორჩას ზამთრის ტურნირსაც" დაემშვიდობა.

თემურ მაზარაძემ „ლიტექსთან" 13 ფეხბურთელი გამოსცადა:

*ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ინწკირველი (მუჯირი), ნოზაძე (გოცირიძე), დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, ქორიძე, მელქაძე, გოჩაშვილი.*

ვეტერინარები იტალიაში 13 თებერვლამდე დარჩებიან. სერია A-ს „პერუჯასთან" კი სავარაუდოდ 8 თებერვალს ითამაშებენ.

დათო დანელია

# ქობულეთი, 9 აპრილი, სუპერ!
## ამას ითხოვს ნაკრების ინტერესები

სფფ-მ შარშან დაადგინა, რომ 1999-2000 წლების სეზონის სუპერთასის მატჩი 27 თებერვალს ჩატარდება ქობულეთში. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემპიონი „ტორპედო" და თასის მფლობელი „ლოკომოტივი" სუპერთასს ერთმანეთს გაზაფხულზე შეეცილებიან. მიზეზი ეროვნული ნაკრების ინტერესებია.

უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს პირველი გუნდი 1 მარტს სტუმრად გამართავს ამხანაგურ მატჩს ესპანურ „მალიორკასთან". მანამდე, 27 თებერვალს, ბუნდესლიგის „კიოლნთან" თამაშია დაგეგმილი. სფფ-სა და გერმანულ მხარეს შორის სიტყვიერი შეთანხმება არსებობს, მაგრამ კიოლნიდან ოფიციალური თანხმობა ჯერ არ მოსულა. ყოველივე ერთ-ორ დღეში გაცხადდება. სწორედ ამიტომაცაა დაგეგმილი სუპერთასის გადატანა — „ტორპედოსა" და „ლოკომოტივში" ხომ ნაკრებს რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს. თუ სტუმრად „კიოლნთან" თამაში გადაწყდა, სუპერთასი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 9 აპრილს ჩატარდება.

დავით თავართქილაძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), აბრამიძე (სკონტო, ლატვია), ხიზანიშვილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), დავითაშვილი (?) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კანდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), გ. კვეტენაძე (მერანი), გ. ზოიძე (ლოკომოტივი 3), მანჯგალაძე (თბილისი), შედანია (ზოოვეტი), კვერნაძე (ინტერი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 0:0, დილა 1:2 |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე (კოლხეთი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე, ახვლედიანი, ჩხეტიანი (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ყაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?, რუსეთი), სიჭინავა, ი. ვაშაკიძე (?) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (შვეიცარია) 15:1, ასკოლი (იტალია) 6:0, სტიაუა (რუმინეთი) 0:1, ლიტექსი (ბულგარეთი) 0:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), თედეევი, ჭანტურიძე (კოლხეთი 2), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნიჟნიკაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი 2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:0, დინამო (სტავროპოლი, რუსეთი) 2:2 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა), გ. კვეტენაძე (ლოკომოტივი) | მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზ. კვეკვესკირი (მუქურა); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე, თარგამაძე, ბ. შენგელია (სიონი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქერაშვილი (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი) | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნიჟნიკაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე, ბ. შენგელია, სიდამონიძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), კ. მელქაძე (მილანი), ყოლბაია (ზუგდიდი), გუგუნავა (თსუ) | ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0 |
| **დილა** *გაგა ხაჩირაშვილი* | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჟაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლამაზაშვილი* | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სიონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, 0:1 ბათუმი 3:1, კოლხეთი 2 1:1 |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2 |

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

## ინგლისი

### XXVI ტური

**დერბი ქაუნთი 1:0 სანდერლენდი**

1:0 ბარლი (42)
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, რიგოტი, კარბონარი, ვესტი, დელაპი (ბ. ონილი 57), ერანიო, ბარლი, დ. პაუელი (მიურეი 34), ბოერტიენი, დ. ბარტონი, კრისტი (ლ. მორისი 46)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, ვარგა, კრადოკი, გრეი, რაე, ჰათჩისონი, მაკკენი, შვარცი (ოსტერი 82), ფილიპსი, დიჩიო
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: პაუელი, ჰათჩისონი, კრისტი, დიჩიო, ერანიო, მორისი, ბარლი, კარბონარი, რიგოტი, ფილიპსი
29 129 მაყურებელი

**ლესტერი 2:1 ჩელსი**

1:0 იზეტი (24), 1:1 ჰასელბაინკი (75), 2:1 როუეტი (76)
ლესტერი: როისი, როუეტი, კ. დავიდსონი, მ. ელიოტი, იმპი, სევიჯი, იზეტი, გაპი, ლუისი, მანჩინი (აკინბი 60), სტარიჯი (იდი 78)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო, ლებეფი, მელხიოტი, ფერერი, გრონკიაერი (სტანიჩი 64), პოიეტი (იოკანოვიჩი 41), უაიზი, დალა ბონა, ძოლა (გუდიონსენი 46), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: დალა ბონა
21 502 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 ჩარლტონი**

ტოტენჰემი: სალივანი, ს. კემპბელი, პერი, ფროინდი, ანდერტონი, ლეონარდსენი, კლემენსი (ეზერინგტონი 65), კინგი (შერვუდი 65), დოჰერთი, რებროვი, ე. ბუთი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
ჩარლტონი: ილიჩი, რუფუსი, ს. ბრაუნი, ტოდი, კ. პაუელი, კიშიშევი, პარკერი, იენსენი (სალაკო 82), გ. სტიუარტი, სვენსონი, ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ანდერტონი, ეზერინგტონი
35 368 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 მანჩესტერ სიტი**

0:1 ვიკერსი (28ს.კ.), 1:1 კუპერი (62)
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, ვიკერსი, ეჰიოგუ, ფლემინგი, კ. ონილი, კარამბეუ, იბსი, ოკონი (მასტო 90), რიკარდი (ველანი 79), ბოკშიჩი (ე. კემპბელი 90)
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, გრენვილი (რაიტ-ფილიპსი 88), ჰაუი, დანი, ტიატო, ვიკენსი, ჰაალანდი, უიტლი, კანჩელსკისი, გოტერი, ჰაკერბი (გრანტი 70)
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: ჰაკერბი, უიტლი
გაძევება: ონილი (86)
31 794 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 1:0 ევერტონი**

1:0 კოული (52)
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, ფ. ნევილი, უესლი ბრაუნი, სტამი, ირვინი, ბექემი (უოლვორკი 72), სქოულზი (გიგზი 46), სილვესტრი, ჩედვიკი (შერინგემი 80), ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, გაფი, ვეირი, ბოლი, ნეისმიტი (ახუორთი 72), ტალი (ჯევონსი 84), გრავესენი, ჯემილი, მური (კადამარტერი 77), კ. კემპბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: გრავესენი, ჯემილი
67 528 მაყურებელი

**ლივერპული 3:0 ვესტ ჰემი**

1:0 ზმიცერი (20), 2:0, 3:0 ფაულერი (45, 57)
ლივერპული: ვესტერველდი, ვინალი, ჰიპია, ენჩოსი, ბაბელი (ს. რაიტი 33), ბისკანი (ბარმბი 46), ჰამანი, ზმიცერი, ჯერარდი, ჰესკი, ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ვესტ ჰემი: ფორესტი, ს. პირსი, შემელი (სონგო 55), უინტერბერნი, დეილი, ტიჰინენი, კერიკი, ჯ. კოული (სომა 81), ლამპარდი, კამარა, კანო (ტოდოროვი 73)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: კანო
44 045 მაყურებელი

**იფსვიჩი 1:2 ლიდსი**

0:1 ვენუსი (28ს.კ.), 0:2 კინი (41), 1:2 ვენუსი (63)
იფსვიჩი: რ. რაიტი, კროფტი (როიზერი 79), კლაპამი, ვენუსი, ჰრეიდარსონი (უეინ ბრაუნი 90), ბრემბლი, ჯ. რაიტი, ჰოლანდი, სკოუკროფტი, მ. სტიუარტი, ა. არმსტრონგი (ნეილორი 66)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ლიდსი: მარტინი, ჰარტი, მილსი, რადებე, რ. ფერდინანდი, მატეო, ბოიერი, დაკური (ბაკე 87), ბეტი, ვიდუკა, რობი კინი (ა. სმიტი 87)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბეტი, ბრემბლი, რადებე
გაძევება: სტიუარტი (75)
22 015 მაყურებელი

**ბრედფორდი 0:3 ასტონ ვილა**

0:1, 0:2 ვასელი (50, 58), 0:3 ჯოუჩიმი (87)
ბრედფორდი: გ. უოლში, ახერტონი, ჯეკობსი (მიგრი 56), მოლენაარი, ობრაიენი, მაკკინლი, მაკკოლი, ჰოპკინი (უორდი 70), უინდასი, ჯესი, რ. ბლეიქი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, ა. რაიტი, სტონტონი, ალფაი, ბერი (ტეილორი 46), ბოატენგი, ლ. ჰენდრი, პაბლო ანხელი (ჯოუჩიმი 75), მერსონი (მაკგრათი 89), ვასელი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: მაკკინლი, უინდასი
19 591 მაყურებელი

**ქოვენთრი 0:1 არსენალი**

0:1 ბერხკამპი (78)
ქოვენთრი: ჰედმანი, ბ. ქუინი, ჰალი, პ. უილიამსი, შოუ, ტომპსონი (ბოტროიდი 84), ბელამი, ისტიჩი, კარსლი, რუსელი, ჰაჯი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ეშლი კოული, ადამსი, სტეპანოვსი, ლორენი (გრიმანდი 65), პირესი (ვივასი 90), ვიეირა, პარლოუ, ბერხკამპი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ისტიჩი, ადამსი, ვიეირა, ტომპსონი, პარლოუ, კოული, კარსლი
22 035 მაყურებელი

**ნიუკასლი — საუთჰემპტონი**

გადაიდო

# მაღლა და დაბლა



ლივერპული — ვესტ ჰემი 3:0. ლამპარდი და „ვესტ ჰემი" „ლივერპულთან" მუხლზე დაეცნენ

**„მანჩესტერ იუნაიტედმა"** რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა და მაინც დაამარცხა „ევერტონი". შეხვედრის ერთადერთი გოლი სტუმართა მცველ, სტივ უოტსონის ფეხიდან გავიდა 52-ე წუთზე. უოტსონმა ენდი კოულის დარტყმულს შეუშვირა ფეხი.

მანჩესტერელთა მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა საერთოდ არ გამოიყვანა კაპიტანი როი კინი, გარი ნევილი და ტედი შერინგემი. დევიდ ბექემი მეორე ტაიმში შეცვალა, რაიან გიგზი კი დაშავებული პოლ სქოულზის ნაცვლად გამოჩნდა მინდორზე. იმავ დილით კოულმა ახალ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ევერტონს" ჰქონდა შანსი და სანატრელი ერთი ქულისთვისაც თავდადებით იბრძოდა, მაგრამ გატანა ვერ მოახერხა. „დახურული თამაში იყო და ასეთ დროს იღბალი გჭირდება" — თქვა ფერგიუსონმა — „ჩვენ ჩემპიონთა ლიგისთვის ვემზადებით და შემადგენლობაში იმგვარ ცვლილებებს ვახდენთ, შედეგზე რომ არ იქონიებს გავლენას".

კარგა ხანია, რაც პრემიერლიგაში საბრძოლველად მეორე ადგილი შექნილა. გამოღვიძებული „არსენალი" კვლავაც რჩება ამ ადგილის მთავარ პრეტენდენტად. კვირას ქოვენთრიში ერთგვარი იღბლით მოგებულმა მატჩმა მეთოფენი ამ ადგილზე განამტკიცა. შეხვედრის ერთადერთი გოლი სილვენ ვილტორდის კარგი ჩაწოდების შემდეგ გაიტანა თავით დენის ბერხკამპმა. ეს შეხვედრის მიწურულს იყო, „ქოვენთრის" კი ალბათ, ძალიან გაუჭირდება პრემიერლიგაში დარჩენა. მით უმეტეს, რომ აქა-იქ მენეჯერ გორდონ სტრაჩანის შესაძლო გადაყენებაზეც ალაპარაკდნენ.

შაბათს კი, „ლივერპულმა" „ენფილდზე" სძლია „ვესტ ჰემს" — 3:0. ამ დღეს მაყურებელმა ძველი რობი ფაულერი იხილა. ფაულერმა დუბლი შეასრულა. „ლივერპულის" შემადგენლობაში პირველად ითამაშა ფრანგმა გრეგორი ვინალმა, სტუმრებს კი კარში კრეიგ ფორესტი ეყენათ, რომელსაც ტრავმირებული შაკა ჰისლოპი შეეცვალა. მასპინძელთა სტივენ ჯერარდმა და დიტმარ ჰამანმა შუა მოედანზევე მოგუდეს „ვესტ ჰემის" ახალგაზრდა ვარსკვლავები ჯო კოულის თამადობით და პაოლო დი კანიოს გარეშე და ტიტი კამარას ანაბარა დარჩენილ ფრედერიკ კანოს ჰაერი გადაუკეტეს. თამაში მთლად 3:0-სა არ იყო, მაგრამ ლივერპულელთა მგუდავმა ტაქტიკამ თავისი გააკეთა. მენეჯერმა ჟერარ ულიემ, რომელიც წინა კვირაში ამბობდა, კვლავაც ჩემპიონობისთვის ვიბრძვიო, ახლა განაცხადა: მიზნად საგაისო ჩემპიონთა ლიგა მაქვსო.

შინ, „მანჩესტერთან" წაგების შემდეგ ეგრეც ვერ გაიმართა წელში „სანდერლენდი", რომელმაც დერბიში წააგო. დერბელებმა ბევრი ყმაწვილი შეეშვათ მოედანზე. 21 წლის მეკარე ენდი ოუქსი საერთოდაც პირველად იდგა კარში საპრემიერლიგო შეხვედრაში. სტუმრებს ნაილ ქუინი აკლდათ, მასპინძლები კი აშკარად სეზონის საუკეთესო მატჩის სათამაშოდ გამოსულიყვნენ. კრეიგ ბარლის გოლი მხოლოდ აღნიშვნა იყო იმ დიდი უპირატესობისა, „დერბი" რომ ფლობდა შეხვედრის პირველ ნახევარ საათს. მანამდე მალკოლმ კრისტისაც უნდა გაეტანა, ჰორაციო კარბონარის საჯარიმოდან დარტყმული სასწაულებრივად გამოაძრო კარიდან მეკარე ტომას სორენსენმა.

კვლავ მოიგო „ლიდსმა", კვლავ გაიბრწყინა რობი კინმა. იფსვიჩის „პორტმან როუდზე" იქაური მარკ ვენუსის დღე იყო. მან ჯერ თავის კარში შეაგდო, მეორე ტაიმში კი გამოსასყიდის ძიებაში გაეშურა სტუმართა საჯარიმოსკენ და გოლიც გაიტანა. თუმცა, ამ დროს „ლიდსი" უკვე 2:0-ს იგებდა რობი კინის წყალობით. „იფსვიჩმა" თავი დადო, მაგრამ მწყობრში დაბრუნებული ნაიჯელ მარტინის კარში გოლი აღარ გასულა. ესეც არ იყოს და მასპინძლებს ქვა აღმართში დაეწიათ — მათი მთავარმეგოლე მარკუს სტიუარტი შეხვედრის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე გააძევეს იან ჰარტთან გაშლილი ფეხებით შეხეთქების გამო. მსაჯი პიტერ ჯონსი ლამის ხატს გადასცეს იფსვიჩელმა ფანებმა, „ლიდსის" აღმასვლა კი „იფსვიჩის" დაღმასვლის პარალელური გამოდგა.

ამასობაში კი წაგებათა სერიას თავს აღწევს „ლესტერი", „ჩელსი" კი კვლავ საზიზღრად თამაშობს გასვლაზე. თამაშის წინ ლონდონელთა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ თქვა: „ჩემი ფეხბურთელები საკმაოდ ჭკვიანი ბიჭები არიან და წესით, უნდა აითვისონ ის ტაქტიკური ცვლილებები, მათ რომ შევთავაზე". თამაშის შემდეგ ეს სიტყვები ლესტერელთა [illegible] ლორს [illegible]. [illegible] მანჩინის პროფესორულმა სტილმა შედეგი გამოიღო, მაზი იზეტმა და გარი როუეტმა კი გოლები გაიტანეს. როუეტის ბურთმა საერთოდაც ჩაკლა „ჩელსი". 75-ე წუთზე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა იზეტის გოლი გაქვითა, მაგრამ ამ ამბიდან წუთიც არ გასულიყო, რომ რობი სევიჯის საჯარიმოდან ჩაკიდული ბურთი მეტ ელიოტმა მიიგო თავით და როუეტიც იქვე იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 26 | 19 | 5 | 2 | 58:16 | 42 | 62 | 13 | 11 | 1 | 1 | 34:6 | 28 | 34 | 13 | 8 | 4 | 1 | 24:10 | 14 | 28 |
| 2 | არსენალი | 26 | 13 | 8 | 5 | 42:23 | 19 | 47 | 13 | 10 | 3 | 0 | 33:8 | 25 | 33 | 13 | 3 | 5 | 5 | 9:15 | -6 | 14 |
| 3 | ლივერპული | 25 | 13 | 5 | 7 | 46:27 | 19 | 44 | 13 | 10 | 2 | 1 | 28:8 | 20 | 32 | 12 | 3 | 3 | 6 | 18:19 | -1 | 12 |
| 4 | სანდერლენდი | 26 | 12 | 7 | 7 | 31:24 | 7 | 43 | 13 | 8 | 4 | 1 | 16:6 | 10 | 28 | 13 | 4 | 3 | 6 | 15:18 | -3 | 15 |
| 5 | იფსვიჩი | 25 | 12 | 4 | 9 | 37:32 | 5 | 40 | 13 | 6 | 4 | 3 | 20:12 | 8 | 22 | 12 | 6 | 0 | 6 | 17:20 | -3 | 18 |
| 6 | ლესტერი | 25 | 11 | 6 | 8 | 26:27 | -1 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 18:13 | 5 | 25 | 12 | 4 | 2 | 6 | 8:14 | -6 | 14 |
| 7 | ლიდსი | 25 | 11 | 5 | 9 | 37:33 | 4 | 38 | 13 | 7 | 1 | 5 | 22:18 | 4 | 22 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 16 |
| 8 | ჩელსი | 25 | 10 | 7 | 8 | 47:32 | 15 | 37 | 13 | 10 | 2 | 1 | 36:12 | 24 | 32 | 12 | 0 | 5 | 7 | 11:20 | -9 | 5 |
| 9 | ნიუკასლი | 25 | 11 | 4 | 10 | 32:35 | -3 | 37 | 12 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 6 | 23 | 13 | 4 | 2 | 7 | 14:23 | -9 | 14 |
| 10 | ჩარლტონი | 26 | 10 | 7 | 9 | 34:38 | -4 | 37 | 13 | 8 | 4 | 1 | 21:9 | 12 | 26 | 13 | 2 | 3 | 8 | 13:29 | -16 | 9 |
| 11 | ტოტენჰემი | 26 | 8 | 9 | 9 | 30:34 | -4 | 33 | 13 | 8 | 5 | 0 | 22:9 | 13 | 29 | 13 | 0 | 4 | 9 | 8:25 | -17 | 4 |
| 12 | ასტონ ვილა | 24 | 8 | 8 | 8 | 27:26 | 1 | 32 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 16 | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | -2 | 16 |
| 13 | საუთჰემპტონი | 25 | 8 | 8 | 9 | 29:34 | -5 | 32 | 13 | 7 | 2 | 4 | 19:15 | 4 | 23 | 12 | 1 | 6 | 5 | 10:19 | -9 | 9 |
| 14 | ვესტ ჰემი | 25 | 7 | 10 | 8 | 32:30 | 2 | 31 | 12 | 4 | 5 | 3 | 17:11 | 6 | 17 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:19 | -4 | 14 |
| 15 | ევერტონი | 25 | 7 | 6 | 12 | 26:37 | -11 | 27 | 12 | 3 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 14 | 13 | 4 | 1 | 8 | 11:21 | -10 | 13 |
| 16 | დერბი ქაუნთი | 26 | 6 | 9 | 11 | 27:43 | -16 | 27 | 13 | 5 | 6 | 2 | 16:16 | 0 | 21 | 13 | 1 | 3 | 9 | 11:27 | -16 | 6 |
| 17 | მიდლსბრო | 26 | 5 | 11 | 10 | 30:33 | -3 | 26 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 14 | 13 | 2 | 6 | 5 | 15:16 | -1 | 12 |
| 18 | სიტი | 26 | 5 | 8 | 13 | 30:45 | -15 | 23 | 13 | 3 | 3 | 7 | 17:20 | -3 | 12 | 13 | 2 | 5 | 6 | 13:25 | -12 | 11 |
| 19 | ქოვენთრი | 26 | 5 | 6 | 15 | 23:45 | -22 | 21 | 13 | 2 | 4 | 7 | 9:19 | -10 | 10 | 13 | 3 | 2 | 8 | 14:26 | -12 | 11 |
| 20 | ბრედფორდი | 25 | 3 | 7 | 15 | 16:46 | -30 | 16 | 12 | 2 | 4 | 6 | 10:20 | -10 | 10 | 13 | 1 | 3 | 9 | 6:26 | -20 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 14 |
| ანრი (არსენალი) | 13 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 13 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 12 |
| ჰესკი (ლივერპული) | 11 |

**XXVII ტური**

10 თებერვალი
არსენალი — იფსვიჩი
ასტონ ვილა — მიდლსბრო
ჩელსი — მანჩესტერი
ევერტონი — ლესტერი
ლიდსი — დერბი ქაუნთი
სიტი — ტოტენჰემი
საუთჰემპტონი — ბრედფორდი
სანდერლენდი — ლივერპული
11 თებერვალი
ჩარლტონი — ნიუკასლი
12 თებერვალი
ვესტ ჰემი — ქოვენთრი

## პირველი დივიზიონი

### XXX ტური

**ვულვერჰემპტონი 1:1 ჯილინგემი**

0:1 კინგი (26), 1:1 ბრენჩი (45)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, პოლეტი, ბატლერი, ნეილორი, ენდრიუსი, დინინგი, რობინსონი, ბრენჩი, პრუდლოკი, სინტონი (ნდა 59)
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
26 627 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:1 ნორვიჩი**

1:0 ჰიუზი (9), 2:0 ჰარსი (62პ), 2:1 ლეველინი (80)

**ბლეკბერნი 0:0 ბარნსლი**

**ქრიუ 4:2 ბარნლი**

1:0 სტრიტი (5), 1:1 ბრენჩი (12), 2:1, 3:1 ს. სმიტი (40პ, 44პ), 3:2 კუკი (60პ), 4:2 ეშტონი (85)

**კრ. პალასი 2:2 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ფორსელი (2), 2:0 პოლოკი (6), 2:1 სნიკსი (42), 2:2 ჰიუზი (55)

**ჰადერსფილდი 1:1 ნოტინგემი**

0:1 შიმეცა (12), 1:1 ფეისი (45)

**პორტსმუთი 0:1 პრესტონი**

0:1 ჰეილი (26)

**ქუინზ პარკი 1:1 ბოლტონი**

1:0 ნგონგე (53), 1:1 ფრანდსენი (87)

**შეფილდ უენსდი 2:3 უოტფორდი**

0:1 ვერნაცა (10), 1:1 სიბონი (15), 1:2 უორდი (25), 2:2 ეკოკუ (45), 2:3 სმიტი (49)

**სტოკპორტი 1:1 ტრანმერი**

1:0 უილბრემი (39), 1:1 რიდო (90)

**ფულემი 1:1 შეფილდ იუნ.**

1:0 ბოა მორტე (17), 1:1 დეჯაგო (41)

**გრიმსბი — უიმბლდონი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 30 | 22 | 5 | 3 | 68:22 | 71 |
| ბოლტონი | 30 | 18 | 7 | 5 | 50:24 | 61 |
| ბლექბერნი | 29 | 16 | 8 | 5 | 45:28 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 16 | 6 | 8 | 41:34 | 54 |
| ბირმინგემი | 28 | 16 | 5 | 7 | 40:28 | 53 |
| უოტფორდი | 29 | 16 | 4 | 9 | 52:40 | 52 |
| ნოტინგემი | 29 | 14 | 5 | 10 | 38:33 | 47 |
| შეფილდ იუნ. | 30 | 12 | 8 | 10 | 32:30 | 44 |
| პრესტონი | 29 | 13 | 5 | 11 | 36:39 | 44 |
| ბარნლი | 28 | 12 | 6 | 10 | 30:34 | 42 |
| უიმბლდონი | 28 | 10 | 8 | 10 | 42:33 | 38 |
| ნორვიჩი | 30 | 9 | 8 | 13 | 27:37 | 35 |
| ვულვზი | 29 | 8 | 10 | 11 | 30:33 | 34 |
| პორტსმუთი | 30 | 7 | 13 | 10 | 30:35 | 34 |
| ჯილინგემი | 29 | 7 | 12 | 10 | 38:40 | 33 |
| კრ. პალასი | 29 | 8 | 9 | 12 | 43:46 | 33 |
| ბარნსლი | 30 | 8 | 7 | 15 | 30:41 | 31 |
| სტოკპორტი | 30 | 6 | 12 | 12 | 39:49 | 30 |
| გრიმსბი | 28 | 8 | 6 | 14 | 27:40 | 30 |
| ქრიუ | 28 | 8 | 4 | 16 | 26:39 | 28 |
| ჰადერსფილდი | 28 | 6 | 9 | 13 | 28:35 | 27 |
| ტრანმერი | 28 | 7 | 6 | 15 | 29:46 | 27 |
| ქუინზ პარკი | 29 | 4 | 14 | 11 | 30:43 | 26 |
| უენსდი | 30 | 7 | 5 | 18 | 32:54 | 26 |

## მეორე დივიზიონი

30-ე ტური: რექსჰემი — სუინდონი 1:1; ბორნმუთი — კოლჩესტერი 2:2; ბერი — პიტერბორო 2:1; მილუოლი — როვერსი 3:0; ნოთსი — ოლდემი 1:0; რედინგი — პორტვეილი 1:0; სტოკი — ნორთჰემპტონი 1:1; უიკომბი — ბრენტფორდი 0:0; ბრისტოლი — სუონსი 3:1; უიგანი — უოლსოლი 1:1. კემბრიჯი — ოქსფორდი და ლუთონი — როტერჰემი გადაიდო

## მესამე დივიზიონი

30-ე ტური: ბარნეტი — ჩესტერფილდი 1:1; ბლექპული — სკანთორპი 6:0; კარლაილი — კიდერმინსტერი 2:0; ჩელტენემი — ჰალი 0:1; ლეიტონი — ჰალიფაქსი 3:0; მაკლსფილდი — პლიმუთი 3:1; შრიუსბერი — ჰარტლპული 1:1; საუთენდი — ლინკოლნი 1:0; ტორკი — ბრაიტონი 0:1; კარდიფი — როჩდეილი 0:0; მენსფილდი — ექსეტერი 1:1. იორკი — დარლინგტონი გადაიდო

## გერმანია

### XX ტური

### კიოლნი 0:1 ფრაიბურგი

0:1 კობიაშვილი (87პ)
კიოლნი: ბადე, სიხონე, ჩიკონი (ბულაიჩი 89), კელერი, სინკალა, ცოვიორი, ვოიგტი, ლოტნერი, შერცი (დონკოვი 85), ტიმი, კურტი (ა. არველაძე 72)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, ცილი (ცქიტიშვილი 46), კელი, კობიაშვილი, კულიბალი, ა. ცაიერი, ვ. ბუტი (ბაია 80), იაშვილი, სელიმი (დორნი 74)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ტიმი, კელერი, კულიბალი, კონდე, ცილი, კელი
28 500 მაყურებელი

### მიუნხენი 1:0 დორტმუნდი

1:0 ჰესლერი (53პ)
მიუნხენი: იენჩი, ზელიჩი (ცლერსი 4), კურცი, ტ. ჰოფმანი, რისეტი, შტრანცლი, ბორიმიროვი, ბაიროფკა, ჰესლერი (ტაისი 73), შროტი (აგოსტინო 90), მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, კოლერი, ევანილსონი, დედე, ნერლინგერი (ადო 60), ჰაინრიხი, რიკენი, სორენსენი (როსიცკი 60), რეინა, ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბაიროფკა, ბორიმიროვი, შროტი, შტრანცლი, დედე, ევანილსონი, კოლერი
გაძევება: რიკენი (90)
20 000 მაყურებელი

### კოტბუსი 4:1 შალკე

1:0 მირიუტა (1), 2:0 ჰელბიგი (42), 2:1 სანდი (54), 3:1 კობილანსკი (72), 4:1 ლაბაკი (75)
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, ჰუჯუროვიჩი, ბეეკი, აკპაროვიჩი, რეჟეკამპფი, ტილმანი, კობილანსკი, მირიუტა, ფრანკლინი (ლაბაკი 63), ჰელბიგი (ს. ილიევ 76)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ჰაჯე, ვან კერკჰოვენი, ვან ჰუგდალემი, ნემეცი (ბიოსკენსი 76), ასამოა (ლატალი 65), ბიომე, მულდერი (ნიკოლაიჩუკი 82), სანდი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: ჰელბიგი, ლაბაკი, ასამოა
გაძევება: ბიომე (62)
16 009 მაყურებელი

### ვერდერი 3:1 ჰამბურგი

1:0 პიზარო (45), 1:1 ჰაინცი (56), 2:1 აილტონი (71პ), 3:1 პიზარო (89)
ვერდერი: ფ. როსტი, ვერლაატი, ფრინგსი (სტალტერი 83), კრსტაიჩი, ბოდე, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი, აილტსი (ტრარესი 37), ა. ჰერცოგი (ლი 81), პიზარო, აილტონი
მწვრთნელი: თომას შაფი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, პანადიჩი (ფუკალი 77), იუჟფალუში, ნ. კოვაჩი, გროთი (მეიერი 77), ჰოლერბახი (ილმაზი 71), ბარბარესი, მაჰდავიკია, ჰაინცი, იებოა
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ბოდე, აილტსი, ვერლაატი, ბაუმანი, გროთი, კოვაჩი, პანადიჩი, ჰაინცი
31 526 მაყურებელი

### უნტერჰახინგი 1:2 ლევერკუზენი

0:1 კირსტენი (27), 1:1 შტროუბე (32), 1:2 ნოივილი (53)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ჰ. ჰერცოგი, გრასოვი (დ. ნოვაკი 64), ციმერმანი, შვარცი, ჰაბერი, შტროუბე, ჩიჟეკი (ობერლაიტნერი 64), ჰაინფელდი (რაკლი 68), ბრაიტენრაიტერი
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოსტნერი
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ლუსიო, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, პლასენტე, ზივკოვიჩი, რამელო, ბ. შნაიდერი, ზე რობერტო (რინკე 74), კირსტენი (ვრანიეში (80), ნოივილი (პონტე 87)
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
გაფრთხილება: ჰაინფელდი, რაკლი, ნოვაკი, ლუსიო, კოვაჩი
გაძევება: ჰერცოგი (90)
9 000 მაყურებელი

### შტუტგარტი 6:1 კაიზერსლაუტერნი

1:0 ადემარი (11), 1:1 ბასლერი (21), 2:1, 3:1 განია (31, 37), 4:1, 5:1 ადემარი (53, 78), 6:1 განია (85)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, თ. შნაიდერი, სოლდო, ბორდონი (ბლანკი 80), ტიაში, კუფი, ზაიცი (ჰინტე 72), გერბერი, ლისტენში (მაისნერი 76), განია, ადემარი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, რამზი, მარშალი, ბიელიცა, ბასლერი, ხრისტოვი, ბუკი (იაკინი 46), შტრასერი, ლოკვენცი (ტომშიოლერი 79), ჯორკაეფი (კლოსე 39)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: გერბერი, ზაიცი, ბუკი, ლოკვენცი, კლოსე, რამზი
18 000 მაყურებელი

### ბოხუმი 1:3 ჰერტა

0:1 პრეეცი (32), 1:1 ჰეშელი (62), 1:2, 1:3 მიხალკე (67, 90)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, შტიკროტი, მილინოვიჩი, დიკჰაუტი, მანდრეკო (ფრაიერი 64), კოლდინგი, შინდცილორცი (ბაკლი 73), ჰეშელი, ბასტურკი, კრისტიანსენი (დრინჩიჩი 46), მ. მარიჩი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
ჰერტა: კირალი, რემერი (ვან ბურიკი 69), სვერისონი, სიმუნიჩი, კონსტანტინიდისი (ვაიტი 85), ტრეჯოკი, დარდაი, ჰარტმანი, დაისლერი (მიხალკე 43), ვოში, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: მარიჩი, ბასტურკი, კონსტანტინიდისი, სვერისონი
15 302 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 1:3 ბაიერნი

0:1 ელბერი (13), 1:1 იუსკოვიაკი (27), 1:2 შოლი (45), 1:3 ელბერი (60)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, იფეიბგვა (დ. მუნტიანუ 74), შენგენი, კ. ნოვაკი (შნური 57), სებესკენი, აკონორი, ვაისერი, კუპპერმერი, იუსკოვიაკი, აკპობორი (ტ. მარიჩი 18)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ბაიერნი: კანი, კუფური, იერემისი, ლინკე, ფინკე, სანიოლი, სალიჰამიჯიჩი, შოლი (ჰარგრივსი 81), ეფენბერგი, ციკლერი (იანკერი 81), ელბერი (პაულო სერჯიო 86)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კუფური
20 400 მაყურებელი

### ჰანზა 0:2 აინტრახტი

0:1 კრიცალოვიჩი (30), 0:2 გებჰარდტი (45)
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ბენკენი, ვიბრანი, იასერი, რიდლეჩიჩი, მაიაკი, ბრაიტკროიცი (ბაუმგარტი 60), აგალი, სალუ
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
აინტრახტი: ნიკოლოვი, კუჩერა, რადა, კრაჰტი, შური, მუტცელი (ბინდევალდი 89), გებჰარდტი, სობოტზიკი (გუილ მიენი 46), ჰელდტი, ჩენ იანგი, კრიცალოვიჩი (ლიოში 79)
მწვრთნელი: რალფ დომენი
გაფრთხილება: შური, გებჰარდტი, შრიოდერი, ჩენ იანგი
გაძევება: შრიოდერი (36), კრაჰტი (66), ჩენ იანგი (90)
11 000 მაყურებელი

# ძე და შვილები ქართველთა

## ასეთ დაპირისპირებას გაუმარ — ჯოს!



კიოლნი — ფრაიბურგი 0:1. კობიაშვილი — მარჯვნივ, ბადე — მარცხნივ, იაშვილს (№9) ჩარევა არ დასჭირდა

**შაბათს** ბუნდესლიგაში ქართული დერბი იყო, არჩილ არველაძის „კიოლნმა" ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილის, ლევან ცქიტიშვილისა და გიორგი კიკნაძის „ფრაიბურგს" უმასპინძლა და 0:1 წააგო.

აღარ ხუმრობს „ფრაიბურგი", ფოლკერ ფინკეს გუნდმა ზამთრის არდადეგებამდე აღებული ტემპი შეინარჩუნა, უკვე რვა თამაშია დაუმარცხებელია და წინ მიიწევს, რაშიც ქართველთა წვლილი საკმაოა. ასეთი წარმატების მთავარი გასაღები დაცვის კარგი თამაშია — „ფრაიბურგს" ბუნდესლიგაში ყველაზე ნაკლები ბურთი აქვს გაშვებული.

შაბათს ქართული დერბის ბედი ქართველმა გადაწყვიტა. 87-ე წუთზე ლევან კობიაშვილმა დორნის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჩინებულად შეასრულა. შეხვედრა სახიფათო მომენტებით უხვი კი იყო, მაგრამ გოლი ერთი გავიდა. მეკარეები — ბადე და გოლცი შეუდარებელნი იყვნენ, ყველაზე მაღალი შეფასებებიც მათ მიიღეს. ასეთი თამაშის ფონზე შედეგი სამართლიანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ სტუმრები მეტოქეს სჯობდნენ და სამ ქულასაც უფრო იმსახურებდნენ. „კიოლნს" შეცვლაზე შესულმა არველაძემაც ვერ უშველა. საერთოდ მატჩი, ორმა ქართველმა დაიწყო, შესვენების შემდეგ სამმა გააგრძელა და საბოლოოდ ოთხმა დაასრულა.

„ჩვენ გაგვიმართლა, რადგან ბოლო წუთებზე პენალტის წყალობით მოვიგეთ, თუმც დაუმსახურებლად არაფერი მომხდარა. ეს ის შემთხვევაა, როცა ფორტუნა ძლიერს უღიმის" — თქვა ფინკემ მატჩის შემდეგ.

მისმა კიოლნელმა კოლეგა ევალდ ლინენმა კი ძირითადად მინდვრის ცუდ მდგომარეობაზე ისაუბრა, ასეთ მოედანზე თამაში, როგორ შეიძლებაო. კიოლნის სტადიონის საფარი მართლაც ყველაზე ცუდად ითვლება გერმანიაში.

16 ათასზე მეტი კოტბუსელი შაბათსვე სიხარულით ცას ეწია, რადგან ბუნდესლიგის დებიუტანტმა და ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ელიტარულ ლიგაში პირადი რეკორდი დაამყარა — 4:1 „კოტბუსს" აქამდე ვერ მოეგო. თანაც არ იკითხავთ, ვისთან იმარჯვა, — ლიდერ გელზენკირხენის „შალკესთან".

მატჩი დაიწყო თუ არა, მასპინძლებმა შეუტიეს. იერიში მულდერმა ჩაშალა, კობილანსკი თოვლიან მინდორზე წააქცია. მირიუტამ დაახლოებით 20 მეტრიდან ჯარიმა ჩინებულად შეასრულა და ანგარიში გახსნა. ბურთი რომ ბადეს შეეხო, თამაში სულ 47 წამის დაწყებული იყო. ამ გოლმა სტუმრები გატეხა, მასპინძლებს კი ფრთები შეასხა და...

„შალკეს" ქომაგებს ერთხელ მიეცათ თამაშის გადარჩენის იმედი, როცა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა ებე სანდმა ანგარიში შეამცირა. ეს მეორე ტაიმში მოხდა, როცა მინდორზე ბევრი რამ ნათელი იყო — „კოტბუსი" იგებდა და დიდ უპირატესობასაც ფლობდა. მერე სტუმრებს ბიომე გაუგდეს და პატარა იმედი კიდევ უფრო შემცირდა, 72-ე წუთზე კი სულაც გაქრა, რადგან კობილანსკიმ სხვაობა გაზარდა. საბოლოო შედეგი ლაბაკმა დააფიქსირა.

„20 თამაშში 37 ქულა გვაქვს. ამით კმაყოფილი ვარ, დღევანდელი მატჩით კი — არა. ყველაფერი ნაადრევმა გოლმა და ბიომეს გაძევებამ გადაწყვიტა" — ასეთი კომენტარი გააკეთა „შალკეს" თავკაცმა ჰუუბ სტივენსმა.

როცა „შალკე" კოტბუსში აგებდა, მიუნხენის „ბაიერნი" სტუმრად „ვოლფსბურგს" ამარცხებდა. ბავარიელებმა საბოლოოდ 3:1 მოიგეს და საკმაო შესვენების შემდეგ კვლავ ლიდერები — გახდნენ.

„ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო" — თქვა „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა.

მიუნხენელებმა მასპინძლები იოლად დაჩაგრეს. უკვე მე-14 წუთზე ელბერმა ფეხებს შუა გაუტანა რაიტმაიერს. „ბაიერნის" პირველი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, ტაიმის შუაგულში ვოლფსბურგელთა პოლონელმა თავდამსხმელმა იუსკოვიაკმა ანგარიში გაათანაბრა. მერე კი „ბოლის" ჯერი დადგა, ყველას რომ ეგონა, შესვენებაზე ფრე იქნებოდა, თურქული წარმოშობის ნახევარმცველმა მაშინ იმარჯვა, სანიოლის ჩაწოდებული ბურთს დაუხვდა და „ბაიერნი" ხელმეორედ დააწინაურა. მეორე ტაიმში ელბერმა ჩვეული თავურით ერთიც დაამატა.

„ლევერკუზენი" კვირას იმ ქალაქს ეწვია, სადაც შარშან ჩემპიონობა დაკარგა. გასულ სეზონში კრისტოფ დაუმის გუნდს ქულა ჰყოფნიდა, მაგრამ დამარცხდა, ბერტი ფოგტსის ხელში კი ლევერკუზენელებმა ერთბაშად სამი აიღეს. კირსტენის გოლი კი გაქვითეს უნტერჰახინგელებმა, მაგრამ ჩია ნოივილის ზუსტ თავურს ვერაფერი მოუხერხეს და ხახამშრალნიც დარჩნენ.

„დორტმუნდის" მიერ მიუნხენში დაწყებული წაუგებელი სერია მიუნხენშივე შეწყდა. 4 ნოემბერს მათიას ზამერის შეგირდებს „ბაიერნმა" გაკვეთილი ჩაუტარა და 6:2 მოუგო, მას მერე „დორტმუნდს" რვა მატჩი არ წაუგია. მარცხი კი ისევ „ოლიმპიაშტადიონზე" იწვნია — „მიუნხენმა" 53-ე წუთზე ჰესლერის გატანილი პენალტით 1:0 დაამარცხა მეტოქე. ასე ჩაუმწარდა ბუნდესლიგაში დებიუტი სარეკორდო 25 მილიონ მარკად ნაყიდ უცხოელს, ჩეხ ტომაშ როსიცკის, რომელმაც ნახევარი საათი ითამაშა, თუმცა თავი დიდად არ გამოუჩენია. ვერც სხვები გამოირჩნენ და „დორტმუნდსაც", წაგებად დაუჯდა თერთმეტმეტრიანი, რომელიც ევანილსონმა სულელურად აიკიდა.

მე-20 ტურში ორმა ფეხბურთელმა შეასრულა ჰეთ თრიქი, ორივე თავგამოჩენილი „შტუტგარტის" წევრია, ფორვარდები — რუმინელი ვიორელ განია და ბრაზილიელი ადემარი. მათ მიერ გატანილ ექვს გოლს „კაიზერსლაუტერნმა" მხოლოდ ერთით უპასუხა და 1:6 შერცხვა.

წლეულს ყველა გერმანული გუნდი, ვინც კი მწვრთნელი შეიცვალა, ალმავლობის გზას დაადგა. მათ შორისაა ფრანკფურტის „აინტრახტიც". გასული კვირის დასაწყისში გაგდებული ფელიქს მაგათის ადგილი დროებით სპორტულმა დირექტორმა რალფ დომენმა დაიკავა და ზედიზედ ექვსი მარცხის მერე „აინტრახტმა" სტუმრად „ჰანზას" 2:0 მოუგო.

**ვანო ოქროპირიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 20 | 12 | 3 | 5 | 43:23 | 20 | 39 | 10 | 8 | 0 | 2 | 27:12 | 15 | 24 | 10 | 4 | 3 | 3 | 16:11 | 5 | 15 |
| 2 შალკე | 20 | 11 | 4 | 5 | 40:23 | 17 | 37 | 9 | 7 | 2 | 0 | 19:6 | 13 | 23 | 11 | 4 | 2 | 5 | 21:17 | 4 | 14 |
| 3 ლევერკუზენი | 20 | 11 | 4 | 5 | 34:22 | 12 | 37 | 9 | 7 | 1 | 1 | 19:4 | 15 | 22 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:18 | -3 | 15 |
| 4 დორტმუნდი | 20 | 11 | 3 | 6 | 31:26 | 5 | 36 | 9 | 6 | 0 | 3 | 14:10 | 4 | 18 | 11 | 5 | 3 | 3 | 18:15 | 3 | 18 |
| 5 ჰერტა | 20 | 11 | 1 | 8 | 42:36 | 6 | 34 | 10 | 6 | 1 | 3 | 26:17 | 9 | 19 | 10 | 5 | 0 | 5 | 16:19 | -3 | 15 |
| 6 ლაუტერნი | 20 | 9 | 4 | 7 | 27:29 | -2 | 31 | 10 | 5 | 3 | 2 | 12:8 | 4 | 18 | 10 | 4 | 1 | 5 | 15:21 | -6 | 13 |
| 7 ფრაიბურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 28:21 | 7 | 30 | 9 | 5 | 2 | 2 | 19:5 | 14 | 17 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:16 | -7 | 13 |
| 8 კიოლნი | 20 | 8 | 5 | 7 | 38:31 | 7 | 29 | 11 | 6 | 3 | 2 | 26:13 | 13 | 21 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:18 | -6 | 8 |
| 9 ვოლფსბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 37:27 | 10 | 28 | 11 | 5 | 4 | 2 | 26:14 | 12 | 19 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 9 |
| 10 ვერდერი | 20 | 7 | 6 | 7 | 28:30 | -2 | 27 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:10 | 9 | 21 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 6 |
| 11 მიუნხენი | 20 | 7 | 6 | 7 | 25:33 | -8 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:14 | -1 | 17 | 10 | 2 | 4 | 4 | 12:19 | -7 | 10 |
| 12 კოტბუსი | 20 | 7 | 2 | 11 | 26:35 | -9 | 23 | 11 | 7 | 0 | 4 | 19:14 | 5 | 21 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:21 | -14 | 2 |
| 13 აინტრახტი | 20 | 7 | 2 | 11 | 25:36 | -11 | 23 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:13 | 4 | 16 | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | -15 | 7 |
| 14 ჰამბურგი | 20 | 6 | 3 | 11 | 37:39 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 19:12 | 7 | 16 | 11 | 1 | 2 | 8 | 18:27 | -9 | 5 |
| 15 შტუტგარტი | 20 | 5 | 6 | 9 | 31:35 | -4 | 21 | 11 | 5 | 5 | 1 | 25:14 | 11 | 20 | 9 | 0 | 1 | 8 | 6:21 | -15 | 1 |
| 16 უნტერჰახინგი | 20 | 5 | 6 | 9 | 20:31 | -11 | 21 | 11 | 4 | 4 | 3 | 13:12 | 1 | 16 | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | -13 | 5 |
| 17 ჰანზა | 20 | 6 | 3 | 11 | 19:33 | -14 | 21 | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | -4 | 12 | 10 | 3 | 0 | 7 | 8:18 | -10 | 9 |
| 18 ბოხუმი | 20 | 5 | 3 | 12 | 19:40 | -21 | 18 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:19 | -5 | 14 | 9 | 1 | 1 | 7 | 5:21 | -16 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 14 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 12 |
| პრეეცი (ჰერტა) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 12 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 11 |

### XXI ტური

9 თებერვალი
აინტრახტი — კოტბუსი
10 თებერვალი
შალკე — მიუნხენი
კაიზერსლაუტერნი — უნტერჰახინგი
ბაიერნი — შტუტგარტი
ჰერტა — ვოლფსბურგი
ჰამბურგი — ბოხუმი
ლევერკუზენი — კიოლნი
4 თებერვალი
ფრაიბურგი — ჰანზა
დორტმუნდი — ვერდერი

## მეორე ბუნდესლიგა

### XX ტური

### ოსნაბრუკი 2:1 ფიურტი

1:0 კლასენი (2), 1:1 ამანატიდისი (68), 2:1 ტიუნი (85)
ფიურტი: რეიხოლდი, შკარაბელა, სბორდონე, ბოი (რაიტერი 46), სურმანი, შასა, რეიხელი, აზუზი, რუმანი (ამანატიდისი 68), ჰასენჰუტლი, ტური (კაიო 46)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
7 500 მაყურებელი

### ნიურნბერგი 1:0 ვალდჰოფი

1:0 კრჟინოვეკი (56)

### ალენი 2:1 ჰანოვერი

0:1 შტეფული (71), 1:1 არნოლდი (75), 2:1 კრომი (83)

### ულმი — მიონხენგლადბახი
### მაინცი — დუისბურგი
### ობერჰაუზენი — არმინია
### ალემანია — კიკერსი
### ზაარბრიუკენი — ქემნიცი
### ზანქტ პაული — როიტლინგენი

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 20 | 15 | 3 | 2 | 41:16 | 48 |
| ზანქტ პაული | 19 | 9 | 6 | 4 | 43:31 | 33 |
| გლადბახი | 19 | 8 | 8 | 3 | 34:19 | 32 |
| როიტლინგენი | 19 | 9 | 5 | 5 | 42:33 | 32 |
| ვალდჰოფი | 20 | 9 | 5 | 6 | 29:24 | 32 |
| ჰანოვერი | 20 | 8 | 6 | 6 | 33:23 | 30 |
| დუისბურგი | 19 | 8 | 5 | 6 | 30:23 | 29 |
| ფიურტი | 20 | 8 | 5 | 7 | 29:23 | 29 |
| ობერჰაუზენი | 19 | 9 | 2 | 8 | 27:28 | 29 |
| ზაარბრიუკენი | 19 | 8 | 4 | 7 | 27:36 | 28 |
| ალენი | 20 | 6 | 6 | 8 | 29:35 | 24 |
| ალემანია | 19 | 6 | 5 | 8 | 28:37 | 23 |
| არმინია | 19 | 5 | 5 | 9 | 25:25 | 20 |
| ულმი | 19 | 5 | 5 | 9 | 23:28 | 20 |
| კიკერსი | 19 | 4 | 8 | 7 | 17:23 | 20 |
| მაინცი | 19 | 4 | 7 | 8 | 18:24 | 19 |
| ოსნაბრუკი | 20 | 4 | 5 | 11 | 17:33 | 17 |
| ქემნიცი | 19 | 2 | 4 | 13 | 14:45 | 10 |

# ბევრი გოლი, ბაბა!

## ესპანეთი

### XXI ტური

### სოსიედადი 2:2 სელტა

1:0 ხოხლოვი (19), 2:0 იანკაუსკასი (71ზ), 2:1 ლორენი (73ს.კ.), 2:2 მოსტოვოი (90)
სოსიედადი: ალბერი, ჟულიო სეზარი, კორინო, ლოპეს რეკარტე, ლორენი, აუგუსტინ არანსაბალი, ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო (ხაურეგი 61), ხოხლოვი, ლორენტე (დე პედრო 60), იანკაუსკასი (დე პაულა 79)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
სელტა: კავალიერო, ბერიზო (ნოგეირა 65), იაგო, კოირა (ტომასი 60), კასერესი, ედუ, მოსტოვოი, კარპინი, ჯოვანელა, ვაგნერი, მაკარტი (კატანია 37)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ედუ, ხაბი ალონსო, კორინო, მოსტოვოი, ჯოვანელა, ჟულიო სეზარი, კარპინი
გაძევება: ნოგეირა (71)
28 000 მაყურებელი

### რეალი 4:3 მალაგა

1:0 გუტი (15), 1:1 როტეტა (25), 1:2 დელი ვალდესი (29), 2:2, 3:2 რაული (39, 42), 3:3 დარიო სილვა (73), 4:3 ელგერა (75)
რეალი: კასილიასი, სალგადო, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ელგერა, მაკმანამანი, გუტი (მუნიტისი 75), ფიგუ, რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მალაგა: კონტრერასი, დ. ლარაინსარი (ფერნანდო სანსი 86), ვალკარსე, როტეტა, როხასი, დე ლოს სანტოსი, ზარატე (აგოსტინიო 65), რუფეტე, მოვილია, დელი ვალდესი, დარიო სილვა (კანაბალი 80)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ფიგუ, რაული, ვალკარსე, დარიო სილვა, ელგერა
70 000 მაყურებელი

### ბარსელონა 7:0 ბილბაო

1:0, 2:0 ლუის ენრიკე (5, 24), 3:0 კოკუ (25), 4:0 აბელარდო (30), 5:0 ლუის ენრიკე (35), 6:0 კოკუ (44), 7:0 ოვერმარსი (66)
ბარსელონა: რეინა, სერხი, ფ. დე ბური, აბელარდო, ოვერმარსი (ალფონსო 72), გაბრი, გვარდიოლა (ხავი 64), კოკუ (ხერარდი 72), ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ბილბაო: ლაფუენტე, ა. ლარაინსარი, ლაკრუსი, ლარასაბალი, ორბაისი, იესტე (ფელიპე 63), ა. გერერო (ალკისა 72), ურუტია, ოსკარ ვალესი, ურსაისი, ხ. ეჩებერია (კუელიარი 46)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: გვარდიოლა, ორბაისი, ურსაისი
80 000 მაყურებელი

### დეპორტივო 2:1 რასინგი

1:0 მაკაი (5), 1:1 კოლსა (31), 2:1 მაკაი (33)
დეპორტივო: ხ. მოლინა, ნაიბეტი, რომერო, მანუელ პაბლო, ემერსონი (ჯალმინია 59), დონატო, სკალონი, ფრანი (ვიქტორი 75), მაურო სილვა, პანდიანი, მაკაი (დიეგო ტრისტანი 87)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რასინგი: სებალიოსი, ნერუ, ხუანმა, ტაისი (პინედა 37), მელბერგი (რეგეირო 57), არსენო, მაცონი (მაგალიანეში 83), ხულიო ალვარესი, ამავისკა, კოლსა, ესპინია
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
30 000 მაყურებელი

### მალიორკა 2:2 ვალენსია

1:0 ეტოო (22), 1:1 ბარახა (68), 1:2 მენდიეტა (75), 2:2 ლუკე (90)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინო, მიგელ სოლერი, ფინიდი (ნოვო 60), ენგონგა, იბაგასა (ჩიჩი სოლერი 28), კარერასი (კარლოსი 81), ლუკე, ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, კარბონი, ჯუკიჩი, პელეგრინო, დეშამპი (ბარახა 60), ანგულო, მენდიეტა, კარეუ (დიეგო ალონსო 76), კილი გონსალესი (ვისენტე 90), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, ენგონგა, კარბონი, ანგულო
18 000 მაყურებელი

### სარაგოსა 6:1 რაიო ვალეკანო

1:0 ჟამელი (22), 2:0 ესნაიდერი (32), 3:0 ხუანელე (46), 4:0 ლანა (50), 4:1 სემბრანოსი (63პ), 5:1 აკუნია (75), 6:1 აგუადო (86)
სარაგოსა: ხუანმი, პაკო ხემესი, პაბლო (ლანა 11), აგუადო, აკუნია, ხოსე იგნასიო, მარტინ ველისკა, გურენკო, ესნაიდერი, ჟამელი (მონტენეგრო 70), ხუანელე (ფერონი 70)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
რაიო ვალეკანო: კელერი, დე კინტანა, ფერეირა (ივან იგლესიასი 53), მინგო, ალკასარი, გლაუსიო, კვედო, პელდერი (ბოლიჩი 46), პოშნერი, მიჩელი, ბოლო (სემბრანოსი 51)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ხუანელე, ჟამელი, ფერეირა
24 000 მაყურებელი

### ლას პალმასი 1:0 ოვიედო

1:0 ულარე (73)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ალვარო, პაკუი, შურერი, იარნი, სემვისი, ხოსიკო (გიარე 64), ელოი, ანხელი, ულარე (ტურდო 85), პაბლო ლაგო (ხორხე 35)
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
ოვიედო: ესტებანი, პაბლო სუარესი (როდრიგესი 50), დანჟუ, ონოპკო, გასპარი, ივო, ი. ტომიჩი, ივან ანია (რეიესი 75), ამიევა, პაუნოვიჩი (კოლიმორი 67), ოლი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ხორხე, პაბლო სუარესი, პაკუი, ალვარო, სემვისი, გასპარი, ივო, ონოპკო
18 000 მაყურებელი

### ოსასუნა 1:3 ესპანიოლი

0:1 მატეო (ნს.კ.), 0:2, 0:3 ველამასანი (32, 39), 1:3 მატეო (63)
ოსასუნა: ნუნო, ვიდაკოვიჩი, კრუჩაგა, მატეო, ლეკუმბერი (განკედო 46), ალფრედო, ალფონსო (ტრეჩაკი 80), ალექსი, არმენტანო, ივან როსადო, არპონი (ლორენსი 46)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ესპანიოლი: მორა, ტოლედო, როტჩენი, კრისტობალი, სოლდევილა, როხერი, გალკა, სერხიო, ველამასანი (ლარდინი 82), ტამუდო, მარტინ პოსე (ოსკარი 80)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: მარტინ პოსე, კრუჩაგა, ლეკუმბერი, ტოლედო, როხერი
17 316 მაყურებელი

### ვილიარეალი 2:0 ალავესი

1:0 ვიქტორი (14), 2:0 კრაიოვიანუ (90)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, კიკე ალვარესი, არუაბარენა, უნაი, ამორი (ხავი გარსია 52), გალვანი, კანია, კალეხა, ვიქტორი (ესკუდე 82), პალერმო (კრაიოვიანუ 65), ხორხე ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
ალავესი: ერერა, ჟელი, ეგენი, კონტრა, ჟ. ტომიჩი, ასტუდილიო, დესიო, პაბლო (მაგნო 51), იბონ ბეგონია, კრუიფი (მარიო 74), ივან ალონსო (ვუკო 74)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ამორი, ჟელი, გალვანი, იბონ ბეგონია, არუაბარენა, დესიო, კრუიფი, კალეხა
16 000 მაყურებელი

### ნუმანსია 0:0 ვალიადოლიდი

ნუმანსია: ნუნიესი, ანტია, მანელი (პირი 54), ნაგორე, ხოსე მანუელი, მარინი, კაკო მორანი (პაჩეტა 88), ოქტავიო, ივან პერესი, რუბენ ნავარო (როსუ 73), ინიაკი
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
ვალიადოლიდი: ბიზარი, რიკეტი, ტორეს გომესი, გარსია კალვო (პენია 66), მარკოსი, პაინცე, ხესუსი, ანტონიო ლოპესი, ფერნანდო, კამინერო (კავიედესი 46), პაჩონი (ჩემა 88)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
გაფრთხილება: ნაგორე, ხესუსი, პაჩონი, რიკეტი, კამინერო
8 000 მაყურებელი



ბარსელონა — ბილბაო 7:0. ლუის ენრიკეს ჰეთ თრიქისთვის ერთი ტაიმი ეყო

**სამი** კვირის წინ, როცა „მალიორკამ“ „ალავესს“ 4:3 მოუგო, ვწერდით, რომ არც ამ და არც წინა სეზონში პრიმერადივიზიონულ მატჩში შვიდი გოლი არ გასულა. ამ ტურში კი ერთბაშად სამ სტადიონზე — ბარსელონას „კამპ ნოუზე“, სარაგოსას „ლა რომარედაზე“ და მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გავიდა ამდენი.

„ბარსას“ ერთი ტაიმი ეყო „ბილბაოს“ გასანადგურებლად და შესვენების შემდეგ ერთის დამატებას დასჯერდა. თამაშის შემდეგ ლორენს სერა ფერერმა თქვა, ზოგიერთებმა ჩვენი რიდი დაკარგეს და თუ ბიჭები არიან, ახლაც გაგვიდიდგულდნენო. ფერერის ბილბაოელ კოლეგას კი სირცხვილით თავი არ გამოეყოფებოდა. ბასკური კლუბი დაარსებიდან 108-ე წელს ითვლის და ასეთი რამ არ დამართნოდა. ფრანსისკო ჩიჩი როხომ დაიჩივლა, ნეტავ, ფეხბურთში კალათბურთის წესები ჭრიდესო. რატომ? მთელ შემადგენლობას ერთად შევცვლიდი, ასე კი მხოლოდ სამი კაცის გამოყვანა შემიძლიაო. ბასკთა მეკარე ინაკი ლაფუენტემ კი დაუმატა, შესვენებაზე გასახდელში როგორ აღმოვჩნდი, არ მახსოვს, ისე ვიყავი გაოგნებულიო.

ისე, „ბარსელონას“ თითქოს ბასკთა ჯინი სჭირსო, არ ახარებს. აგერ მეხუთე ტურში არ იყო, „სოსიედადს“ სან სებასტიანში 6:0 რომ მოუგო?

თამაშზე კი ბევრია არაფერია სათქმელი — დახედავ ანგარიშს და გასაგებია, რომ ცალკარა იყო. ცოტა უცნაური კი აი, რაა — რივალდომ და კლუივერტმა სრული 90 წუთი ითამაშეს და შვიდივე გოლის ავტორობა სხვებს დაუთმეს. მეგოლეთაგან განსაკუთრებით ლუის ენრიკემ ივარგა, რომელსაც აქამდე სეზონში სამი გოლი გაეტანა და ერთ მატჩში შედეგიანობა გააორმაგა.

ერთი კვირის წინ „სარაგოსა“ „ესპანიოლთან“ 0:5 დამარცხდა, მაგრამ დაუხვდა ახლა „რაიო ვალეკანოს“ და შავი დღე აყარა. ეს ის „სარაგოსაა“, რომელიც ერთხანს ფსკერზე ჩაიძირა, ახლა კი გავარდნა აღარ ემუქრება, „რაიომ“ კი ზედიზედ მეორედ წააგო.

7:0 და 6:1 — როგორც ვთქვით, ყველაფერი თავიდან გაირკვა, აი, მადრიდში კი... „მალაგამ“ შეუტია, დარიო სილვა და დელი ვალდესი მასპინძელთა დაცვას შეასკდნენ, თუმცა უშედეგოდ. აქ ძველი წესი ამოქმედდა და მალაგელ მცველთა გარემოცვაში მყოფმა გუტიმ რობერტო კარლოსისგან მიღებული ბურთი ბადეში გაახვია. ათიოდ წუთში მიგელ როტეტამ იკერ კასილიასის უხეირო თამაშით ისარგებლა და გაათანაბრა, რასაც დელი ვალდესის გოლიც მოჰყვა — უკვე „მალაგა“ დაწინაურდა. მაგრამ „რეალს“ ჰყავს რაული, რომელმაც სამწუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა — ორჯერვე ფიგუს ხელშეწყობით და ტაიმი „რეალის“ გამარჯვებით დასრულდა. შესვენების შემდეგ გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს, რომელთაგან გადამწყვეტი ივან ელგერასი იყო — პაბლო კონტრერასმა ფერნანდო იეროს თავური მოიგერია და რეალელთა მეექვსე ნომრის დამატებულის წინააღმდეგ ვერას გახდა.

ამ გოლმა უცვლელად დატოვა სხვაობა „რეალს“, „დეპორტივოსა“ და „ბარსელონას“ შორის, ხოლო „ვალენსიასთან“ ათქულიანი უპირატესობა თორმეტამდე გაზარდა.

საჩემპიონო ამბიციის მქონე „ვალენსია“ ზედიზედ მარცხდება „დეპორტივოსთან“, „ბარსელონასთან“ და „რეალთან“ — თავის უშუალო კონკურენტებთან, ახლა კიდევ ფრე „მალიორკასთან“. ბოლო ოთხ მატჩში ოდენ ერთი ქულა — უიღბლოდ დაიწყო 2001 წელი ექტორ რაულ კუპერის გუნდისთვის, რომელიც იქამდე ლიდერობდა ჩემპიონატს. მართალია, კუნძულელებმა (კერძოდ ალბერტო ლუკემ) სტუმრებს მეორე გოლი წამატებულ დროში გაუტანეს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, განა ვალენსიელებმა არ იცოდნენ, რომ თამაში მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ წყდება და ყურადღება არ უნდა მოედუნებინათ?

მე-18 ადგილზეა დემეტრაძის „სოსიედადი“, თუმცა შეიძლება, უფრო მაღლა ყოფილიყო. ორი ტურის წინ სანსებასტიანელებს „ოსასუნასთვის“ უნდა მოეგოთ, მაგრამ ედგარას იანკაუსკასმა საკუთარ კარში გაიტანა და ფრეს დასჯერდნენ. ახლაც 2:0-ზე ლორენსო ლორენმა მოახერხა იგივეს გაკეთება, მერე წამატებულ დროში ალექსანდრ მოსტოვოის დარტყმულიც გაატარეს და კვლავ ფრე. მარტივი არითმეტიკაა, ჯონ ტოშაკის გუნდს ასე სულელურად რომ არ ეფანტა ქულები, გასავარდნათა ზონაში არ იქნებოდა, თუმცა ბოლოდროინდელი პროგრესი საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ გიორგი დემეტრაძეს სეგუნდადივიზიონში თამაში არ უწერია. თუმცა სამართლიანობისთვის ისიც აღვნიშნოთ, რომ „სელტამ“ ორი გოლი კაცნაკლულმა გაქვითა.

„ვალიადოლიდს“ ჯერ გასვლაზე თამაში არ მოუგია. პირველი ტაიმი „ნუმანსიასი“ იყო, მეორე — „ვალიადოლიდისა“, საბოლოოდ კი უგოლო ფრე.

უარესად აქვს გასვლითი შეხვედრების საქმე „ოვიედოს“. ვალიადოლიდელებს ხუთი ფრე მაინც აქვთ სტუმრად, ამათ კიდევ ერთი გოლი რაა, ისიც ვერ გაუტანიათ. კანარის კუნძულელები „ოვიედოს“ ძლევის შემდეგ მე-7 ადგილზე გამაგრდნენ. აღვნიშნოთ, რომ ოვიედოს ვერც ახალნაყიდი სტენ კოლიმორი შეეწია გოლით, თუმცა მატჩი სრულად ჩაატარა.

ზამთრის სატრანსფერო სეზონის ერთი ხმაურიანი შენაძენიც — მარტინ პალერმოც გავიხსენოთ, რომელმაც პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა „ვილიარეალში“. მისმა გუნდმა, რომელიც პრიმერადივიზიონის დებიუტანტისთვის უჩვეულო, მეხუთე ადგილზეა, „ალავესი“ დაამარცხა, მაგრამ...

ოქმში ჩავიხედოთ — ორივე გოლის ავტორი რუმინელი გეორგე (ჯიკა) კრაიოვიანუა, რომელმაც სწორედ არგენტინელი ვარსკვლავი შეცვალა.

**გიორგი დარჯანია**

## მეორე დივიზიონი

### XXIII ტური

### უელვა 1:1 ატლეტიკო

1:0 დავიდი (56), 1:1 მენა (91)

### ხეტაფე 0:0 უნივერსიდადი

### ლევანტე 1:1 ეიბარი

1:0 მიგელი (76), 1:1 ლენისი (90)

### კომპოსტელა 0:5 ფეროლი

0:1 მანელი (61), 0:2 ფრან ნოგეირა (63), 0:3, 0:4, 0:5 რაზოვი (68პ, 69, 85)

### სევილია 2:0 სალამანკა

1:0 ექტორი (35), 2:0 ოლივერა (83)

### ლეიდა 0:1 მურსია

0:1 ზარატე (73)

### ალბასეტე 2:1 ესტრემადურა

0:1 დურე (20), 1:1, 2:1 გერერო (26, 90)

### სპორტინგი 0:0 ტენერიფე

### ლეგანესი 2:1 კორდობა

0:1 მელგარი (7პ), 1:1, 2:1 სალილასი (68პ, 73)

### ხაენი 0:0 ბადახოსი

### ელჩე 1:1 ბეტისი

1:0 ნინიო (14), 1:1 ამატო (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 23 | 13 | 5 | 5 | 35:20 | 44 |
| ბეტისი | 23 | 12 | 7 | 4 | 23:13 | 43 |
| ტენერიფე | 23 | 12 | 6 | 5 | 34:19 | 42 |
| სალამანკა | 23 | 11 | 5 | 7 | 26:22 | 38 |
| უელვა | 23 | 7 | 13 | 3 | 17:12 | 34 |
| ლევანტე | 23 | 7 | 12 | 4 | 28:23 | 33 |
| ეიბარი | 23 | 8 | 9 | 6 | 20:16 | 33 |
| კორდობა | 23 | 9 | 6 | 8 | 23:22 | 33 |
| სპორტინგი | 23 | 8 | 8 | 7 | 29:23 | 32 |
| მურსია | 23 | 8 | 8 | 7 | 31:27 | 32 |
| ალბასეტე | 22 | 8 | 8 | 6 | 19:17 | 32 |
| ბადახოსი | 23 | 6 | 13 | 4 | 21:19 | 31 |
| ატლეტიკო | 23 | 7 | 9 | 7 | 26:25 | 30 |
| ხაენი | 23 | 7 | 7 | 9 | 15:21 | 28 |
| ლეგანესი | 23 | 5 | 12 | 6 | 29:25 | 27 |
| ესტრემადურა | 23 | 7 | 6 | 10 | 20:26 | 27 |
| ფეროლი | 22 | 6 | 7 | 9 | 26:27 | 25 |
| ელჩე | 23 | 5 | 9 | 9 | 24:32 | 24 |
| კომპოსტელა | 23 | 6 | 5 | 12 | 21:40 | 23 |
| ხეტაფე | 23 | 5 | 7 | 11 | 22:34 | 22 |
| ლეიდა | 23 | 3 | 8 | 12 | 21:32 | 17 |
| უნივერსიდადი | 23 | 2 | 10 | 11 | 15:30 | 16 |

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 21 | 15 | 3 | 3 | 51:24 | 27 | 48 | 10 | 9 | 0 | 1 | 31:9 | 22 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 20:15 | 5 | 21 |
| 2 | დეპორტივო | 21 | 12 | 5 | 4 | 38:21 | 17 | 41 | 10 | 8 | 2 | 0 | 20:3 | 17 | 26 | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 0 | 15 |
| 3 | ბარსელონა | 21 | 12 | 4 | 5 | 46:27 | 19 | 40 | 10 | 8 | 1 | 1 | 28:10 | 18 | 25 | 11 | 4 | 3 | 4 | 18:17 | 1 | 15 |
| 4 | ვალენსია | 21 | 10 | 6 | 5 | 31:16 | 15 | 36 | 11 | 8 | 1 | 2 | 20:5 | 15 | 25 | 10 | 2 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 11 |
| 5 | ვილიარეალი | 21 | 9 | 5 | 7 | 26:22 | 4 | 32 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:10 | 1 | 16 | 11 | 5 | 1 | 5 | 15:12 | 3 | 16 |
| 6 | მალიორკა | 21 | 8 | 8 | 5 | 30:29 | 1 | 32 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:13 | 6 | 21 | 11 | 2 | 5 | 4 | 11:16 | -5 | 11 |
| 7 | ლას პალმასი | 21 | 9 | 4 | 8 | 24:36 | -12 | 31 | 10 | 6 | 1 | 3 | 12:14 | -2 | 19 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:22 | -10 | 12 |
| 8 | ესპანიოლი | 21 | 9 | 3 | 9 | 29:24 | 5 | 30 | 11 | 6 | 1 | 4 | 17:10 | 7 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | -2 | 11 |
| 9 | რაიო ვალეკანო | 21 | 7 | 8 | 6 | 39:35 | 4 | 29 | 11 | 5 | 4 | 2 | 22:12 | 10 | 19 | 10 | 2 | 4 | 4 | 17:23 | -6 | 10 |
| 10 | მალაგა | 21 | 8 | 4 | 9 | 33:33 | 0 | 28 | 11 | 6 | 3 | 2 | 21:14 | 7 | 21 | 10 | 2 | 1 | 7 | 12:19 | -7 | 7 |
| 11 | ალავესი | 21 | 8 | 3 | 10 | 30:29 | 1 | 27 | 11 | 6 | 1 | 4 | 15:10 | 5 | 19 | 10 | 2 | 2 | 6 | 15:19 | -4 | 8 |
| 12 | სარაგოსა | 21 | 6 | 9 | 6 | 30:29 | 1 | 27 | 10 | 5 | 4 | 1 | 23:11 | 12 | 19 | 11 | 1 | 5 | 5 | 7:18 | -11 | 8 |
| 13 | ბილბაო | 21 | 7 | 6 | 8 | 29:34 | -5 | 27 | 10 | 6 | 2 | 2 | 22:14 | 8 | 20 | 11 | 1 | 4 | 6 | 7:20 | -13 | 7 |
| 14 | ოვიედო | 21 | 8 | 3 | 10 | 26:34 | -8 | 27 | 11 | 8 | 2 | 1 | 26:12 | 14 | 26 | 10 | 0 | 1 | 9 | 0:22 | -22 | 1 |
| 15 | ვალიადოლიდი | 21 | 5 | 11 | 5 | 24:25 | -1 | 26 | 11 | 5 | 6 | 0 | 15:7 | 8 | 21 | 10 | 0 | 5 | 5 | 9:18 | -9 | 5 |
| 16 | სელტა | 21 | 6 | 6 | 9 | 25:32 | -7 | 24 | 11 | 5 | 5 | 1 | 17:11 | 6 | 20 | 10 | 1 | 1 | 8 | 8:21 | -13 | 4 |
| 17 | ნუმანსია | 21 | 5 | 5 | 11 | 20:33 | -13 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:12 | -2 | 12 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:21 | -11 | 8 |
| 18 | სოსიედადი | 21 | 4 | 6 | 11 | 23:42 | -19 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 12:23 | -11 | 8 | 10 | 3 | 1 | 6 | 11:19 | -8 | 10 |
| 19 | ოსასუნა | 21 | 3 | 8 | 10 | 21:33 | -12 | 17 | 11 | 2 | 5 | 4 | 12:15 | -3 | 11 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:18 | -9 | 6 |
| 20 | რასინგი | 21 | 3 | 5 | 13 | 22:39 | -17 | 14 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:16 | -3 | 12 | 11 | 0 | 2 | 9 | 9:23 | -14 | 2 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 16 |
| რივალდო (ბარსელონა) | 12 |
| რაული (რეალი) | 12 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 10 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 10 |
| მაკაი (დეპორტივო) | 10 |

### XXII ტური

10-11 თებერვალი

ესპანიოლი — სელტა
რაიო ვალეკანო — ოსასუნა
ალავესი — სარაგოსა
ოვიედო — ვილიარეალი
ვალიადოლიდი — ლას პალმასი
ვალენსია — ნუმანსია
მალაგა — მალიორკა
ბილბაო — რეალი
რასინგი — ბარსელონა
დეპორტივო — სოსიედადი

# შეხვედრა იტალიასთან

## იტალია

### XVII ტური

**მილანი 1:0 რეჯინა**

1:0 ლეონარდო (78)
მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, კალაძე, მალდინი, პელეგრი (ბა 46), ამბროზინი, ჯუნტი, სერჯინიო (კოკო 63), ლეონარდო, შევჩენკო, ბირჰოფი (კომანდინი 74)
მწვრთნელი: ალბერტოძაკერონი
რეჯინა: ტაიბი, კანეირა, ვარგასი, ოშადოგანი, მორაბიტო, ვიკარი (მოცარტი 84), ბრევი, მამედე, ძანჩეტა (ბერნინი 65), და კოშტა (ბოგდანი 57), დიონიჯი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ბრევი, ამბროზინი, ვარგასი, ბირჰოფი
55 000 მაყურებელი

**პარმა 1:2 რომა**

1:0 დი ვაიო (35), 1:1, 1:2 ბატისტუტა (72, 83)
ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი (28, ძელი)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, ფ. კანავარო, ბენარივო, ფუზერი, ალმეიდა (ბოგოსიანი 46; ბოლანო 53), ლამუში, სერჟიუ კონსეისაუ, ამოროზო (მბომა 61), დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
რომა: ანტონიოლი, ალდაირი, სამუელი, ძაგო, კაფუ, ტომაზი (ემერსონი 52), კ. ძანეტი, კანდელა, ტოტი (ნაკატა 85), ბატისტუტა, დელვეკიო (მონტელა 61)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ბენარივო, ბოლანო, ლამუში, ბატისტუტა
28 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:1 იუვენტუსი**

0:1 პაგანინი (74ს.კ.), 1:1 ლორენცი (75), 2:1 ვენტოლა (81)
ატალანტა: პელიცოლი, კ. ძენონი, პაგანინი, კარერა (ლორენცი 73), ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დონატი, დონი, მორფეო, ვენტოლა
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, პარამატი, იულიანო (ფერარა 60), მონტერო, პესოტო, ძამბროტა (ბრიგი 83), ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი, ფ. ინძაგი, დელ პიერო (კოვაჩევიჩი 65)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: მონტერო, ლორენცი, დავიდსი, დონატი, კოვაჩევიჩი
24 000 მაყურებელი

**ბოლონია 0:3 ინტერი**

0:1 ვიერი (26), 0:2 დი ბიაჯო (61), 0:3 იუგოვიჩი (62)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პაოლინო, კასტელინი, ნერვო, ოლივე, ლიმა, ბრიოსკი (ბინოტო 60), ლოკატელი (მარესკა 80), ხულიო კრუზი (ჩიპრიანი 46), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ინტერი: ფრეი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა (ჩირილო 46), ხ. ძანეტი, იუგოვიჩი, დი ბიაჯო, დალმა (ფარინოსი 71), სერენა, ვიერი, ჰაქან შუქური (ფერანტე 77)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: ბრიოსკი, ჩირილო
32 000 მაყურებელი

**ლაციო 3:2 ლეჩე**

1:0 კრესპო (41), 1:1 კონტიკიო (51), 2:1 კრესპო (65), 3:1 ვერონი (70), 3:2 ლუკარელი (80პ)
ლაციო: პერუცი, ნეგრო (ფავალი 87), ნესტა, ფერნანდუ კოუტო, პანკარო, პობორსკი (სიმეონე 78), დ. ბაჯო, ხ ვერონი, ნედვედი, კრესპო, სალასი
მწვრთნელი: დინო ძოფი
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი (პიანჯერელი 63), ჯორჯეტი, ინგესონი, კონტიკიო, ტონეტო, ვაზარი (ჟუგრინეცი 53), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ბალერი, ტონეტო, ნეგრო, სიმეონე
55 000 მაყურებელი

**ვიჩენცა 1:2 უდინეზე**

0:1 იორგენსენი (13), 1:1 ტონი (41პ), 1:2 მარჯოტა (90)
ვიჩენცა: სტერკელე, ტომასი, დალ კანტო, დიკარა (კომოტო 24; სომეზე 81), კარდონე, ბრეჩიჩი, დაბო, ბეგეტო, ძაული, ტონი, კ. ესპოზიტო (ჯედა 55)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ბისგაარდი, ფიორე, ჯანიკედა (ელგერა 89), იორგენსენი (ალბერტო 85), დიასი, სოსა, მარჯოტა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ბისგაარდი, კომოტო, დიასი, დალ კანტო, ჯანიკედა
13 500 მაყურებელი

**ნაპოლი 1:0 ფიორენტინა**

1:0 პეკია (90)
ნაპოლი: ფონტანა, ბალდინი, კიროგა, ტროიზე, საბერი, მაგონი, მატუზალემი (პეკია 70), ხუსაინი, ბაჩინი (პინედა 82), ნ. ამორუზო (ფრეზი 90), ედმუნდო
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი (მარკო როსი 60), რეპკა, პიერინი, ვანოლი, დი ლივიო, კ. ამორუზო (ტორიჩელი 80), ბრეშანი, რუი კოშტა, მიატოვიჩი (ნუნუ გომეში 73), ლეანდრო
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: ბალდინი
20 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:0 ვერონა**

1:0 მატერაცი (64)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, ბლიზე, ლივერანი, ბაიოკო (გორეტი 87), პიერი (სოლიანო 90), ვრიზასი, საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, გონელა, კასეტი, კამორანეზი, ფრანჩესკეტი (სალვეტი 61), ჯ. კოლუჩი, მელისი (ჯილარდინო 79), ბონაცოლი, მუტუ (ადაილტონი 46)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: კასეტი, კამორანეზი, ლაურსენი, ბაიოკო, გორეტი
8 000 მაყურებელი

**ბარი 1:3 ბრეშა**

0:1 უბნერი (27), 0:2 ტარე (37), 1:2 ნექროიზი (63), 1:3 უბნერი (83)
უბნერმა ვერ გაიტანა პენალტი (2, მეკარე)
პირლომ ვერ გაიტანა პენალტი (56, მეკარე)
ბარი: ჟილე, ნექროიზი (ენინაია 77), მაცარელი, ინოჩენტი, დელ გროსო (პეროტა 56), პელავესტა, დ. ანდერსონი, მ. მარკოლინი, ოსმანოვსკი (საიდი 20), კასანო, პოჯი
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
ბრეშა: კასტელაცი, ბონერა, კალორი, გალი (ორლანდინი 71), დიანა, ე. ფილიპინი, ბიზოლი (ტარე 19; გუანა 77), ილანა, ბაჯონი, უბნერი, პირლო
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ანდერსონი, ბონერა, ილანა, ბაჯონი
გაძევება: მაცარელი (2)
14 500 მაყურებელი

ერთხელ კვიპროსის „ანართოსისი“ „იუვენტუსს“ შეხვდა. მაშინ „იუვენტუსი“ ციდან განსაკუთრებულ ვარსკვლავებს წყვეტდა, ხოლო „ანართოსისში“ თემურ ქეცბაია თამაშობდა. ის თამაში ერთ-ერთ იტალიურ არხზე ვნახე და გონებაში ჩამრჩა, როგორც „იუვენტუსი“ — ქეცბაია და არა „იუვენტუსი“ — „ანართოსისი“, იმიტომ, რომ მთელი კვიპროსული გუნდისგან განსხვავებით და საშინელი ანგარიშის მიუხედავად, ქართველი ტურინელებს ღირსეულად და ოსტატურად ეწინააღმდეგებოდა. მერწმუნეთ, ეს პატრიოტიზმის გამო არ მომჩვენებია, ასე იყო. და ეს გახლდათ ქართული ფეხბურთის პირველი შეხვედრა ევროპულთან, რაც ძალიან მეამაყებოდა.

დღეს თანამედროვე ქართული ფეხბურთის (თუნდაც საბოლოოდ გაჩანაგებულის) ევროპულთან შეხვედრა სხვა დონეზე მოხდა — კახა კალაძეს დებიუტი ჰქონდა „მილანის“ შემადგენლობაში. ხაზგასმით ვთქვათ, უფრო სწორედ დავაზუსტოთ: ლაპარაკია ევროპულ ფეხბურთთან ქართველი ინდივიდის შეხვედრაზე, თორემ ქართული ფეხბურთი, როგორც ბევრი შემადგენლის ერთობლიობა ჯერ კიდევ კარგა ხანს ვერავის გაუსწორებს თვალს.

ერთი სიტყვით, იტალიის პირველობის მე-17 ტურში „მილანმა“ „რეჯინას“ უმასპინძლა, 1:0 მოუგო და ამ მატჩში თავიდან ბოლომდე ჩინებულად ითამაშა საქართველოს ნაკრების მცველმა კახა კალაძემ. ახლა ნუ მოვყვებით იმაზე ლაპარაკს თუ რას ნიშნავს სერია A-ში ყოფნა და რითი განსხვავდება ის სხვა ევროპულ ლიგაში თამაშისაგან. უბრალოდ წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ბიჭს.

„მილანმა“, როგორც მოგახსენეთ, 1:0 მოუგო „რეჯინას“ და მე-5 ადგილზეა.

„ახლა ჩვენ მეოთხე ადგილზე მყოფ „ატალანტას“ ორი ქულით ჩამოვრჩებით და თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა შეჯიბრებებშიც მთელ ძალ-ღონეს ვხარჯავთ, ეს ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. მაგრამ, მე არასდროს არაფრით ვკმაყოფილდები“ — განაცხადა მატჩის შემდეგ შავ-წითელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

„მილანის“ ერთადერთი გოლი ბრაზილიელმა ლეონარდომ გაიტანა და პრეს-კონფერენციაზე თქვა:

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი გოლი შევაგდე, რომლის წყალობითაც სამი ქულა შევიმატეთ და ახლა ცხრილში სულ ზემოთ მოტრიალეთა შორის შეგვიძლია ადგილის დაბევება. გამარჯვება ისეთ შეხვედრებში, რომლებშიც მაინც და მაინც კარგად ვერ ეწყობა საქმე, ძალიან მნიშვნელოვანია. უკვე ვგრძნობ, რომ უკეთ და უკეთ შეგვიძლია გამოსვლა, ბურთის ფლობა და თამაშის კონტროლი. ეს მოგება მომავალი შეხვედრებისადმი იმედიანად განმაწყობს. ახლა თასზე „ფიორენტინასთან“ თამაშს მოუთმენლად ველი“.

დიახ, „მილანი“ იმედიანადაა, მაგრამ „რომას“ 12 ქულით ჩამორჩება. „რომამ“ კი „პარმა“ დაამარცხა 2:1.

„ორივე გოლი მცველების პასით გავიტანე. პირველად ბურთი სამუელმა მომაწოდა, მეორედ ალდაირმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს გუნდში გოლებისგატანის ნაირ-ნაირი ვარიანტი არსებობს. ამასთან, ძალიან მტკიცე ხასიათი გამოვავლინეთ. ახლა, როდესაც სეზონის ნახევარი დამთავრდა, თვალნათლივ ჩანს, რომ „რომას“ ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან შეუძლია ღირსეულად თამაში. თუნდაც „ლაციო“ და „მილანი“ იყოს“ — უზვსიტყვაობდა არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა — „დღეს ძალიან ძლიერები ვიყავით მაშინაც, როდესაც ტაბლოზე 0:0 ეწერა, მაშინაც, როდესაც ვაგებდით და მაშინაც, როდესაც საქმე ჩვენს სასარგებლოდ მობრუნდა. სწორედ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ყოველთვის და მუდმივად გამარჯვებისთვის ვიბრძვით“.

„იუვენტუსმა“ კი ამ სეზონში სტუმრად პირველად წააგო — 12 მატჩიანი დაუმარცხებელი სერია დაუსრულდა. ეს ბერგამოში, „ატალანტასთან“ მოხდა. მართალია, მასპინძელთა მცველის, მასიმო პაგანინის ავტოგოლმა თავიდან ტურინელები დააწინაურა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა სტეფანო ლორენციმ ჯერ თავურით გაქვითა, ხოლო შემდეგ ნიკოლა ვენტოლამ სტუმართა დაცვაში გაინავარდა და წერტილი დასვა.

„ლაციომ“, რაც დინო ძოფი დაუდგა მწვრთნელად, ოთხჯერ ითამაშა და ოთხივე მოიგო: მე-17 ტურში „ლეჩე“ ემსხვერპლა. რომაელთაგან სამიდან ორი არგენტინელმა ერნან კრესპომ გაიტანა, მესამე კი არგენტინელმავე ხუანსებასტიან ვერონმა. ამ გამარჯვების შემდეგ „ლაციოსა“ და „იუვენტუსს“ ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ.

„ფიორენტინამ“ ნეაპოლში 0:1 წააგო. რატომ? იმიტომ, რომ სასწაული მოხდა: ფლორენციელთა მეკარემ, ფრანჩესკო ტოლდომ შეცდომა დაუშვა — ბოლოწამს ფაბიო პეკიამ გაუტანა და თავისი გუნდი ბოლო ოთხ, პოტენციურად გასავარდნ გუნდს ააცილა.

„ინტერმა“ ბოლონიაში მოიგო, თან 3:0. ეს გახლდათ მილანელ შავ-ლურჯთა მეორე წარმატებული სტუმრობა, რაც სეზონი დაიწყო. პირველი გოლი კრისტიან ვიერიმ შეაგდო (მისი მეთხეა ამ ჩემპიონატში), მეორე — ულამაზესი გაწოლილი თავურით ლუიჯი დი ბიაჯომ გაიტანა, მესამე კი, შორეული, უიშვიათესი მოჭრილით ვლადიმირ იუგოვიჩმა.

**ბაჩუნა ქადია**



პარმა — რომა 1:2. გაბრიელ ბატისტუტა „პარმას“ დამარცხებასა და ორ გოლს ხარობს

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 17 | 12 | 3 | 2 | 33:13 | 20 | 39 | 8 | 6 | 2 | 0 | 14:4 | 10 | 20 | 9 | 6 | 1 | 2 | 19:9 | 10 | 19 |
| 2 იუვენტუსი | 17 | 9 | 6 | 2 | 29:15 | 14 | 33 | 8 | 5 | 2 | 1 | 15:7 | 8 | 17 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:8 | 6 | 16 |
| 3 ლაციო | 17 | 10 | 3 | 4 | 33:20 | 13 | 33 | 9 | 6 | 1 | 2 | 16:7 | 9 | 19 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:13 | 4 | 14 |
| 4 ატალანტა | 17 | 8 | 5 | 4 | 22:15 | 7 | 29 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 4 | 15 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | 3 | 14 |
| 5 მილანი | 17 | 7 | 6 | 4 | 27:24 | 3 | 27 | 9 | 5 | 3 | 1 | 19:12 | 7 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:12 | -4 | 9 |
| 6 ფიორენტინა | 17 | 6 | 7 | 4 | 30:24 | 6 | 25 | 8 | 5 | 1 | 2 | 19:13 | 6 | 16 | 9 | 1 | 6 | 2 | 11:11 | 0 | 9 |
| 7 უდინეზე | 17 | 8 | 1 | 8 | 30:27 | 3 | 25 | 9 | 5 | 0 | 4 | 21:15 | 6 | 15 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | -3 | 10 |
| 8 პერუჯა | 17 | 7 | 4 | 6 | 23:20 | 3 | 25 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 5 | 15 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:11 | -2 | 10 |
| 9 ინტერი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:19 | 1 | 24 | 8 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 5 | 15 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | -4 | 9 |
| 10 ბოლონია | 17 | 7 | 3 | 7 | 19:20 | -1 | 24 | 9 | 5 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 17 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:12 | -3 | 7 |
| 11 პარმა | 17 | 6 | 5 | 6 | 20:18 | 2 | 23 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 3 | 14 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:9 | -1 | 9 |
| 12 ლეჩე | 17 | 5 | 6 | 6 | 21:27 | -6 | 21 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:13 | -1 | 12 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | -5 | 9 |
| 13 ბრეშა | 17 | 3 | 8 | 6 | 19:22 | -3 | 17 | 8 | 1 | 6 | 1 | 8:9 | -1 | 9 | 9 | 2 | 2 | 5 | 11:13 | -2 | 8 |
| 14 ნაპოლი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:27 | -7 | 17 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 11 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 15 ვიჩენცა | 17 | 4 | 4 | 9 | 17:29 | -12 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 9 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:18 | -9 | 7 |
| 16 ვერონა | 17 | 3 | 6 | 8 | 18:29 | -11 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:12 | -1 | 12 | 9 | 0 | 3 | 6 | 7:17 | -10 | 3 |
| 17 რეჯინა | 17 | 4 | 1 | 12 | 12:30 | -18 | 13 | 8 | 3 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 10 | 9 | 1 | 0 | 8 | 7:20 | -13 | 3 |
| 18 ბარი | 17 | 3 | 3 | 11 | 14:28 | -14 | 12 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:14 | -4 | 10 | 8 | 0 | 2 | 6 | 4:14 | -10 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 13 |
| ბატისტუტა (რომა) | 13 |
| კრესპო (ლაციო) | 11 |
| ტოტი (რომა) | 10 |
| უბნერი (ბრეშა) | 10 |

### XVIII ტური

10 თებერვალი
ლაციო — ატალანტა
ინტერი — რეჯინა
11 თებერვალი
ვერონა — ბარი
ვიჩენცა — მილანი
იუვენტუსი — ნაპოლი
ფიორენტინა — პარმა
ლეჩე — პერუჯა
ბოლონია — რომა
ბრეშა — უდინეზე

## სერია B

### XXI ტური

**კალიარი 3:2 ტრევიზო**

1:0, 2:0 კონტი (10, 26), 2:1 ბალარინი (52), 3:1 ა. ესპოზიტო (58პ), 3:2 ფანეზი (86)

**კიევო 2:1 ტერნანა**

1:0 კორინი (33პ), 1:1 გრაბი (45პ), 2:1 კორადი (90)

**ჩიტადელა 2:1 ვენეცია**

1:0 ტურატო (33), 1:1 მანიერო (44პ), 2:1 სტურბა (49)

**კოზენცა 2:1 პიაჩენცა**

1:0 ჯანდებიაჯი (8), 2:0 ძამბანა (47), 2:1 კაჩა (90)

**ემპოლი 2:1 პესკარა**

1:0 მაკარონე (31), 2:0 დი ნატალე (63), 2:1 მ. ესპოზიტო (68პ)

**მონცა 1:1 ანკონა**

0:1 მ. ვიერი (39), 1:1 ბრანკა (56)

**რავენა 1:2 კროტონე**

0:1 სკული (42), 1:1 ტენტონი (73პ), 1:2 არონიკა (90)

**სიენა 1:0 ჯენოა**

1:0 კამპოლონი (12)

**ტორინო 2:0 პისტოიეზე**

1:0 ბიანკინი (32ს.კ.), 2:0 არტისტიკო (90)

**სამპდორია — სალერნიტანა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 21 | 12 | 5 | 4 | 30:18 | 41 |
| პიაჩენცა | 21 | 11 | 4 | 6 | 28:16 | 37 |
| ტორინო | 21 | 11 | 4 | 6 | 27:22 | 37 |
| ვენეცია | 21 | 9 | 9 | 3 | 34:25 | 36 |
| კოზენცა | 21 | 10 | 6 | 5 | 24:18 | 36 |
| კალიარი | 21 | 9 | 7 | 5 | 35:21 | 34 |
| ტერნანა | 21 | 9 | 7 | 5 | 29:22 | 34 |
| კროტონე | 21 | 10 | 4 | 7 | 26:26 | 34 |
| სამპდორია | 20 | 7 | 10 | 3 | 27:18 | 31 |
| ანკონა | 21 | 8 | 6 | 7 | 24:22 | 30 |
| ემპოლი | 21 | 9 | 3 | 9 | 25:27 | 30 |
| სიენა | 21 | 7 | 8 | 6 | 28:25 | 29 |
| ჩიტადელა | 21 | 6 | 9 | 6 | 26:29 | 27 |
| სალერნიტანა | 20 | 6 | 6 | 8 | 20:21 | 24 |
| ტრევიზო | 21 | 5 | 8 | 8 | 21:27 | 23 |
| პისტოიეზე | 21 | 5 | 5 | 11 | 23:29 | 20 |
| ჯენოა | 21 | 4 | 8 | 9 | 19:25 | 20 |
| რავენა | 21 | 2 | 9 | 10 | 16:31 | 15 |
| პესკარა | 21 | 1 | 9 | 11 | 16:30 | 12 |
| მონცა | 21 | 3 | 3 | 15 | 20:46 | 12 |

## სერია C1/A

21-ე ტური: ალბინოლეფე — არეცო 0:0; ალესანდრია — სპალ 1:1; ბრიშელო — ალძანო 0:0; კარარეზე — ლივორნო 0:0; ლეკო — ლუმეცანე 0:2; ლუკეზე — კომო 1:0; მოდენა — ჩეზენა 0:0; პიზა — სპეცია 2:0; ვარეზე — რეჯანა 1:3

## სერია C1/B

21-ე ტური: ატლეტიკო — მესინა 0:1; დი სანგრო — ნოჩერინა 0:0; ფერმანა — ბენევენტო 4:0; ჯულიანოვა — ტორესი 3:1; აკილა — კატანია 2:2; ლოდიჯანი — სავოია 0:1; პეზარო — ასკოლი 1:1; ვიტერბეზე — ფ. ანდრია 1:1. აველინო — პალერმო წუხელ გვიან გაიმართა

იტალიის ჩემპიონატი
მეჩვიდმეტე ტურის მატჩი

## მილანი 1:0 რეჯინა

კახა კალაძე: 90 წუთი



კახა კალაძემ „სან სიროზე“ რიგიანად იბურთავა

# ალბერტო ძაკერონი: კახა კალაძე ჩინებულია

**ლეონარდომ** თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე „რეჯინას“ კარში გოლი შეაგდო და როდესაც ეს 12 წუთიც მიილია, აღმოჩნდა, რომ „მილანის“ ისტორიაში ახალი რეკორდი დამყარდა: აგერ უკვე 44 მატჩია, რაც „სან სიროზე“ თამაში ისე არ დამთავრებულა, თუნდაც ერთი გოლი არ გასულიყო.

არადა, ლეონარდომ რომ გოლი გაიტანა, უკვე ყველა დარწმუნებული გახლდათ, მატჩის შედეგი 0:0 იქნებოდა. „რეჯინა“ მოედნის შუიდანვე პრესინგს მიმართავდა და მასპინძელთა ინიციატივის სათავეშივე ჩაკვლას ახერხებდა.

მაგრამ, ეს ყველაფერი საგანგებოდ აღნიშვნის ღირსი ნამდვილად არ იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: „მილანის“ შემადგენლობაში პირველად ითამაშა კახა კალაძემ. ის იტალიაში სულ ახალგადაბირებულია, თანაგუნდელებთან, ბუნებრივია, ჯერ შეთამაშებული არ არის, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ფრიად შთამბეჭდავი გახლდათ.

კალაძე დაცვის ცენტრში მოქმედებდა, თამამად იყო და მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის ნამატჩევს ასეთი სიტყვებიც ათქმევინა:

„მან ძალიან კარგად ითამაშა, სიმტკიცე გამოავლინა, ტექნიკაც არ დაეწუნება და ვგონებ, ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული. უკვე შემიძლია განვაცხადო, რომ კალაძე ჩინებული ფეხბურთელია“.

თავად კალაძემ, მატჩის შემდგომ, იტალიელ ჟურნალისტებს ასე მოუთხრო თავისი პირველი შთაბეჭდილების შესახებ:

„დიდი მადლობა გულშემატკივრებსა და თანაგუნდელებს ასეთი დახმარებისთვის. „სან სიროზე“ თამაშს არ დავუთრგუნივარ, რადგან კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი რომ ვიყავი, ჩემპიონთა ლიგაში ევროპის უდიდესი სტადიონები შემოვიარე. ვერც დაცვის ცენტრში თამაშმა დამაფრთხო, ხოლო იტალიურის არცოდნას საყოველთაო საფეხბურთო ენა მივსებდა“.

საკუთრივ მატჩზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ის მომენტებით მაინცდამაინც დახუნძლული არ ყოფილა. თავიდან, მე-13 წუთზე სტუმართა ნახევარმცველმა ვიკარიმ დაარტყა მასპინძელთა კარში, მაგრამ აბიატიმ ბურთი უპრობლემოდ დაიჭირა. დაახლოებით ამგვარი რამ განმეორდა 22-ე წუთზეც, ორ წუთში კი ბირჰოფის პასით სახიფათოდ შევარდნილ ლეონარდოს თანამსაჯმა ოფსაიდი აუწია. 39-ე წუთზე ჰელვეგის ჩაკიდულს ლეონარდომ დაარტყა და ოდნავ ააცილა.

შესვენების შემდეგ, მე-3 წუთზე მალდინი შეიჭრა „რეჯინას“ მცველთა შორის, ბირჰოფს ჩააწოდა, ხოლო გერმანელმა თავური დაარტყა — ბურთი კვლავ მცირედ ასცდა მიზანს. ამ ამბიდან ათიოდ წუთში ამბროზინი ცდილობს შორეული დარტყმით შედეგის მიღწევას, მაგრამ ბურთი სტუმარ მცველს ხვდება და კუთხურზე გადადის. შემდეგ ისევ ამბროზინი ლამობს შორიდან დარტყმას, ხოლო ბოლოს ჯუნტი აწვდის საჯარიმოში მყოფ ლეონარდოს, რომელიც ბურთს ათვინიერებს, ნაბიჯსაც დგამს და მარცხენა ფეხით მასიმო ტაიბის მიღმა შორეულ კუთხეში აგდებს მას.

სულ მალე სტუმრებს შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა: შეცვლაზე შესულმა მოცარტმა მარცხენა ფეხით ბურთი მილანელთა ძელს გაარტყა, მაგრამ ბოლო მომენტი მაინც მასპინძლებისა გახლდათ: ისევ ლეონარდოს დარტყმით შეიძლებოდა ანგარიშის შეცვლა, ტაიბის ოსტატობა რომ არა.

**ბაჩუნა ძიძია**

# ჩხუბი სამივე სერიაში

**სერია** A-ში „პარმასა“ და ლიდერ „რომას“ შეხვედრის დროს მასპინძელმა და სტუმარმა ფანებმა იჩხუბეს. დიდი გაწევ-გამოწევა იყო, რამდენიმე ადამიანი დაშავდა. დაიჭრა ერთი პარმელი ქომაგი, რომელიც უმალ ჰოსპიტალში გააქანეს. ექიმები მის სახელს არ ახმაურებენ, მხოლოდ ამბობენ, რომ კისერთანაა დაჭრილი, მაგრამ გადარჩება — მდგომარეობა კრიტიკული არაა.

„ტარდინის“ სტადიონზე დამსწრეთა უმეტესობა, ცხადია, პარმელი იყო, ამიტომ უფრო რომაელები დაიჩაგრნენ. მოჩხუბრების დამშვიდებას პოლიცია შეეცადა და საქმეში აქტიურად ჩაება, გამოიყენა ცრემლსადენი გაზი. არეულობა სტადიონის გარეთაც გაგრძელდა და განრისხებულმა ბრბომ „ტარდინის“ ახლომახლო მდგომი რამდენიმე მანქანა დაამტვრია.

დიდი აყალმაყალი იყო სარდინიის კუნძულზეც. „კალიარისა“ და „ტრევიზოს“ შეხვედრისას ქომაგებმა ნამდვილი მუშტიკრივი მოაწყვეს. აქაც დაშავდა ხალხი. ეს იყო სერია B-ს მატჩი.

სერია C-ში კი კვირას ტოსკანური დერბი ჩატარდა — „პიზამ“ „სპეციას“ უმასპინძლა. განრისხებულმა სტუმარმა ფანებმა „პიზას“ სტადიონის ტრიბუნებზე სკამები მოგლიჯეს და მინდორზე გადაყარეს, ერთი „პიზას“ მეკარესაც მოარტყეს, თუმცა იგი სერიოზულად არ დაშავებულა. აქაც პოლიციამ გააშველა ბრბო, დაზარალებულები კი საავადმყოფოში წაიყვანა.

## საფრანგეთი

XXV ტური

**ნანტი 1:0 პარი სენ ჟერმენი**

1:0 მონტერუბიო (59)

**ლანსი 0:1 ლილი**

0:1 რული (60ს.კ)

**მარსელი 0:1 ოსერი**

0:1 დებლოკი (24)

**გენგამი 2:3 ლიონი**

0:1 ვიოლო (7), 1:1 როდრიგესი (9), 1:2 ანდერსონი (12), 2:2 როდრიგესი (73პ), 2:3 ანდერსონი (90)

**სენტ ეტიენი 3:3 სტრასბური**

1:0 პოტიიონი (8), 1:1 ამზიანი (29), 2:1 სარი (38), 2:2 ამზიანი (59), 2:3 ლუინდულა (79), 3:3 დიროკი (89)

**მონაკო 6:1 მეცი**

1:0 ჟიული (3), 2:0 გალიარდო (20), 2:1 ბატიკლი (32), 3:1 გალიარდო (35), 4:1 რადუჩოიუ (55), 5:1 ნონდა (64), 6:1 ჟიული (89)

**ტულუზი 1:1 ბორდო**

1:0 ბონილია (31პ), 1:1 პაულეტა (52პ)

**ბასტია 0:1 სედანი**

0:1 სელდრანი (45)

**ტრუა — რენი**

გადაიდო

# ლილს მეტოქენიც აქებენ

**„ბრავო ლილელებს!“** — მხოლოდ ეს თქვა კვირა საღამოს „ლანსის“ მთავარმა მწვრთნელმა როლან კურბისმა.

„ჩვენ შესანიშნავმა გუნდმა დაგვამარცხა. „ლილმა“ მინდვრის ერთი სანტიმეტრიც კი არ დაგვითმო უბრძოლველად. მისი ლიდერობა ახლა სრულებითაც აღარაა ჩემთვის მოულოდნელი“ — განაცხადა „ლანსის“ პრეზიდენტმა ჟერვე მარტელმა.

„დღეს მოწინააღმდეგემ აშკარად გვაჯობა. ისინი უფრო თავდაჯერებულნი იყვნენ, ვიდრე ჩვენ. თუ ასე გააგრძელეს, ოქროს მედლებს მათ ვერავინ შეეცილება“ — ჩემპიონობაც კი უწინასწარმეტყველა „ლილს“ ლანსელთა მცველმა ანტუან სიბიერსკიმ.

„ლილი“ „ლანსს“ 25-ე ტურის მატჩის გასამართად ეწვია. დანარჩენ გუნდებს უკვე ნათამაშევი ჰქონდათ და „ლილს“ წინა ტურში მოპოვებული ლიდერის სავარძელი დროებით დაეკარგა. თუმცა „ნანტის“ გაპირველება მხოლოდ ერთდღიანი გამოდგა. ბოლეარზე“ სტუმრებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს და „ნანტს“ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით გადაასწრეს.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ პირველი მომენტები ლანსელებს ჰქონდათ. სამი წუთის ინტერვალით, კუთხურების შემდეგ, ჯერ სიბიერსკიმ მაკრატელათი, მერე კი დიუფმა თავურით, კინაღამ აჯობეს ვიმბეს. ლილელთაგან გოლის გატანა ბაკარის შეეძლო, მაგრამ მას ბოლო მომენტში მცველმა შეუშალა ხელი. ამის შემდეგ, მიუხედავად, იმისა, რომ თამაშის ტემპი არ დავარდნილა, კარში დარტყმებმა იკლო, ორთაბრძოლები კი მომრავლდა. ამას უხეშობა მოჰყვა და მსაჯსაც ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუხდა. მან ტაიმის ბოლო 25 წუთში ექვსჯერ გააფრთხილა ფეხბურთელები. ტერიტორიულ უპირატესობას „ლანსი“ ფლობდა, „ლილი“ კი კონტრშეტევების იმედზე იყო და მეტოქის იერიშებს დაუძაბავად და აუღელვებლად იგერიებდა.

მეორე ტაიმიც პირველის სცენარით დაიწყო და 50-ე წუთამდე საინტერესო არაფერი მომხდარა. ამ დროს კი ბუტუალი შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, თუმცა ბურთთან მასზე ადრე პიერ-ფანფანი გაჩნდა. ოღონდ „ლილის“ კაპიტანმა ბოლომდე იბრძოლა, მეტოქეს ბურთი წაართვა და ბაკარისთვის პასის გადაცემა მაინც მოახერხა. თავდამსხმელმა დამაგვირგვინებელი დარტყმის განხორციელება ვერ მოახერხა, მაგრამ მისი საქმე „ლანსის“ მცველმა სირილ რულმა შეასრულა.

ამ გოლმა „სისხლის და ოქროსფერები“ გამოაფხიზლა და ისინიც გააფთრებით შეესივნენ ვიმბეს კარს. ჯერ მორეირას, მერე კი დიუმას მალევე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ „ლილის“ მეკარე შეუვალი იყო. სახიფათო მომენტები ამის შემდეგაც ბევრი შეიქმნა ორივე კართან, მაგრამ მეკარეების ოსტატობის წყალობით ანგარიშის შეცვლა შეუძლებელი შეიქნა.

ასევე 1:0 მოიგო „ნანტმაც“, რომელსაც „პარი სენ ჟერმენი“ ესტუმრა. თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. თავიდან ინიციატივას პარიზელები დაეუფლნენ და მასპინძლებს მხოლოდ ტაიმის ბოლოს მისცეს თავისუფლად მოქმედების უფლება. მატჩის ერთადერთი გოლი კი 59-ე წუთზე გავიდა. გრძელი, დიაგონალური გადაცემით ზიანიმ მარცხენა ფლანგზე და როშა მოძებნა, რომელმაც ცენტრში მონტერუბიოს გადასცა პასი და მანაც გამარჯვებისა შეაგდო.

უძნელესი მატჩი მოიგო გენგამში „ლიონმა“. ანგარიში უძლიერესი დარტყმით ვიოლომ გახსნა, რასაც მსწრაფლ უპასუხა ბრუნო როდრიგესმა. შემდეგ სონი ანდერსონმა და იმავე როდრიგესმა თითოც შეაგდეს და თითქოს „გენგამი“ ზედიზედ მესამე ფრეს ითამაშებდა, მაგრამ „ლიონის“ ბრაზილიელმა ლეგიონერმა მსაჯის მიერ წამატებულ დროში კიდევ გამოიჩინა თავი და თავის გუნდს მეტად საჭირო სამი ქულა მოაპოვებინა.

სამხრეთელმა ბობოლებმა სხვადასხვანაირად ითამაშეს. „მონაკომ“ „მეცი“ გაასწორა მიწასთან, „მარსელი“ კი თავისი მეკარე ტრევიზანის შეცდომის გამო გაშვებული გოლით დამარცხდა „ოსერთან“ [illegible] გამოდგა „სენტ-ეტიენისა“ და „სტრასბურის“ დაპირისპირებაც, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა. „ტრუასა“ და „რენის“ მატჩი კი ავდრის გამო გადაიდო — მინდორი ისე დაიტბორა, წყალბურთის თამაში უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე ფეხბურთისა.

**ბაზი ბურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 25 | 12 | 7 | 6 | 30:18 | 43 |
| ნანტი | 25 | 13 | 4 | 8 | 41:32 | 43 |
| ლიონი | 25 | 10 | 11 | 4 | 35:22 | 41 |
| ბორდო | 25 | 10 | 10 | 5 | 34:22 | 40 |
| სედანი | 25 | 11 | 7 | 7 | 32:24 | 40 |
| ბასტია | 25 | 11 | 5 | 9 | 30:25 | 38 |
| გენგამი | 25 | 9 | 8 | 8 | 29:30 | 35 |
| ტრუა | 24 | 9 | 8 | 7 | 30:32 | 35 |
| ოსერი | 25 | 9 | 7 | 9 | 27:30 | 34 |
| რენი | 24 | 9 | 6 | 9 | 27:24 | 33 |
| პსჟ | 25 | 9 | 6 | 10 | 32:33 | 33 |
| ლანსი | 25 | 8 | 8 | 9 | 27:26 | 32 |
| სენტ ეტიენი | 25 | 8 | 7 | 10 | 35:38 | 31 |
| მონაკო | 25 | 9 | 5 | 11 | 38:35 | 30 |
| მარსელი | 25 | 8 | 4 | 13 | 24:32 | 28 |
| ტულუზი | 25 | 5 | 9 | 11 | 25:33 | 24 |
| მეცი | 25 | 5 | 10 | 10 | 19:33 | 24 |
| სტრასბური | 25 | 4 | 8 | 13 | 23:49 | 19 |

„მონაკოს“ დაკლებული აქვს 2 ქულა, „მეცს“ და „სტრასბურს“ თითო-თითო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიქტორ ბონილია (ტულუზი) | 13 |
| ფრედერიკ ნე (ბასტია) | 12 |
| რესენდეს პაულეტა (ბორდო) | 12 |
| ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი) | 12 |

**მეორე დივიზიონი**

27-ე ტური: ლორიანი — ნიორი 0:0; კრეტეი — ნიმი 1:2; გენიონი — აიაჩო 0:0; ლავალი — ლე მანი 2:1; ლე ავრი — კაენი 2:1; მონპელიე — შატორუ 0:0; ნანსი — კანი 2:0; ნიცა — ბოვე 0:1; სოშო — ანჟერი 2:0; ვასკეალი — მარტიგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 27 | 15 | 9 | 3 | 47:17 | 54 |
| მონპელიე | 27 | 13 | 12 | 2 | 36:18 | 51 |
| ლორიანი | 27 | 13 | 10 | 4 | 37:23 | 49 |
| ნანსი | 26 | 13 | 6 | 7 | 38:19 | 45 |
| ნიორი | 27 | 12 | 9 | 6 | 41:27 | 45 |
| ლავალი | 27 | 13 | 5 | 9 | 30:26 | 44 |
| შატორუ | 26 | 9 | 10 | 7 | 32:26 | 37 |
| ლე ავრი | 26 | 8 | 12 | 6 | 32:29 | 36 |
| ნიმი | 27 | 9 | 9 | 9 | 37:39 | 36 |
| ლე მანი | 27 | 7 | 13 | 7 | 28:27 | 34 |
| გენიონი | 27 | 8 | 9 | 10 | 27:35 | 33 |
| კრეტეი | 27 | 8 | 8 | 11 | 27:30 | 32 |
| ვასკეალი | 27 | 7 | 9 | 11 | 25:29 | 30 |
| აიაჩო | 27 | 8 | 6 | 13 | 20:30 | 30 |
| ნიცა | 27 | 9 | 3 | 15 | 27:40 | 30 |
| ბოვე | 26 | 6 | 11 | 9 | 24:30 | 29 |
| კაენი | 27 | 7 | 8 | 12 | 26:41 | 29 |
| კანი | 27 | 6 | 9 | 12 | 33:45 | 27 |
| მარტიგი | 27 | 4 | 13 | 10 | 21:34 | 25 |
| ანჟერი | 27 | 3 | 9 | 15 | 23:46 | 18 |



მარსელი — ოსერი 0:1. მასპინძელთა კარში ერთადერთი გოლის გამტანი პიერ დებლოკი (ბურთით) ერთ მხარეს გაიქცა, ჟაკ აბარდონადო კი მეორეს

# მცნება მეთერთმეტე: არ გაიხადო!



სენტ მირენი — დანდი 2:1. გადამწყვეტი გოლი დანიოგო მუსამ გაიტანა

## შოტლანდია

XXVII ტური

**სენტ მირენი 2:1 დანდი**

0:1 სარა (23), 1:1 რუდენი (40), 2:1 მუსა (84)

დანდი: როკატი, სმიტი, კონინ, ტვიდი, რომანო, არტერო, ნემსაძე, რაე, კარანსა (რუსო 75), სარა, კანიჯა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: სარა, ნემსაძე, კანიჯა, რაე, ტვიდი

გაძევება: სარა (34)

4 197 მაყურებელი

**ჰართსი 0:3 სელტიკი**

0:1, 0:2, 0:3 ლარსონი (4, 68, 83)

**დანდი იუნ. 1:1 სენტ ჯონსტონი**

1:0 მილერი (42პ), 1:1 ლოუნდისი (59)

**კილმარნოკი 1:2 მოზერუელი**

0:1 ბრანანი (29პ), 0:2 ტვედლი (83), 1:2 დარგო (90)

**რეინჯერსი 2:0 დანფერმლაინი**

1:0 თუგაი (28), 2:0 მოლსი (89)

**აბერდინი — ჰიბერნიანი**

გადაიდო

შუა კვირაში „დანდი“ თანაქალაქელ „იუნაიტედს“ შეხვდა, წააგო და მეტოქეს ბოლო ადგილიდან თავის დაღწევის საშუალება მისცა; შაბათს „დანდი“ პეისლის ესტუმრა და აწ უკვე ახალ აუტსაიდერ „სენტ მირენთან“ დამარცხდა. შედეგად, ცხრილის ბოლო საფეხურზე ისევ „დანდი იუნაიტედი“ აღმოჩნდა, თუმცა არც უბრალო „დანდის“ აქვს საქმე სახეიროდ.

არადა, პეისლის „ლავ სტრიტზე“ თავიდან სტუმრები დომინირებდნენ — ნემსაძე და არტერო შუა მოედანს ფლობდნენ და რამდენიმე სახიფათო შეტევაც წამოიწყეს. 24-ე წუთზეც, როცა ანგარიში გაიხსნა, საგოლე კომბინაცია ქართველმა წამოიწყო: მარჯვნივ ბეტო კარანცას გადააწოდა, ამან მასპინძელთა ნახევარმცველი სერგეი ბალტაჩა მოატყუა და ჩააწოდა, არგენტინელმა ხუან სარამ კი სეზონში თავისი მეთერთმეტე გოლი გაიტანა.

...მცირეოდენი განმარტება: სერგეი ბალტაჩა იმ სერგეი ბალტაჩას ვაჟია, კიევის „დინამოსა“ და სსრკ ნაკრების დაცვას რომ ამაგრებდა თავის დროზე — 21 წლის ნახევარმცველი „სენტ მირენის“ ახალგაზრდული სკოლის აღზრდილია. ბრიტანეთში პირველი საბჭოთა მოთამაშის შვილი (მამამისი 1989 წელს „იფსვიჩში“ გადავიდა, მერე კი შოტლანდიაშიც თამაშობდა), მართალია კიევშია დაბადებული, ამჟამად სქოთთა 21 წლამდელთა ნაკრების წევრია...

ჰოდა, გაიტანა სარამ, მიირბინა კუთხურის ალამთან, გაიძრო მაისურა და შიდა სამოსზე დაწერილი გამოაჩინა: „ყველაფერს ქრისტეს ძალით ვაკეთებ, ჩემთან არს ღმერთი“. მოედნის ცენტრში დაბრუნებულ არგენტინელს გაბრაზებული მსაჯი დახვდა: უფალი აქ მე ვარო, აგრძნობინა მისტერ სომერსმა და ყვითელი ბარათი დაუძრო.

13 წუთში სარამ იუხეშა, მსაჯმა არც აქ დაახანა და წახდა „დანდი“.

„სენტ მირენმა“ მეორე მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევისას გაათანაბრა (მანამდე დანდელთა მეკარე როკატიმ ბალტაჩას უძლიერესი დარტყმა მოიგერია): როკატიმ ნიკოლსონის ხუთი მეტრიდან დარტყმულის კუთხურზე გადაგდება მოახერხა, თუმცა იქიდან ჩაწოდებულს პოლ რუდენმა დაჰკრა ზუსტად თავი.

ამის მერე ნემსაძემ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ სამი მცველის მოტყუების შემდეგ დარტყმა მეოთხემ არ დაანება.

მეორე ტაიმში კაცნაკლულ სტუმრებს ხეირიანი აღარაფერი უქნიათ, პეისლელთა ნათხოვარმა ფორვარდმა (ინგლისური „ბრისტოლ როვერსიდან“) დანიოგო მუსამ კი დამთავრებამდე 6 წუთით ადრე აუტსაიდერს სეზონში მეოთხედ გაამარჯვებინა.

„თუ გოლის აღნიშვნა არ შეიძლება, რაღასთვის ვთამაშობთ“ — ცხარობდა მატჩის შემდეგ დანდელთა თავკაცი ივანო ბონეტი, მისი პეისლელი კოლეგა ტომ ჰენდრი კი ასე ფიქრობს: „წესია წესია. როცა ასეთ რამეს აკეთებ, უნდა იცოდე, რომ ყვითელი ბარათის მიღების შანსი არსებობს. ვფიქრობ, ბონეტი სარაზე უნდა იყოს გაბრაზებული და არა მსაჯზე“.

აქა ამბავი მაჩანჩალათა და „დანდისა“ შევწყვიტოთ და ბობოლების მარაქაში გავერიოთ.

ერთი დღის განმავლობაში „სელტიკი“ მტერ „რეინჯერსს“ 6 ქულითღა უსწრებდა, ვინაიდან პროტესტანტებმა შაბათს მუსლიმი თუგაი ქერიმოღლუს ბრწყინვალე თამაშისა და არანაკლებ ჩინებული გოლის წყალობით (მეორე ჰოლანდიელმა მოლსმა მიწურულს შეაგდო) „დანფერმლაინი“ დაამარცხეს. „თუ ხვალ „სელტიკმა“ ედინბურგში ორი ქულა მაინც დაკარგა, დანარჩენს მომავალ კვირას „პარკჰედზე“ ჩვენ მივხედავთ“ — გული მიეცა რეინჯერსელ ჰოლანდიელ ბერტ კონტერმანს.

მაგრამ „ხვალ“ ანუ კვირას კათოლიკეებმა ცხრაქულიანი სხვაობა იოლად აღადგინეს, უფრო სწორედ, ეს მისია თავის თავზე ერთმა კაცმა, ჰენრიკ ლარსონმა აიღო. დაწყებიდან ოთხ წუთში მან ინგლისელი ალან ტომპსონის მაღალ ჩაწოდებას შეაგება თავი, მეორე ტაიმის შუაში იმავე კაცის ამჯერად დაბალ გადაცემას გამოეხმაურა დროულად, შეხვედრის მიწურულს კი ფრანგი დიდიე აგატის პასი გარდასახა ექვსი მეტრიდან. ეს შვედის მესამე ჰეთ-ტრიქია ბოლო ხუთ სალიგო მატჩში — 16 დეკემბერს „აბერდინთან“ იყოჩაღა, 2 იანვარს კი „კილმარნოკთან“. შედეგად, 31 გოლით ლარსონმა საუკეთესო ბომბარდირთა პაექრობა, ფაქტიურად, ჩაშალა — მეორე ადგილზე მყოფ მის თანაკლუბელ კრის სატონს, ჰიბერნიანელ ფინელ მიქსუ პაატელაინენსა და გასული ტურის ანტიგმირს ხუან სარას 11-11-ჯერ გამოუჩენიათ თავი.

მიმდინარე კვირა კი „ოლდ ფირმ“ დერბისაა: კვირა დღეს გლაზგოელი მტრები ჩემპიონატში შეიბმებიან, ხვალ კი ლიგის თასის ნახევარფინალში აქვთ საბრძოლო.

**გიგა ძოწაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 25 | 21 | 3 | 1 | 69:21 | 66 |
| რეინჯერსი | 25 | 18 | 3 | 4 | 53:24 | 57 |
| ჰიბერნიანი | 26 | 16 | 7 | 3 | 45:16 | 55 |
| კილმარნოკი | 26 | 12 | 4 | 10 | 32:35 | 40 |
| ჰართსი | 27 | 10 | 6 | 11 | 38:40 | 36 |
| მოზერუელი | 26 | 9 | 5 | 12 | 33:40 | 32 |
| სენტ ჯონსტონი | 26 | 7 | 10 | 9 | 26:36 | 31 |
| დანფერმლაინი | 26 | 8 | 7 | 11 | 23:33 | 31 |
| დანდი | 25 | 8 | 6 | 11 | 37:33 | 30 |
| აბერდინი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:40 | 21 |
| სენტ მირენი | 26 | 4 | 3 | 19 | 17:50 | 15 |
| დანდი იუნ. | 26 | 3 | 5 | 18 | 20:49 | 14 |

## ჰოლანდია

XX ტური

**ვიტესი 2:2 ნაიმეგენი**

1:0 პეეტერსი (11), 1:1 ხრისტოვი (12), 1:2 დე გიერი (75), 2:2 კლასენსი (86)

**ალკმარი 0:3 ფეიენოორდი**

0:1 კალუ (33), 0:2 ტომასონი (82), 0:3 კალუ (83)

**სიტარდი 0:0 გრააფსხაპი**

**სპარტა 0:1 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 კეჟმანი (19)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი (ვან დერ ვეერდენი 48), ჰაინცე, ვოგელი (დე იონგი 70), ვან ბომელი, რომედალი, ბრუგინკი, კეჟმანი, კოლკა (ბუმა 62)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

7 592 მაყურებელი

**როზენდალი 0:3 ვალვაიკი**

0:1 მუგენდორპი (26), 0:2, 0:3 კორნელისე (59, 60)

**ტვენტე 3:1 ტილბურგი**

1:0 ვან დერ ლაანი (44), 2:0 კაირო (45), 2:1 სანუ (47), 3:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (64)

**ჰერენვენი — უტრეხტი**

**გრონინგენი — აიაქსი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 20 | 16 | 1 | 3 | 46:17 | 49 |
| პსვ ეინდჰოვენი | 20 | 14 | 5 | 1 | 42:12 | 47 |
| ვიტესი | 20 | 11 | 5 | 4 | 40:31 | 38 |
| აიაქსი | 18 | 10 | 3 | 5 | 45:24 | 33 |
| როდა | 19 | 9 | 3 | 7 | 35:26 | 30 |
| ტილბურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 32:26 | 30 |
| ვალვაიკი | 19 | 8 | 6 | 5 | 22:16 | 30 |
| ნაიმეგენი | 20 | 6 | 10 | 4 | 28:24 | 28 |
| უტრეხტი | 18 | 8 | 3 | 7 | 34:30 | 27 |
| ბრედა | 19 | 8 | 3 | 8 | 28:32 | 27 |
| ტვენტე | 19 | 6 | 6 | 7 | 31:34 | 24 |
| ალკმარი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:35 | 23 |
| გრონინგენი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:32 | 22 |
| ჰერენვენი | 19 | 5 | 7 | 7 | 21:28 | 22 |
| გრააფსხაპი | 19 | 4 | 2 | 13 | 24:38 | 14 |
| სპარტა | 20 | 3 | 4 | 13 | 24:42 | 13 |
| როზენდალი | 20 | 4 | 1 | 15 | 26:56 | 13 |
| სიტარდი | 20 | 2 | 6 | 12 | 14:42 | 12 |

## თურქეთი

მე-19 ტური: ისთანბული — ფენერბაჰჩე 1:2; ბურსა — ტრაბზონი 4:2; ადანა — გენჩლერბირლიგი 2:3; ქოჯაელი — ანკარაგიუჯიუ 4:0; ბეშიქთაში — ანთალია 4:2; ერზურუმი — გალათასარაი 1:2; რიზე — იეთფა 3:0; დენიზლი — იოზგათი 2:0; სამსუნი — გაზიანთეფი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 19 | 13 | 3 | 3 | 42:15 | 42 |
| ფენერბაჰჩე | 19 | 13 | 3 | 3 | 47:23 | 42 |
| ბეშიქთაში | 19 | 12 | 4 | 3 | 42:27 | 40 |
| გაზიანთეფი | 19 | 10 | 6 | 3 | 41:25 | 36 |
| გენჩლერბირ. | 19 | 10 | 3 | 6 | 27:23 | 33 |
| ტრაბზონი | 19 | 9 | 5 | 5 | 38:26 | 32 |
| სამსუნი | 19 | 8 | 5 | 6 | 31:27 | 29 |
| დენიზლი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:29 | 27 |
| ისთანბული | 19 | 7 | 5 | 7 | 26:27 | 26 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 6 | 7 | 6 | 26:32 | 25 |
| იოზგათი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:24 | 24 |
| ანთალია | 19 | 6 | 5 | 8 | 27:33 | 23 |
| რიზე | 19 | 6 | 4 | 9 | 22:21 | 22 |
| ბურსა | 19 | 4 | 6 | 9 | 24:39 | 18 |
| ადანა | 19 | 2 | 8 | 9 | 29:39 | 14 |
| ქოჯაელი | 19 | 2 | 7 | 10 | 22:37 | 13 |
| ერზურუმი | 19 | 3 | 3 | 13 | 21:47 | 12 |
| იეთფა | 19 | 1 | 6 | 12 | 21:43 | 9 |

## საბერძნეთი

მე-17 ტური: კალამატა — ქსანტი 0:1; იონიკოსი — ეთნიკოსი 2:1; პანათინაიკოსი — პანიონიოსი 0:1; პანაჰაიკი — ირაკლისი 1:2; პაოკ — იანინა 2:3; პანილიაკოსი — არისი 1:2; ოლიმპიაკოსი — ოფი 5:0; აეკ — ათინაიკოსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 17 | 14 | 2 | 1 | 55:14 | 44 |
| პანათინაიკოსი | 17 | 11 | 5 | 1 | 30:9 | 38 |
| აეკ | 17 | 10 | 3 | 4 | 33:24 | 33 |
| პაოკ | 17 | 9 | 5 | 3 | 40:28 | 32 |
| ირაკლისი | 17 | 9 | 3 | 5 | 26:18 | 30 |
| იონიკოსი | 17 | 7 | 7 | 3 | 28:24 | 28 |
| არისი | 17 | 7 | 4 | 6 | 20:19 | 25 |
| ქსანტი | 17 | 7 | 3 | 7 | 11:16 | 24 |
| პანიონიოსი | 17 | 4 | 9 | 4 | 19:20 | 21 |
| ეთნიკოსი | 17 | 6 | 3 | 8 | 20:31 | 21 |
| იანინა | 17 | 4 | 4 | 9 | 23:33 | 16 |
| პანილიაკოსი | 17 | 3 | 6 | 8 | 13:24 | 15 |
| პანაჰაიკი | 17 | 3 | 5 | 9 | 20:29 | 14 |
| ათინაიკოსი | 17 | 3 | 3 | 11 | 22:37 | 12 |
| კალამატა | 17 | 1 | 7 | 9 | 21:37 | 10 |
| ოფი | 17 | 1 | 5 | 11 | 15:33 | 8 |

## ბელგია

XXI ტური

**ბრიუგე 1:1 სტანდარდი**

1:0 [illegible] (65), 1:1 [illegible] (71)

**ჰარელბეკე 2:0 ანტვერპენი**

1:0, 2:0 [illegible] (40, 73)

**აალსტი 1:0 მუსკრონი**

1:0 რეიჯელი (28)

აალსტი: კუიოვიჩი, დე საედელერი, არტსი, ფილიპოვიჩი, ტემერმანი, ვან დენ ბოში, რეიჯელი, კესტენსი, აელბრეხტი (რიგო 60), ტიბო (დე ვილდე 71), როცერიო

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

4 700 მაყურებელი

**ბეერსხოტი 3:1 ლუვიე**

1:0 დონტი (22), 2:0 ზუნდერტი (73), 2:1 ტილმანი (89), 3:1 სევერენსი (90)

**ბევერენი 2:1 ლიერსი**

0:1 ვან მეირი (26), 1:1 სმიდი (55), 2:1 სელსი (67)

ლიერსი: დემანი, სმეეტსი, ვან მეირი, დაემსი, ზვიადაძე, სნოექსი, სომერსი (პეპა 73), ვერეტენნიკოვი, ლეენი, ვან დოორენი, კავენსი (ბიუსგემსი 80)

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

6 500 მაყურებელი

**ვესტერლო 5:0 გენკი**

1:0 ვილემსენი (19), 2:0, 3:0 მიტროვიჩი (30, 60), 4:0 ზელენკა (67), 5:0 ბოეკა-ლისასი (77)

**სენტ ტრუიდენი 0:1 გენტი**

0:1 სხეპენსი (2)

**მეხელენი 0:3 ლოკერენი**

0:1, 0:2 ვონასეკი (5, 12), 0:3 ოლუფადე (45)

**შარლერუა 0:4 ანდერლეხტი**

0:1 რაძინსკი (20), 0:2 გოორი (58), 0:3 კოლერი (71), 0:4 დედენი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 20 | 17 | 3 | 0 | 60:16 | 54 |
| ბრიუგე | 20 | 16 | 3 | 1 | 60:15 | 51 |
| სტანდარდი | 21 | 11 | 6 | 4 | 51:25 | 39 |
| გენტი | 20 | 11 | 5 | 4 | 39:29 | 38 |
| ვესტერლო | 20 | 11 | 4 | 5 | 40:28 | 37 |
| მუსკრონი | 21 | 10 | 4 | 7 | 44:30 | 34 |
| შარლერუა | 21 | 10 | 3 | 8 | 36:38 | 33 |
| ბეერსხოტი | 21 | 10 | 2 | 9 | 38:30 | 32 |
| ლიერსი | 21 | 9 | 4 | 8 | 33:29 | 31 |
| ლოკერენი | 21 | 8 | 7 | 6 | 31:30 | 31 |
| ბევერენი | 21 | 8 | 5 | 8 | 21:39 | 29 |
| გენკი | 21 | 6 | 6 | 9 | 26:32 | 24 |
| ანტვერპენი | 21 | 7 | 2 | 12 | 25:32 | 23 |
| აალსტი | 21 | 5 | 4 | 12 | 22:46 | 19 |
| ჰარელბეკე | 21 | 5 | 1 | 15 | 26:60 | 16 |
| სენტ ტრუიდენი | 21 | 3 | 4 | 14 | 20:40 | 13 |
| მეხელენი | 21 | 2 | 5 | 14 | 27:51 | 11 |
| ლუვიე | 21 | 1 | 6 | 14 | 14:43 | 9 |

## პორტუგალია

XX ტური

**ფარენსე 1:1 ჟილ ვისენტე**

1:0 ნადერი (3), 1:1 პაულუ სეზარი (50)

**ბენფიკა 3:2 ლეირია**

1:0 ტომასი (5), 1:1 სილვეირა (26), 2:1 ფლორესი (44), 3:1 ვან ჰოიდონკი (47პ), 3:2 ვალენტე (68)

**ბელენენსეში 0:1 ბეირა მარი**

0:1 რიკარდუ სოუზა (65)

**კამპომაიორენსე 0:0 ავეში**

**მარიტიმუ 0:1 სალგეირუში**

0:1 რამოსი (77)

**სპორტინგი 1:2 ბრაგა**

1:0 ანდრე კრუზი (32), 1:1, 1:2 რობერტუ (54, 62)

**გიმარაეში 2:2 ალვერკა**

1:0 პაულაუ (49), 2:0 სოდერსტრიომი (53), 2:1 ტიტუ რიბეირუ (63), 2:2 კონდე (75)

**ბოავიშტა 1:0 ამადორა**

1:0 კვედუ (20)

**ფერეირა — პორტუ**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 20 | 13 | 6 | 1 | 39:12 | 45 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 4 | 4 | 37:20 | 40 |
| სპორტინგი | 20 | 12 | 3 | 5 | 34:20 | 39 |
| პორტუ | 19 | 12 | 2 | 5 | 37:16 | 38 |
| ბრაგა | 20 | 10 | 7 | 3 | 32:22 | 37 |
| ბელენენსეში | 20 | 10 | 5 | 5 | 26:15 | 35 |
| სალგეირუში | 20 | 9 | 2 | 9 | 20:28 | 29 |
| ფერეირა | 19 | 7 | 7 | 5 | 25:17 | 28 |
| ფარენსე | 20 | 7 | 7 | 6 | 24:25 | 28 |
| მარიტიმუ | 20 | 7 | 5 | 8 | 20:20 | 26 |
| ლეირია | 20 | 6 | 8 | 6 | 22:29 | 26 |
| ბეირა მარი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:30 | 23 |
| ალვერკა | 20 | 6 | 4 | 10 | 26:33 | 22 |
| გიმარაეში | 20 | 4 | 7 | 9 | 23:32 | 19 |
| კამპომაიორენსე | 20 | 3 | 9 | 8 | 15:30 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 3 | 5 | 12 | 13:27 | 14 |
| ავეში | 20 | 2 | 6 | 12 | 18:39 | 12 |
| ამადორა | 20 | 2 | 4 | 14 | 15:33 | 10 |




გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე
www.otto.de

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ვარ მარქარიანი!


სერხიო მარქარიანი

**პარაგვაის** ნაკრების მწვრთნელი სერხიო მარქარიანი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებთან უთანხმოების გამო იძულებული გახდა, გადამდგარიყო. იგი ვიცე-პრეზიდენტ ანტონიო კოლმან როდრიგესს დაუპირისპირდა და როგორც აღნიშნა, სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა. „ის, რაც მათ ბოლო ხანს ჩემზე ილაპარაკეს და პირადად მითხრეს, ძალიან საწყენი იყო. რაღა უნდა მექნა, ვიცე-პრეზიდენტთან რას გავაწყობდი" — განუცხადა მწვრთნელმა პარაგვაის ტელევიზიას.

მარქარიანს 20-წლამდელ ნაკრებისთვის თავკაცობა გულში ჰქონია ამოჭრილი. სურდა, ბიჭები ეკვადორში გასამართ სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე წაეყვანა, მაგრამ ფედერაციაში სხვაგვარად ფიქრობდნენ...

„მარქარიანი საკმარისზე მეტს ლაპარაკობს — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა როდრიგესმა — მის მატჩისშემდგომ კომენტარებს თუ მოვისმენთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ ფრე ღმერთის წყალობაა, ხოლო მოგებული თამაში — მხოლოდ მისი დამსახურება".

ასეთი ამბებია ქვეყანაში, რომლის ნაკრებიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სამხრეთ ამერიკის ჯგუფში მესამე ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ პირველი ოთხი გუნდი კორეა-იაპონიის საგზურს პირდაპირ მოიპოვებს, ხოლო მეხუთეადგილოსანი ოკეანეთის გამარჯვებულს პლეი ოფში ეთამაშება.

მარქარიანის ხელმძღვანელობით პარაგვაის ნაკრებმა ჯგუფში 10 შეხვედრა ჩაატარა და 6 მოიგო, მათ შორის ბრაზილიაც დაამარცხა.

შესარჩევი ეტაპის მიმდინარეობისას აქამდე უკვე სამმა სამხრეთამერიკულმა ქვეყანამ შეიცვალა მწვრთნელი. პერუს ეროვნული გუნდიდან ფრანსისკო მატურანა წავიდა, ვენესუელას ნაკრებიდან — ხოსე ომარ პასტორიცა, ბრაზილიიდან — ვანდერლეი ლუქსემბურგო. მარქარიანი მეოთხეა, მისი შემცვლელი კი ფედერაციას ჯერ არ დაუსახელებია.

# ვაგინოთ ერთმანეთს!

## მე შენ, შენ მე, გაარჩიოს მან...

**მთელი** ექვსი თვე დასჭირდა ამ საქმის დასრულებას.

აგვისტოში პრემიერლიგის პირველ ტურში არსენ ვენგერმა ჩაიდინა ის, რაც არასდროს გაუკეთებია 18-წლიან სამწვრთნელო კარიერაში, მსაჯი პირველად მოიხსენია უდიერად. გავიხსენოთ, „სანდერლენდთან" შეხვედრაში „არსენალს" პატრიკ ვიეირა გაუძევეს, რის შემდეგაც ლონდონელები მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. ვენგერმა სამი ქულის დაკარგვა მსაჯს დააბრალა და რაკი ეს უკანასკნელი ვერ მოიხელთა, ჯავრი მეოთხე შავოსან პოლ ტეილორზე იყარა.

მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მოიცალა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ამ საქმის გასარჩევად და ვერდიქტიც გამოუტანა მწვრთნელს — 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, თუმცა გასაჩივრების უფლებაც დაუტოვა.

ვენგერმა გადაწყვეტილება მართლაც გაასაჩივრა და სააპელაციო კომიტეტისგან სასურველი პასუხი მიიღო. ფრანგს 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ათი ათას გირვანქიანი ჯარიმით შეუცვალეს.

არა, ქართველ მწვრთნელს რომ ჰკითხო, საკუთარი ჯიბიდან ამხელა ფულის (32 ათასი ლარია) გადახდას თორმეტი მატჩი კი არა, მთელი სეზონის გაცდენა ურჩევნია, მაგრამ პრემიერლიგული ხელფასი? არსენ ვენგერის ჯიბეს ათი ათასის დაკლება ნამდვილად ვერ შეამსუბუქებს, ამიტომაც ის თვლის — საქმე მოგებულია.

დიახ, საქმე მოგებულია, მაგრამ ჯერ არ დასრულებულა. საინტერესო შემთხვევაა, დაზარალებული ანუ მეოთხე მსაჯი თავად აღმოჩნდა ბრალდებულის სკამზე.

ვენგერის საქმის ძიებისას გაიხსენეს, რომ პოლ ტეილორს ადრე „ნოთსის" მოთამაშე შონ ფარელისთვის უგინებია. ფეხბურთელი რომ მსაჯს აგინებს, აღმაშფოთებელი ამბავია, ხოლო პირიქით თუ მოხდა, განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მოკლედ, ტეილორს გვარიანად წაუხდა რეპუტაცია, რამაც არსენ ვენგერის წისქვილზე დაასხა წყალი. ბილწსიტყვა მსაჯმა ვენგერი გაალიზიანა, განსაჯა სააპელაციო კომიტეტმა და მწვრთნელს დისკვალიფიკაციაც ამიტომ მოუხსნა, ჯარიმა კი დააკისრა, მაინც არ უნდა აყოლოდიო. ახლა საფეხბურთო მოსამართლენი პოლ ტეილორის სასჯელის ზომაზე ფიქრობენ.


არსენ ვენგერმა გინება არ შეარჩინა

# ისე არსად იპარავენ...

**მიდის** კაცი თავისთვის მანქანით, გადაუდგებიან ყაჩაღები და იარაღის მუქარით წაართმევენ. საზოგადოდ ასეთი შემთხვევები ოდენ პოლიციისა და დაზარალებულის ახლობელთა ყურადღებას იპყრობს, მაგრამ დაზარალებული თუ რონალდოა, ეს ცნობა ჟურნალისტთა საკბილოც ხდება.

რონალდოს ფეხბურთის თამაში აღარ შეუძლია, თორემ ძვირადღირებული BMW-ს მართვას აზერხებს და რიო დე ჟანეირო — სან პაულუს ავტომაგისტრალზე მიაგელვებდა თავის იორღას. დამხვდურები ხუთნი იყვნენ, ალბათ ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგები, რაკიღა სახელოვან თანამემამულეს არაფერი ავნეს და მხოლოდ მანქანის წაყვანას დასჯერდნენ, რომლის ღირებულებაც რონალდოს შემოსავლებთან შედარებით სახსენებელიც არაა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მძარცველებმა თავს გაქცევით უშველეს, რადგან მიხვდნენ, რომ სადაც არ უნდა წასულიყვნენ, პოლიცია მათ კვალს მიაგნებდა. მიზეზი კი ისაა, რომ რონალდო პელესავით ძუნწი არაა.

განვმარტოთ — რონალდოს მანქანას სიგნალიზაციის ისეთი სისტემა აქვს დაყენებული, რომელიც ავტოს ადგილსამყოფელის თაობაზე ხელოვნურ თანამგზავრის საშუალებით პირდაპირ პოლიციის კომპიუტერს აწვდის ინფორმაციას, ჰოდა, სად დაიმალები? აი, პელეს, რომელსაც ერთი წლის წინ ზრდილობიანად სთხოვეს მანქანიდან გადმოსვლა, ასეთი სისტემა არ ჰქონდა.

პელეს მანქანას კი არა, ბრაზილიელები „ოქროს ქალღმერთს" სანამ არ იპოვნიან, იქამდე არაფერი გეტკინოთ — „ოქროს ქალღმერთს" კი ისინი ვერასდროს იპოვნიან.


როდემდე მოუწევს რონალდოს ფეხით სიარული...

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიის** ჩემპიონ „ლაციოს" მეკარემ ანჯელო პერუციმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს, შესაძლოა, კარიერა დაასრულოს. „იუვენტუსისა" და მილანის „ინტერის" 30 წლის კარის დარაჯმა გაამხილა, ბოლო ორი სეზონია, ამაზე უკვე სერიოზულად ვფიქრობ. „ივნისში საბოლოოდ გადავწყვეტ, დავამთავრო თუ არა დიდი ფეხბურთის თამაში. ალბათ, ასე მოვიქცევი, თე დავრჩები, კიდევ მხოლოდ ერთი სეზონით" — თქვა პერუციმ, რომელმაც ამ უქმეებზე „ლეჩეს" წინააღმდეგ სერია A-ში მე-300 მატჩი ჩაატარა.

**შოტლანდიელმა** გარი მაკალისტერმა „ლივერპულთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. 36 წლის ფეხბურთელი ჟერარ ულიეს გუნდს შარშან ზაფხულში „ქოვენთრიდან" შეუერთდა. „მაკალისტერი ჩვენს გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა, იგი ძალიან გამოცდილი მოთამაშეა და გადავწყვიტეთ, კიდევ დავიტოვოთ" — განაცხადა ჟერარ ულიემ. „ქოვენთრისა" და „ლიდს იუნაიტედის" ყოფილმა მოთამაშემ „ლივერპულში" 27-ჯერ ითამაშა და ერთი გოლიც გაიტანა.

**ინგლისურმა** „ვესტ ჰემმა" „რომას" 18 წლის მცველი ალესანდრო ძამპერინი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირა. „ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია, ასაკის მიუხედავად, რამდენჯერმე „რომას" შემადგენლობაშიც გამოჩნდა. იმედი გვაქვს, რომ პრემიერლიგაში თავს გამოიჩენს" — განაცხადა „ვესტ ჰემის" თავკაცმა ჰარი რედნაპმა. აღსანიშნავია, რომ ლონდონურმა კლუბმა მცველ რიო ფერდინანდის „ლიდსში" გაყიდვის შემდეგ უკვე მერვე მოთამაშე შეიძინა.

**ნორვეგიელი** ფეხბურთელები — ჰელგე ჰაუგენი და იონ გიეზდალი „საუთჰემპტონმა" შესამოწმებლად მიიწვია. ისინი ნორვეგიის მეორედივიზიონური „ასანეს" მოთამაშეები არიან. აღსანიშნავია, რომ 19 წლის ჰაუგენი ადრე „ნიუკასლ იუნაიტედშიც" ისინჯებოდა. ნორვეგიელები სარეზერვო გუნდთან ერთად ივარჯიშებენ, თუ ყველაფერი წარმატებით დასრულდება, თვის ბოლოს კონტრაქტსაც გავუფორმებთ" — განაცხადა „საუთჰემპტონის" წარმომადგენელმა. ჰაუგენი ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია, ხოლო გიეზდალი ჯერჯერობით „ასანეს" სარეზერვო გუნდში ირიცხება.

**ინგლისური** პირველდივიზიონური „ქუინზ პარკ რეინჯერსის" თავმჯდომარე კრის რაიტი თანამდებობას ტოვებს, რადგან მისი განცხადებით, კლუბის ქომაგთა მხარდაჭერა დაკარგა. გუნდი ახლა კრიზისშია და ცხრილის ფსკერზეა. თავმჯდომარემ, რომელიც იმავდროულად კომპანია „ლოფტუსსაც" თავკაცობს, რამდენიმე დღის წინ „ქუინზ პარკის" დირექტორთა საბჭო მოიწვია და გადადგომის შესახებ განუცხადა.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ სიტიმ" „ბლექბერნის" ფორვარდი ეგილ ოსტენსტადი იჯარით აიყვანა. მანჩესტერულ კლუბს ახლა თავდასხმაში პრობლემები აქვს და მათ მოსაგვარებლად მწვრთნელმა ჯო როილმა სწორედ 29 წლის ნორვეგიელი მიიწვია. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს ესპანური „ლას პალმასიც" ეპატიჟებოდა. მაგრამ მან „სიტიში" გადასვლა არჩია. „ეგილს ყოველთვის ვაფასებდი. მისით მაშინ დავინტერესდი, როცა „საუთჰემპტონში" თამაშობდა" — განაცხადა ჯო როილმა. ნორვეგიელმა ჯერჯერობით ორთვიან შეთანხმებას მოაწერა ხელი.

# სანამ რედნაპი რედნაპს უგებდა...


თითზე გადასახვევიც კი არ დამიტოვეს — ამბობს ლუსი, ჯეიმის ცოლი

**შაბათს** „ლივერპულის" კაპიტანი ჯეიმი რედნაპი, ცხადია, „ენფილდ როუდზე" გახლდათ, ოღონდ არა მინდორზე, არამედ ტრიბუნაზე — ის ხომ ტრავმის გამო კიდევ ერთ თვეს ვერ ითამაშებს. მიუხედავად ამისა, 27 წლის ჯეიმიმ და მისმა მეუღლემ, 26 წლის ცნობილმა მომღერალმა ლუსიმ დიდად გაიხარეს: „ლივერპულმა" 3:0 მოუგო ჯეიმის მამის, ჰარის „ვესტ ჰემს".

თამაშის შემდეგ თანაკლუბელებმა ცოლებთან ერთად ერთ ცნობილ რესტორანში მოილხინეს. მერე ყველა თავის გზას ეწია, შინ მისულ რედნაპებს კი ელდა ეცათ — სახლი (სხვათა შორის, 350 ათას გირვანქად ნაყიდი) თავიდან ბოლომდე გადატრიალებული დახვდათ.

მოპარულის შეფასება დღესაც კი ვერ დაუმთავრებიათ — ათიათასობით გირვანქის ძვირფასეულობა, კრედიტ-ქარდები, ნაღდი ფული, ტანსაცმელი... ყველაფერი წაეღოთ, რაც არ დაეზარათ.

საინტერესოა, რომ ამ ერთი თვის წინ ქურდებმა კიდევ ერთი ლივერპულელი ფეხბურთელის, „ევერტონის" ფორვარდის დანკან ფერგიუსონის ბინის გასუფთავებაც სცადეს, მაგრამ მაშინ თავის დროზე თავად ციხეში ნაჯდომმა სქოთმა მიასწრო მძარცველებს, რის შედეგადაც ერთი მათგანი ჯერ ჰოსპიტალში მოხვდა, მერე კი, ცხადია, ციხეშიც.

რედნაპებმა ვერ მიასწრეს. ახლა ჯერი პოლიციაზეა.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 001 | ევერტონი-ლიდსი | 2,8 | 2,9 | 2,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 002 | ბორნმუთი-რედინგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 003 | კოლჩესტერი-მილუოლი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.45 | 004 | ნორთჰემპტონი-სუონსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 005 | უიკომბი-კემბრიჯი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 006 | ჩელტენემი-იორკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 007 | როჩდეილი-ბრაიტონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.45 | 008 | შრიუსბერი-კიდერმინსტერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. 26-ე ტური**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 009 | რენი-სენტ ეტიენი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.45 | 010 | ლიონი-მარსელი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 011 | მეცი-ბასტია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 012 | პარი სენ ჟერმენი-გენგამი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 013 | სტრასბური-ლანსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 014 | ბორდო-მონაკო | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 015 | ლილი-ნანტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 016 | ოსერი-ტულუზი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 017 | სედანი-ტრუა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 018 | ლე მანი-ბოვე | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 019 | კაენი-კრეტეი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 020 | შატორუ-გენიონი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 021 | ნიორი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 022 | კანი-ლე ავრი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 23.00 | 023 | ანჟერი-ლორიანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 23.00 | 024 | მარტიგი-ნანსი | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 025 | ნიმი-ნიცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 026 | აიაჩო-ვასკეალი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

**8 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 027 | სოშო-მონპელიე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**შოტლანდია. გადადებული მატჩი**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 028 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**გერმანია. თასის 1/2 ფინალი**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 029 | უნიონი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 030 | შტუტგარტი-შალკე | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ინგლისი. ასოციაციის თასის 1/16 ფინალი**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 031 | მიდლსბრო-უიმბლდონი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**ინგლისი. ასოციაციის თასის 1/16 ფინალი. გადათამაშება**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 032 | დერბი ქაუნთი-ბლექბერნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 033 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,0 | 2,9 |

**იტალია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 034 | ფიორენტინა-მილანი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

**8 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 035 | პარმა-უდინეზე | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**ესპანეთი. თასის 1/4 ფინალი. II მატჩები**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 036 | ატლეტიკო-გრანადა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 037 | მალიორკა-სელტა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 038 | სარაგოსა-რასინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 24.00 | 039 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**პორტუგალია. თასის 1/8 ფინალი. გადათამაშება**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 040 | ნასიონალი-სპორტინგი | 5,6 | 3,4 | 1,45 |

**ჰოლანდია. 1/4 ფინალი**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 041 | ვიტესი-ალკმარი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 042 | ცვოლე-ტვენტე | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 23.30 | 043 | როდა-პსვ ეინდჰოვენი | 4,0 | 3,2 | 1,7 |

**საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | პანილიაკოსი-აპოლონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 045 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**თურქეთი. თასის 1/2 ფინალი**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 046 | ფენერბაჩე-გალათასარაი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**8 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 047 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**შოტლანდია. თასის III ეტაპი. გადათამაშება**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 048 | დანფერმლაინი-სენტ ჯონსტონი | 1,9 | 3,1 | 3,4 |

**შოტლანდია. ლიგის თასის 1/2 ფინალი**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 049 | სენტ მირენი-კილმარნოკი | 3,5 | 3,2 | 1,8 |

**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 050 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**კალათბურთი**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | შარლოტი-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 802 | დეტროიტი-დენვერი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.30 | 803 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 05.00 | 804 | მაიამი-ინდიანა | 1,15 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 805 | მილუოკი-საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 06.00 | 806 | ფინიქსი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |

**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 807 | ბოსტონი-მილუოკი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.00 | 808 | ფილადელფია-ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 809 | კლივლენდი-სან ანტონიო | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 04.30 | 810 | ნიუ იორკი-დალასი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 811 | ორლანდო-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 812 | მინესოტა-საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.00 | 813 | პორტლენდი-სიეტლი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 814 | გოლდენ სტეიტი-კლიპერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.30 | 815 | ლეიკერსი-ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 | 816 | ვანკუვერი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,35 |

**8 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 817 | შარლოტი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 818 | დეტროიტი-ჰიუსტონი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 | 819 | ტორონტო-დენვერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.00 | 820 | ნიუ ჯერსი-სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,25 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 821 | რაანანა-ალბა | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 21.00 | 822 | პლანია-ირაკლისი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 23.30 | 823 | ბაიერი-კრკა | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 23.30 | 824 | ვილერბანი-ულქერი | 1,9 | 12,0 | 1,5 |

**8 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 825 | ეფესი-მაკაბი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 21.00 | 826 | ცსკა-ლიეტუვოს რიტასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 827 | ცეპტერი-სპლიტი | 1,55 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 828 | პანათინაიკოსი-სიენა | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 23.30 | 829 | ოსტენდე-პო ორტეზი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 830 | სკავოლინი-პარტიზანი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

**კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები**
**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 831 | მიულერი-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 832 | ტაუ-პერისტერი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 833 | ბენეტონი-ბარსელონა | 1,35 | 12,0 | 2,3 |

**8 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 834 | ჟალგირისი-აეკ | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 835 | ციბონა-ფორტიტუდო | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 | 836 | ბუდუჩნოსტი-რეალი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 837 | ესტუდიანტესი-კინდერი | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 | 838 | ოლიმპია-პაოკ | 1,3 | 12,0 | 2,5 |

**ჰოკეი**
**6 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ბოსტონი-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 902 | რეინჯერსი-ბუფალო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 903 | კოლუმბუსი-სენტ ლუისი | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 904 | მონრეალი-ნიუ ჯერსი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 905 | ტამპა ბეი-მინესოტა | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 906 | დეტროიტი-ოტავა | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 907 | კალგარი-სან ხოსე | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 07.30 | 908 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 1,7 | 4,0 | 2,7 |

**7 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 909 | ბუფალო-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 910 | ტორონტო-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 04.30 | 911 | პიტსბურგი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 912 | ფლორიდა-მინესოტა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.30 | 913 | დალასი-ედმონტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 06.00 | 914 | კოლორადო-ვაშინგტონი | 1,45 | 4,0 | 3,8 |
| 06.00 | 915 | ფინიქსი-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.30 | 916 | ანაჰაიმი-ჩიკაგო | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**8 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 917 | ოტავა-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 918 | დეტროიტი-ტორონტო | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 | 919 | სენტ ლუისი-ტამპა ბეი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 05.00 | 920 | ნეშვილი-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.00 | 921 | ვანკუვერი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 922 | ლოს ანჯელესი-კაროლინა | 1,75 | 4,0 | 2,6 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბალი მიწის ნაკრები დაბალი დონე აღმოჩნდა

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური. 4 თებერვალი

## ჰოლანდია 3:32 საქართველო

ამსტერდამი. რაგბის ეროვნული ცენტრი. 1200 მაყურებელი

**ჰოლანდია:** ფიხუერსი, ფანდერპოლი, სტრააცი, ზ. ვინკელსი, ლიპსი (ნახტეხაალი), დესხუტერი, რამაკერი, ბუი, საფი, ბეილი, ფარნიშერნი (ბრუეიმანსი), შუმახერი, კულემანსი, მასტი, ფერსტეინენი.

**ს:** ფიხუერსი.

**საქართველო:** აბაშიძე, ლაბაძე, ზიბზიბაძე, ალანია, კაცაძე, (ქავთარაშვილი, ბუგიანიშვილი, ხეხელაშვილი), ჯიმშელაძე, აბუსერიძე, მთიულიშვილი (რატიანიძე), შველიძე (გიორგაძე), ცაბაძე, დიდებულიძე, ნადირაძე, ბოლღაშვილი (ჯაველიძე), იაშვილი, ზედგენიძე.

**4ლ:** იაშვილი, დიდებულიძე (2), ხეხელაშვილი; **3გ:** ჯიმშელაძე; **2ს:** ჯიმშელაძე

**მსაჯები:** ცაჩოლი, მილანი, მარიოტი (იტალია)



პალიკო ჯიმშელაძემ ჰოლანდიის შარშან ლელო გაუტანა, წლეულს კი სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო შეუგდო

**„ტიტები"** გავთელეთ! „ბორჯღალოსნებმა" კვირას ევროპის „ერთა თასის" და იმავდროულად 2003 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი წარმატებით დაიწყეს და ჰოლანდიაში, მასპინძელ „ტიტებს" გადაურბინეს.

საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების მთავარმა მწვრთნელმა, ფრანგმა კლოდ სორელმა ჰოლანდიასთან ჯახის წინ ცოტა არ იყოს, წაიოინბაზა, ერთი შემადგენლობა გამოაცხადა და სულ სხვა, ფრიად განსხვავებული ათამაშა. ვეჭვობ, „ბორჯღალოსანთა" დამრიგებელს ჰოლანდიელთა მოტყუება ჩაეფიქრებინა, რამეთუ ჩვენი მეტოქე ნაკლებად (იქნებ სულაც არ) ეცნობა ქართულ პრესას. მოტყუებული მხოლოდ ქართველი გულშემატკივარი აღმოჩნდა. სორელმა ადრე დასახელებულ 22-კაციან შემადგენლობაში საგრძნობი კორექტივები შეიტანა და აქამდე მოუხსენიებელ სამ მორაგბეს ძირითადში ანდო ადგილი, ხოლო ორი მათგანი, სათადარიგო სკამზე განამწესა, ამასთან ერთად ძირითადის სამი მორაგბე სორელმა რეზერვში გადასვა და პირიქით, ხუთი მორაგბე დააწინაურა. სორელის მიერ შერჩეული ტაქტიკაც ცალკე განსასჯელია. „ბორჯღალოსანთა" მთავარმა დამრიგებელმა რამდენიმე მობურთალს ამპლუა შეუცვალა და მათთვის უჩვეულო (აქამდე) ადგილას ათამაშა, უნდა ითქვას, რომ გაამართლა კიდეც, სორელმა ჩვენი მორკინალები — ვასილ კაცაძე და გია ლაბაძე გარემარბებად განამწესა, მაგრამ ახალგამომცხვარი ფრთები მეტწილად უსაქმოდ იყვნენ, რადგან მოედანზე თოვლი იდო და მთელი მატჩის განმავლობაში წვიმდა. ამ პირობებში შეუძლებელი იყო გაშლილი და კომბინაციური თამაში და ძირითადი ტვირთი ჩვენმა მობილურმა და მოლონიერებულმა შერკინებამ იკისრა. განსაკუთრებით აქტიურობდა „ბორჯღალოსანთა" მე-8 ნომერი ილო ზედგენიძე, მან რამდენჯერმე სახიფათოდ ურქინა მეტოქეს და ჩვენი შეტევა უფრო საზრიანი და შედეგიანი გახადა. სამაგიეროდ, „ბორჯღალოსნებს" აკლდათ მალხაზ ურჯუკაშვილი და უნივერსალი ბეკი ბესიკ ხამაშურიძე. განსაკუთრებით უმჭედლიშვილოდ გაუჭირდათ ჩვენებურებს, რომლის არყოფნით „ტიტების" კაპიტანმა შუმახერმა ისარგებლა და მოიგო და მოიგო დერეფანი, მაგრამ რას გამორჩნენ ამით ჰოლანდიელები, ეს მატჩის ანგარიშიდანაც კარგად ჩანს.

საქართველოს ნაკრები დებიუტშივე დაწინაურდა პალიკო ჯიმშელაძეს საჯარიმო დარტყმის წყალობით, ამას მალე ჩვენებურების ჯგუფური ლელო მოჰყვა, რომელიც ჰოლანდიელებმა ლევან ცაბაძეს მიაწერეს, მაგრამ ჩვენი და თვითმხილველთა ვერსიით იგი ნაკრების ახალწვეულმა იაშვილმა მიითვალა. გრეგუარ იაშვილი ადრე გამოჩენილი ფრანგი მორაგბის, მიშელ იაშვილის უფროსი ვაჟიშვილია და „გაბორჯღალოსნება" მხოლოდ გუშინწინდელ მატჩში მოასწრო, არადა, მას ადრეც შეეძლო საქართველოს ნაკრების მაისურა მოერგო, მაგრამ სამწუხაროდ, ფეხი მოიტეხა და მისი სანაკრებო დებიუტი ჰოლანდიასთან მატჩამდე გადაიდო. ამის შემდეგ ჰოლანდიელებმაც გამოიღეს ხელი, მათმა შტატიანმა დამრტყმელმა ხერარდ ფიხუერსმა ჩვენებურებს უხეშობა არ აპატია და ოვალური ბურთი ძელებს შორის გაატარა. არც ამის შემდეგ განელებურა მასპინძელთა შეტევები, „ტიტებმა" მოყინულ მოედანზე ჩვენების ზურგში ბურთის ფეხით შეცურებით სცადეს ფონს გასვლა, მაგრამ აქედანაც რომ არაფერი გამოვიდა, სულაც ხელი ჩაიქნიეს და ბურთიც და მოედანიც ჩვენებურებს დაუთმეს. ამასობაში პალიკო ჯიმშელაძემ შესვენებამდე მოწინააღმდეგეს საჯარიმოთვე უპასუხა და „ბორჯღალოსნები" — 13:3 დააწინაურა. განახლდა თუ არა მატჩის მეორე ორმოცწუთეული, ქართველებმა უკანახაზელებით გააჩაღეს ბურთაობა, მაგრამ მოყინულ მოედანზე ფეხი ვერ მოიკიდეს და ისევ ძველნაცადი მორკინალების დახმარებით შეძლეს ანგარიშის გაზრდა. სხვაობის გაზრდა ამჯერად სორელის მიერ ბოლო მომენტში ხმობილმა ვიქტორ დიდებულიძემ ისახელა თავი, რომელმაც მეორეჯერაც დაალელოვა მასპინძლები და სხვაობამ ოცდაორ ქულამდე უწია. დიდებულიძეს არც ბადრი ხეხელაშვილი ჩამორჩა და თავის მიერ წამოწყებული 70-მეტრიანი გარღვევა ლელოთი დააგვირგვინა. „ტიტებმა" ბოლოს კიდევ გაიბრძოლეს. მათი მძიმე ბურჯი რუბენ ბეილი კიდეც ცდილობდა ჩვენ ლელოს მიახლოვებოდა, მაგრამ ქართველთა უკანახაზელები საიმედოდ მოქმედებდნენ და მომხდურების ყველა მცდელობა ალკვეთეს. ერთი სიტყვით, „ბორჯღალოსნებმა" პირველი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ კიდევ ცხრა მატჩი. ამათგან ოთხი წლეულსვე, შემდეგ შეხვედრას ჩვენებურები 17 თებერვალს გამართავენ, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე პორტუგალიას დაუხვდებიან. მაშ ასე, პორტუგალია მოდის, მოვიდეს მერე!

* * *

კვირას ზორბა რუსეთმა ესპანეთთან სტუმრად აურაცხელი უნებლიე შეცდომებით სავსე მატჩი ცუდად დაიწყო, უკვე პირველივე წუთზე მასპინძელთა ნატურალიზებულმა უკრაინელმა კოვალენკომ ძველ თანამოძმეებს ჯარიმა გაუტანა, მაგრამ ამის შემდეგ მოედანზე მთლიანად ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები გაბატონდნენ, პირველ ტაიმშივე ესპანელები ოთხჯერ დაალელოვეს, რომელთაგან ორი ლელო სლავა გრაჩოვმა მიითვალა თავის ანგარიშზე. სლავამ აგერ შვიდკაცა მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნები" ორჯერ დაალელოვა და სინიც გამოსტაცა. როგორც ჩანს, იგი არც ესპანელებს შეუშინდა და სლავებმა სწორედ მისი ძალისხმევით გაიმარჯვეს. თუმცა ესპანეთმა რუსეთს კინაღამ მოუგო წაგებული მატჩი, მაგრამ სიმონოვის მიერ თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე შეგდებულმა საჯარიმომ საბოლოო გამარჯვება რუსეთს მოუტანა. ტურნირის დებიუტანტმა ჩვენსავით გამარჯვებით დაიწყო და ვინძლო ფავორიტებშიც გაერიოს.

ამასობაში ტურნირის ნამდვილმა ფავორიტმა რუმინეთის ნაკრებმა პორტუგალიის მოკრძალებული ნაკრები სტუმრად გაანადგურა.

რუმინელებმა ნოემბერში გათავისუფლებულ მთავარ მწვრთნელზე, ახალზელანდიელ ჯონ ფილიპზე უარი თქვეს და ნაკრები ბუქარესტის „დინამოს" ყოფილ თავკაც მარჩავ პარასკივის ჩააბარეს. ამას ლეგიონერთა აღშფოთება მოჰყვა, მაგრამ პარასკივიმ აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა და ლეგიონერებიდან მხოლოდ ხუთ პერსპექტიულ მობურთალს უხმო. ოვიდიუ ტონიცეს, ფლორიან კოროდიანუს, პეტრე მიტუს, ვალენტინ მაფტეისა და მიხაი ვიორიანუს თავი არ დაუზოგავთ და რა გასაკვირია, თუ კვირას გამართული მატჩი ძლიერმა რუმინეთმა მაჩანჩალა პორტუგალიას გადაუარა.

**ბაჩო სვანიძე**

## „ექვსი ერის" ჩემპიონატი. I ტური. 3-4 თებერვალი

### იტალია 22:41 ირლანდია

**იტალია:** სტოიკა; პილატი (გალონი), მარტინი (პოცებონი), რაინერი, დალანი; პეძი, ტრონკონი; ლო ჩიჩერო, მოსკარდი, მურარო (დე კარლი), ვიზერი, ჯეკინატო (ლანძი), კაიონე, ბერგამასკო, დალ მაზო (ფრატი)

3 ლ: პილატი, ჯეკინატო, ბერგამასკო; 2 გ: პეძი (2); 1 ს: პილატი

**ირლანდია:** დემპსი; ჰორგანი, მულინზი (მაგსი), ჰენდერსონი, ჰოუი (ჰამფრიზი); ოგარა, სტრინგერი (ომეარა); კლოჰესი, ვუდი (შოანი), ჰეიესი (ბირნი), გოლვეი (დევიდსონი), ოკენი, ქვინლანი, უოლესი, ფოლი (უარდი)

5 ლ: ჰენდერსონი (3), ჰორგანი, ოგარა; 2 გ: ოგარა (2), 4 ს: ოგარა (4)

### უელსი 15:44 ინგლისი

**უელსი:** ს. ჯონსი; ტომასი (მ. ჯონსი), ტეილორი (ბოუტმენი), გიბსი, ჯეიმსი; ჯენკინსი, ჰოული (მური); მორისი (ჯონი), მაკბრაიდი, იანგი, გაფი, ვაიატი (მური), ჩარვისი, უილიამსი, ქვინელი

2 ლ: ჰოული, ქვინელი; 1 გ: ჯენკინსი; 1 ს: ჯენკინსი

**ინგლისი:** ბოლშოუ (პერი); კოენი, გრინვუდი, ჰეტი (ტინდალი), ლაგერი (ა. ჰილი); უილკინსონი, დოუსონი; ლეონარდი (ვუდმენი), ვესტი, ვაიკერი, ჯონსონი, გრიგოკი, რ. ჰილი, ბეკი, დალალიო (კორი)

6 ლ: გრინვუდი (3), დოუსონი (2), კოენი; 4 გ: უილკინსონი (4); 2 ს: უილკინსონი (2)

### საფრანგეთი 16:6 შოტლანდია

**საფრანგეთი:** გარბაჟოზა; ბერნა-სალი, დურთი (მერსეროხი), კომბა, ბორი; ლამეზონი, გალტიე; მარკონე (კალიფანო), იბანესი, დე ვილიე, ორადუ (ბენაზი), პელუ, მონი (ბეტსენი), მანი, ჟუიე

1 ლ: ბერნა-სალი; 1 გ: ლამეზონი; 3 ს: ლამეზონი (3)

**შოტლანდია:** პატერსონი; კ. მიურეი, მაკლარენი (ა. ბალოკი), ჯ. ლესლი, ლოგანი; თაუნსენდი (ჰოჯი), ნიკოლი (რედფესი); სმიტი, გ. ბალოკი (რასელი), სტიუარტი (მაკილვეინი), ს. მიურეი, მეტკალფი გრაიმსი), მ. ლესლი, პუტნი, პეტრი (უაიტი)

2 ს: ლოგანი (2)



საფრანგეთი — შოტლანდია. სკოტი ენდი ნიკოლი ქსავიე გარბაჟოზას მარწუხებში მოექცა

# ხანდახან ნეთსისნაირებიც აჩოქებენ ბობოლებს

2 იანვარი

**ნიუ ჯერსი 71:95 ნიუ იორკი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (14), ჰარისი (8), ჯექსონი (9), მარტინი (6), ვილიამსი (11); ნიუმენი (19), ეშმეიერი (5), დუგლასი (5), სამაკე (1)
ნიუ იორკი: უორდი (2), ჰიუსტონი (19), სპრიუელი (18), ჯონსონი (20), კემბი (5); რაისი (16), ჰარინგტონი (8), ჩაილდსი (5), პოსტელი (2), ნაითი

4 იანვარი

**ნიუ ჯერსი 96:89 ფილადელფია**

ნიუ ჯერსი: მარბერი (34 ქულა, 9 პასი), ჰარისი, ვან ჰორნი (20), მარტინი (20 ქულა, 11 მოხსნა), ეშმეიერი (4 ქულა, 11 მოხსნა); ვილიამსი (10 ქულა, 11 მოხსნა), ნიუმენი (8), ჯექსონი, დუგლასი
ფილადელფია: მაკკი (6), აივერსონი (32), ლინჩი (5), ჰილი (9), რეთლიფი (22 ქულა, 12 მოხსნა, 8 დაფარება); ბაფორდი (11), ოლი (2), მაკკალოფი (2)

ხანდახან სასწაულებიც ხდება, ხანდახან „ნიუ ჯერსი ნეთსისნაირები“ „ფილადელფია სიქსერზის“ დარ გუნდებსაც გაიგორებენ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ ხანდახან. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ამ გამარჯვების შემდეგ „ნეთსი“ მაინც დარჩა ატლანტიკის დივიზიონის ქვედა ნაწილში, „ფილადელფია“ კი მყარად ლიდერობს არა მარტო ამ დივიზიონს, არამედ მთლიანად ლიგას, რიგითი თამაშის მოგება „ბადეთათვის“ ერთობ ულიმღამო სეზონს ცოტათი მაინც გაალამაზებს. „ნეთსი“ ყოველდღე ხომ ვერ აჩოქებს ასეთ ბობოლას. არადა, „ბადეთაგან“, რომლებმაც მანამდე ზედიზედ შვიდი თამაში წააგეს, მათ შორის კი ბოლოს თანაქალაქელ „ნიუ იორკთან“ — სამარცხვინოდ, ამას არავინ ელოდა და, ალბათ, ვერც თავად იფიქრებდნენ, რომ ამდენს მოახერხებდნენ. თურმე შესძლებიათ ლამის სხვათა სპარინგ-პარტნიორად ქცეულებს. მათი მწვრთნელი ბაირონ სკოტი კარგი ვინმეა. ნაცვლად იმისა, რომ შეგირდებს შემოუძახოს და ბრძოლის ჟინი გაუღვივოს, მათ ხან ქალებს ადარებს, ხანაც ნახევარ გუნდს გაყრით ემუქრება.

„ბადეთათვის“ უქმეები ერთობ უილბლოდ დაიწყო. მანამდე ზედიზედ ექვსჯერ დამარცხებულმა „ნიუ ჯერსიმ“ ძლავრ მეტოქესთან ჭიდილში ტრადიციულად ჩამოყარა ყურები. თუ პირველ ნახევარში ასე თუ ისე უძალიანდებოდა ბობოლა თანაქალაქელს და დიდ შესვენებაზე შვიდქულიანი ჩამორჩენით წავიდა, მეორე ტაიმი სულ ჩააფლავა და მეტოქეს თავისი კალათის აოხრების საშუალება მისცა. „ნიქსიც“ მშვენივრად სარგებლობდა მასპინძელთა უხეირობით და სხვაობას სულ იოლად ზრდიდა. ერთ დროს სუპერვარსკვლავმა, „ნიუ ორკში“ კი გუნდის რიგით მოთამაშეობამდე ჩამოქვეითებულმა ლარი ჯონსონმა გაიხსენა, რომ ბურთის ჩაგდება ოდესღაც სხვებზე ნაკლებ არ ეხერხებოდა და ოცი ქულა მიითვალა. „ნეთსს“, როგორც ყოველთვის, ბოლო მეოთხედში მოელო ბოლო — ეს თორმეტწუთეული 10:21 წააგო.

„ნიუ ჯერსიმ“ ჯამში შეხვედრა სამარცხვინო 71 ქულით დაასრულა, თუმც ეს გარაკვირი არ უნდა იყოს, რადგან „ნიქსს“ მთელ ლიგაში საუკეთესო დამცველ გუნდად იცნობენ. მას ეკუთვნის ნბა-ს ყველა დროის რეკორდი — ზედიზედ 33 თამაში, რომლებშიც მეტოქეებს ასი ქულა არ ჩააგდებინა. ეს „ნიუ იორკმა“ მიმდინარე სეზონში მოახერხა და რაღა უხეირო „ნიუ ჯერსის“ აოხრებინებდა თავის კალათს.

ნამატჩევს მწვრთნელმა სკოტმა ხელი ჩაიქნია. „ვანკუვერსა“ და „გოლდენ სტეიტს“ ვერ ვუგებთ და „ნიუ იორკთან“ მარცხი რა გასაკვირი იყოო. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი გუნდი „ფილადელფიასთანაც“ განწირული იყო და ზეიდზედ შვიდ წაგებას ერთსაც წაუმატებდა. მისმა შეგირდებმა კი დღესდღეობით ლიგის უძლიერესი გუნდი დაჯაბნეს და საკალათბურთო მსოფლიო გააოცეს.

„ნიუ ჯერსიმ“ რიგიანად დაიწყო, პირველ მეოთხედში თანაბრად ებრძოლა მრისხანე მეტოქეს, ფარქვეშ აჯობა და საწყისის თორმეტწუთეული თუმც ორი ქულით (22:20), მაგრამ მაინც მოიგო. აი, მერე კი აურიეს მასპინძლებმა და ეს მათი მაღლების უხეირო გარჯის (თეო რეთლიფის გაბრწყინებას თუ არ ჩავთვლით) ბრალი იყო. ალენ აივერსონმა ჩვეულად დააწიოკა მეტოქე და ყველამ ჩათვალა, რომ თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო. ბოლო მეოთხედში „ფილადელფიამ“ ათქულიანი უპირატესობით შეაბიჯა და ისე ჩანდა, რომ ლამის მატჩის დაწყებამდე მარცხს შეგუებული „ნიუ ჯერსი“ საბოლოოდ დაყრიდა ფარ-ხმალს, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა მასპინძელთა ლიდერი სტივენ მარბერი. არასტაბილური თამაშით ცნობილმა კალათბურთელმა მთლიანად იგდო ხელთ მატჩის სადავეები და თავისიანებიც გამოაფხიზლა. მარბერი დაცვაშიც რიგიანად ირჯებოდა, ბოლო მეოთხედში აივერსონი აშკარად დაჯაბნა და მხოლოდ ორი ქულა აკმარა, თავად კი 11 გაახერხა. აქედან ექვსი ერთ მონაკვეთში, რომელშიც ნიუ ჯერსიმ ძლავრი მეტოქე დაჩაგრა და მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე 90:86 დაწინაურდა. ბობოლა „სიქსერზმა“ მარცხის საფრთხე იგრძნო და გაბრძოლება სცადა, მაგრამ უხეიროდ. ყველაფერი, რაც სტუმრებმა მოახერხეს, ეს ლინჩის სამქულიანი იყო, რომელმაც სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა — 90:89. ამას მასპინძელი ვან ჰორნის ერთი საჯარიმო მოჰყავა, სტივენ მარბერიმ კი 21 წამით ადრე ლამაზი და საჭირო ბურთი ჩააგდო და ანგარიში 93:89 გახადა. მარბერიმ პირითი ხაზის გასწვრივ დრიბლინგი წამოიწყო და ფარსუკან რომ მივიდა, შიგნით შესვლა სცადა, სადაც ერთბაშად სამი კალათბურთელის გარემოცვაში აღმოჩნდა. თუმც მან ჩინებულად ითამაშა, მის თავს ზემოთ აღმართულ ხელებს შუა ბურთი რაღაც სასწაულით გაამოძვრინა და ისე ჩააგდო. ამის შემდეგ „ნიუ ჯერსიმ“, ფაქტობრივად, გაინაღდა მოგება და დარჩენილ 21 წამში ოთხქულიან უპირატესობას სამიც წაუმატა.

რაც შეეხება „ნიუ ჯერსის“ ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას, მას არც ერთ თამაშში არ მიუღია მონაწილეობა, მაშინ, როდესაც სკოტმა მოედანზე შეუშვა ეშმეიერიც და სამაკეც, რომელთაც, როგორც წესი, სტეფანიას ამჯობინებს ხოლმე. ოკეანის გაღმიდან არაფერს იტყობინებიან, მაგრამ ვეჭვობთ, ვოვას ტრავმა უნდა ჰქონდეს და თუ დაშავებულთა სიაში არ შეჰყავთ, უცილობლად იმის გამო, რომ „ბადეებს“ მისი ჯანმრთელი შემცვლელი არ ჰყავთ.

2 იანვარი

**ატლანტა 80:91 მაიამი**

ატლანტა: ტერი (31), რაიტი (17 ქულა, 10 მოხსნა)
მაიამი: ჯონსი (24 ქულა, 12 მოხსნა), ჰარდევეი (18), გრანტი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**ლეიკერსი 93:87 შარლოტი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (44)
შარლოტი: მაშბურნი (28), ვესლი (18)

**საკრამენტო 105:95 ვანკუვერი**

საკრამენტო: ვებერი (41 ქულა, 15 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (17)
ვანკუვერი: აბდულ-რაჰიმი (27), ბიბი (23)

**ფილადელფია 117:123 ორლანდო**

(ძირითადი დრო 102:102)
ფილადელფია: აივერსონი (47), რეთლიფი (21 ქულა, 13 მოხსნა)
ორლანდო: არმსტრონგი (34 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა), მაკგრეიდი (25), მილერი (24)

**დეტროიტი 95:102 ბოსტონი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (40)
ბოსტონი: პირსი (40)

**ინდიანა 103:94 დენვერი**

ინდიანა: მილერი (27), როუზი (26), ბესტი (16 ქულა, 10 პასი)
დენვერი: მაკდაიესი (25), ვან ექსელი (19 ქულა, 10 პასი)



AP მაიამიდან

მაიამი — ნიუ იორკი.
მაიამელი ბრაიან გრანტი (თეთრ ფორმაში). და მარკუს კემბი

შაკილ ონილი ტერფს იტკივებს და კიდევ ერთი კვირა იუქმებს, ასე რომ, წინა სეზონის დიდი ჩემპიონი „ლეიკერსი“ უცენტროდ დარჩა. პარასკევ ღამით მას გაწონასწორებულ „შარლოტთან“ მოუხდა შებმა. კარგად ირჯებოდნენ სტუმრები — დევიდ ვესლი და ჯამალ მაშბურნი, მათთან ერთად ექსლეიკერსელი ელდენ კემპბელიც (14 ქულა, 11 მოხსნა), რომელიც სამი წლის წინ შაკილ ონილის შემცვლელი ცენტრის იყო, მაგრამ კობი ბრაიანტის 44 ქულამ გადასწონა. აღსანიშნავია, რომ კობი ერთადერთი მასპინძელი იყო, რომელმაც ათ ქულაზე მეტი მოინაგრა. ამ 44 ქულით ბრაიანტმა დაიბრუნა ლიგის უპირველესი ბომბარდირის არაოფიციალური წოდება და დეტროიტელი ჯერი სტეკჰაუზიმ ერთი საფეხურით დააქვეითა.

იმ დღეს სტეკჰაუზი ზუსტად ისროდა. მან „ბოსტონს“ 40 ქულა ჩაუგდო, მაგრამ მისმა „დეტროიტმაც“ ბოსტონელი პოლ პირსისგან ამდენივე მიიღო, ხოლო რადგან პირსის თანაგუნდელები უკეთ გაისარჯნენ, ვიდრე სტეკჰაუზისა, „დეტროიტი“ შინ დამარცხდა.

პარასკევს, ორ თებერვალს, კიდევ ბევრს წაუვიდა სროლა. საკრამენტოელმა კრის ვებერმა „ვანკუვერთან“ 41 ქულას მოუყარა თავი და „საკრამენტომ“, ცხადია, მოიგო. აი, „ფილადელფიას“ კი აივერსონის 47 ქულამ ვერ უშველა. სანამ ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსისთან“ დამარცხდებოდა, „ფილადელფიამ“ „ორლანდოსთანაც“ წაიფორხილა. „ორლანდო“ ოვერტაიმების გუნდია, დამატებით დროში იშვიათად აგებს და აგერ ორმაგ ოვერტაიმიან მომქანცველ მატჩში ბობოლა „სიქსერზი“ დააჩოქა. შეხვედრაში აივერსონის მეურვეობა „ორლანდოს“ გამთამაშებელ დარელ არმსტრონგს დაევალა. თუ როგორ გაართვა მან საქმეს თავი, ამას აივერსონის მონაგარიც აჩვენებს. სამაგიეროდ, ორლანდოელმა ოვერტაიმებში ივაჟკაცა, მეორის შუაწელში ერთი წუთის განმავლობაში ორი სამიანი ჩააგდო და სტუმრები 118:113 დააწინაურა, რითაც, ფაქტობრივად, წერტილი დასვა. არმსტრონგს საბოლოოდ კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 34 ქულა მოუგროვდა და ამასთან, სულ ორი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

3 თებერვალი

**კლიპერსი 90:88 პორტლენდი**

კლიპერსი: პიატკოვსკი (26), ოდომი (18), მაკინისი (17)
პორტლენდი: ველსი (22)

**ვანკუვერი 91:84 ჩიკაგო**

ვანკუვერი: ბიბი (26), აბდულ-რაჰიმი (21 ქულა, 13 მოხსნა)
ჩიკაგო: ფიზერი (26), მერსერი (17)

**იუტა 111:91 სიეტლი**

იუტა: მელოუნი (28), მარშალი (22 ქულა, 10 მოხსნა), რასელი (21)
სიეტლი: ლუისი (19), ბეიკერი (17)

**სან ანტონიო 90:88 ჰიუსტონი**

სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 11 მოხსნა), ანდერსონი (15 ქულა, 9 პასი, 9 მოხსნა)
ჰიუსტონი: ფრენსისი (29 ქულა, 10 მოხსნა), მობლი (28)

**დალასი 101:85 გოლდენ სტეიტი**

დალასი: ნოვიცკი (23), ეისლი (20)
გოლდენ სტეიტი: სურა (28), ჯექსონი (27 ქულა, 12 მოხსნა)

**მილუოკი 104:85 ინდიანა**

მილუოკი: კასელი (23), რობინსონი (22), ალენი (20)
ინდიანა: როუზი (15)

**კლივლენდი 81:98 დეტროიტი**

კლივლენდი: მიმი (14 ქულა, 12 მოხსნა), მილერი (14)
დეტროიტი: სმითი (22 ქულა, 13 მოხსნა), სტეკჰაუზი (21)

**ორლანდო 96:84 ატლანტა**

ორლანდო: მაკგრეიდი (26 ქულა, 15 მოხსნა), არმსტრონგი (22 ქულა, 10 მოხსნა)
ატლანტა: ტერი (22), რაიტი (20), მუტომბო (11 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება)

**ვაშინგტონი 100:105 დენვერი**

ვაშინგტონი: ვიტნი (24), ჰამილტონი (18), ჰოვარდი (18)
დენვერი: მაკდაიესი (24 ქულა, 16 მოხსნა), ვან ექსელი (23 ქულა, 11 პასი)

**ტორონტო 105:108 მინესოტა**

ტორონტო: დევისი (25 ქულა, 10 მოხსნა), კარტერი (19)
მინესოტა: გარნეტი (30 ქულა, 13 მოხსნა), შჩერბიაკი (19), ელისი (18 ქულა, 11 მოხსნა)

„ნიუ ჯერსის“ „ფილედელფიასთან“ გამარჯვება ამ უქმეების ერთადერთი მოულოდნელობა არ ყოფილა. წინადღით, შაბათს, „პორტლენდი“ „კლიპერსთან“ შერცხვა. მართალია, „ბლეიზერსი“ მთავარ მექულეს, ოლსტარელ რაშიდ ვოლესს მოისაკლისებდა, მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი როდია, ჩემპიონობისთვის მებრძოლი „პორტლენდი“ ასეთ უხეირო გუნდს 20 ქულით მაინც უნდა ამარცხებდეს. კლიპერსელმა შონ რექსმა მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე ორი საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში 90:39 გახადა. დარჩენილი დრო კი „პორტლენდს“ საქმის გამოსასწორებლად არ ეყო.

„ტორონტოს“, მართალია, ლიდერი ვინს კარტერი დაუბრუნა, მაგრამ იგი ფორმაში არაა და ვერც „მინესოტასთან“ იყოჩაღა. სამაგიეროდ, გაილაღა სტუმარმა კევინ გარნეტმა, რომლის შემჩერებელიც კანადურ გუნდში არავინ იყო.

იყო დრო, „სან ანტონიოს“ და „ჰიუსტონის“ შეხვედრაში დიდი ცენტრების — დევიდ რობინსონისა და ჰაკიმ ოლაჯუონის დუელი წყვეტდა ყველაფერს, მაგრამ დღესდღეობით თავიანთ გუნდებში ძველებურად ველარ პირველობენ, თუმც მაინც თვალსაამო ორთაბრძოლა უჩვენეს მაყურებელს. სანანტონიოელმა რობინსონმა 13 ქულა და 9 პასი გაახერხა, ჰიუსტონელმა ოლაჯუონმა — 10 ქულა და 8 მოხსნა. ამ ტეხასურ დერბიში კი გამარჯვება უფრო ღონიერ, თანაც მასპინძელ „სან ანტონიოს“ დარჩა, თუმც დიდი წვალების ფასად.

4 თებერვალი

**ლეიკერსი 100:94 საკრამენტო**

ლეიკერსი: ბრაიანტი (26 ქულა, 11 მოხსნა), ჰორი (20)
საკრამენტო: ვებერი (25)

**ფინიქსი 85:82 შარლოტი**

ფინიქსი: დელკი (16), როჯერსი (16)
შარლოტი: მაშბურნი (27)

**ბოსტონი 103:82 კლივლენდი**

ბოსტონი: უოლკერი (36 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), პირსი (22)
კლივლენდი: მილერი (17)

**მაიამი 100:103 ნიუ იორკი**

(ძირითადი დრო 91:91)
მაიამი: მეისონი (21 ქულა, 13 მოხსნა), ჯონსი (21)
ნიუ იორკი: რაისი (29), უორდი (19), ჰიუსტონი (17)

ცხადია, კობი ბრაიანტი ყოველ თამაშს მარტო ვერ მოიგებს და უშაკილონილო „ლეიკერსიც“ ხშირად შერცხვება, თუ კობის გარდა სხვებიც არ გამოიღებენ ხელს. „საკრამენტოსთან“ შეხვედრაში, ჩემპიონთა ბედად და ყველასგან მოულოდნელად, რობერტ ჰორი აფეთქდა. იყო დრო, იგი 20 ქულას ყოველ მეორე მატჩში აკეთებდა, წლეულს კი მას ამდენი მანამდე არ მოეგროვებინა. ჰორიმ 20 ქულის დაგროვებას 25 წუთი მოანდომა, ამასთან, ნაწილობრივ მაინც შებოჭა საკრამენტოელი კრის ვებერი, რომელიც თავის რვაწლიან კარიერაში საუკეთესო ფორმაშია.

მეორე ოკეანის ნაპირზე კი „მაიამი“ მოსისხლე „ნიუ იორკს“ მასპინძლობდა და უამრავი ხელსაყრელი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, როგორც ძირითადში, ასევე ოვერტაიმში. მატჩის შემდეგ მაიამელმა ჯონსმა კიდეც თქვა, ახი იყო, რომ წავაგეთო.

**ირაკლი ფირცხალავა**

მსოფლიო ჩემპიონატი. სანქტ ანტონი (ავსტრია)

# ავდარი — ლასეს გამხარებელი

**პარასკევ** ღამით დაიწყო და ორი დღე ხვავრიელად თოვდა სანქტ ანტონსა და მის შემოგარენში. სათხილამურო ტრასებზე თოვლის საფარმა ნახევარი მეტრით მოიმატა, ხოლო ავსტრიული კოხტაგორის წვერზე საათში 100 კილომეტრი სიჩქარით მოზუზუნე ქარმა სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს პირველობის მორიგი ორი ეტაპის ჩატარება უქმეებზე მთლიანად გამორიცხა. ორგანიზატორებს წინდახედულად სამშაბათი დღე მარაგში ჰქონიათ დატოვებული და ესე იგი, დაახლოებით ამ წუთებში ქალები და კაცები სწრაფდაშვების გადადებულ ეტაპებს გადიან, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, ძლიერი სქესის შვილებში ნორვეგიელი ლასე კიუსიც თუ ურევია. 1999 წლის მსოფლიოს თასის პატრონს ძველმა ჭირმა შეახსენა თავი: ექიმებმა გასინჯეს და ფილტვებში მცირე ანთება აღმოუჩინეს. კიუსს ბრონქებში ადრეც უჭირდა, თასის მოგების შემდგომში სეზონი გამოტოვა და ჰერმან მაიერს განსაცვიფრებელი 2000 ქულის დაგროვებაში ცოტათი შეეშველა. წლევანდელ სეზონში კიუსი გვარიანად დაბრუნდა. საერთოდ მსოფლიოს თასის გათამაშებას ახლაც „ჰერმინატორი" ლიდერობს, მაგრამ მის უპირველეს კონკურენტებში ნორვეგიელს ყველაზე უწინ ასახელებენ. ჰოდა, უმნიშვნელოვანეს მომენტში, ზედ მსოფლიოს პირველობის მისადგომებთან, როგორც აღვნიშნეთ, ვიკინგი მედიკოსებმა კიდევ ერთხელ დაალონეს, ანთების ნიშნები გაქვსო, განუცხადეს. ამიტომ კიუსმა გერმანიაში გამართული თასის ეტაპი გამოტოვა, სანქტ ანტონშიც ორ საწვრთნელ სრიალს გამოაკლდა, მაგრამ მერე ვერ მოითმინა თუ რა იყო, უვარჯიშებლად გავიდა სუპერგიგანტის შეჯიბრზე. მედლამდე თითებზე ჩამოსათვლელი წამის მეასედები დააკლდა — მესამე ადგილზე გასულმა ჰერმან მაიერმა გაუსწრო.

თოვლიან-ქარიანმა ავდარმა სწორედ კიუსი გაახარა. ახლა ექიმები მის ფილტვებში ანთების ნაკვალევს ახშობენ და რაც უფრო დიდხანს არ გამოყოფს ავადმყოფი ცხვირს თბილი ოთახიდან, მით უკეთესი. ნორვეგიელს დღითიდღე უკეთესობა ეტყობა, სამშაბათს დიდი იმედებით ხვდება.



მარტინა ერტლი




„მამაკაცთა სწრაფდაშვება გადაიდო" — იუწყება სანქტ ანტონის ტაბლო

ხოლო პარასკევს (სანამ ქარი ამოვარდებოდა) ქალებმა კომბინაცია მოასწრეს და იგი იანიცა კოსტელიჩის ნაცვლად მარტინა ერტლმა მოიგო. კოსტელიჩის ასე პირდაპირ უპირველეს ფავორიტად დასახელების საბაბს მისი ბოლოდროინდელი შედეგები იძლევა: ხორვატმა წლევანდელ მსოფლიოს თასზე სლალომის შვიდივე ეტაპი მოიგო, ხოლო კომბინაცია სწრაფდაშვების ერთი და სლალომის ორი გარბენისგან შედგებოდა. მან სწორედ საყვარელი სლალომისას დაუშვა შეცდომა და წაიქცა. „მშვენივრად მივსრიალებდი— თქვა შემდეგ ტანადმა ხორვატის გოგომ — მაგრამ უეცრად ჩემი თხილამურები ჰაერში აფრინდა და წავიქეცი. კარგია, რომ იოლად გადავრჩი". „ის ძალიან სწრაფად გაქანდა და ამტომაც დაეცა — ახსნა მომხდარი კოსტელიჩის მამამ და მწვრთნელმა, ანტე კოსტელიჩმა — სულ ვეუბნები, მეტი ყურადღებით იყოს, მაგრამ ეს მისი სტილია და რას იზამ. ასაკიც ხელს უწყობს..." 18 წლის კოსტელიჩს შარშანდელი სეზონის დრამამ, ეტყობა, ჭკუა ვერ ასწავლა. მაშინ მსოფლიო თასზე სლალომის საწყისი სამიდან ორი ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლას ლიდერობდა, როცა შვეიცარიულ სენტ მორიცში წაიქცა და მუხლი დაიმსხვრია. ამას მოჰყვა ექიმობა სეზონის დარჩენილ ნაწილში, სერიოზული მკურნალობა (ექიმები ეუბნებოდნენ, ხეირიანად ვერ გაივლიო) და სასწაულებრივი დაბრუნება გასული წლის მიწურულს ძველებური, აგრესიული სასრიალო სტილის თანხლებით. ყოველივე ამან კოსტელიჩის ფსიქიკაზე იოტისოდენად ვერ იმოქმედა. მან სანქტ ანტონში წაგებაც უაღრესი სიმშვიდით აღიქვა.

„არ ვიტირებ! — პრინციპულად განაცხადა კოსტელიჩმა — გაწბილებულიც კი არა ვარ, ცხოვრება გრძელდება, მომდევნო რბოლები მოდის, ცრემლები კი ვერაფერს შეცვლის." ამ სიტყვებში ხორვატის ოპტიმისტური ბუნება კი არა, ისიც ჩანს, რომ სამთო თხილამურობაში მსოფლიოს ჩემპიონატი სტატუსის შესაფერისი ასპარეზობა არ არის და მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიაში მოთხილამურეთა ელიტა თითქმის სრულად შეიკრიბა, იგი მსოფლიოს თასის შემადგენელი ნაწილი უფროა. თუმცა დასწრების თვალსაზრისით სანქტ ანტონში ერთი ამბავია: გერტრუდა გაბლის ფერდობის ძირში თითქმის ყოველდღე 40 ათას კაცს დაითვლით.

კონსტელიჩს კი [illegible] უტკბია და ახლა [illegible] ალი [illegible] ერ მტკივა, შეიძლება მოტეხილიც იყოსო. არადა, ფრენი შნაიდერის რეკორდამდე მას სლალომის ერთი ეტაპის მოგებაღა უკლია, რომელიც პარასკევს უნდა შედგეს და ცუდია, თუ ხელებმა დაალალატეს.

ნახსენები 40 ათასი კაცი უჭვრეტდა პარასკევს ნახსენებსავე ქალთა კომბინაციას. ნაგანოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონს, 27 წლის მარტინა ერტლს გამარჯვების მცირე იმედი ჰქონდა, ხუთი კვირის დაშავებული მუხლი წესიერად ვერ მოერჩინა, არადა, მანამდე ჩინებულ ფორმაში იყო და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას ედგა სათავეში. „მწვრთნელები სკეპტიკურად უყურებდნენ კომბინაციაში ჩემს გამოსვლას — თქვა უკვე გამარჯვებულმა ერტლმა — მათი აზრით, სწრაფდაშვებაში ვერას გავაწყობდი, რადგან ჩემპიონატზე მხოლოდ სლალომსა და გიგანტურ სლალომში სრიალი გადავწყვიტე". მაგრამ წაიქცა კოსტელიჩი და... „უკვე ვიგრძენი, რომ მედლის აღების შანსიც მქონდა — ამბობს ერტლი — აღარაფერი მაწუხებდა და აუღელვებლად გავაგრძელე ჩემი საქმე". საბოლოოდ სწრაფდაშვების შემდგომ მხოლოდ მე-14 ადგილზე მყოფმა გერმანელმა ჩემპიონის მედალი მოიპოვა და თავისი ქვეყნის საერთო მონაგარს ერთობ შეეწია. გუნდურ ჩათვლაში ხუთი ქვეყნის გარდა არცერთ დანარჩენს სანქტ ანტონში ჯერ ბრინჯაოს მედალიც არ ღირსებია.

**დავით ბულუა**

| ქალები. კომბინაცია |
|---|
| 1. მარტინა ერტლი (გერმანია) 2:55,65 |
| 2. კრისტინ შმონრინგი (ავსტრია) 2:58,23 |
| 3. კარენ პუტცერი (იტალია) 2:58,69 |
| 4. კორინ რეი ბელეტი (შვეიცარია) 2:59,43 |
| 5. პეტრა ჰალტმაიერი (გერმანია) 2:59,79 |

ჩოგბურთი

# ერთი და მრავალი

**მილანის (იტალია) დარბაზის ღია პირველობა. ხალიჩა. საპრიზო 400 ათასი $**

**მეოთხედფინალი: გრეგ რუსედსკი (ინგლისი) — მარატ საფინი (1, რუსეთი) 6:0, 7:6 (7:5); ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:4, 6:3; როჯერ ფედერერი (7, შვეიცარია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4; ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:4**

**ნახევარფინალი: ფედერერი — კაფელნიკოვი 6:2, 6:7 (4:7), 6:3; ბუტე — რუსედსკი 7:6 (7:5), 7:6 (7:3)**

**ფინალი: ფედერერი — ბუტე 6:4, 6:7 (7:9), 6:4**

მილანში ახალი თაობის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა თავისი ტიტულების ანგარიში გახსნა. 19 წლის შვეიცარიელი, რომელსაც მომავალში მარატ საფინსა და ლეიტონ ჰიუიტთან მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებენ, თავის დროზე კი ქართველები უიმბლდონის იუნიორთა ფინალში ირაკლი ლაბაძის ძლევით გაგვამწარა, აქამდე ორ ფინალში დამარცხებულიყო.

„პირველი ტიტული ყოველთვის განსაკუთრებულია, ამ მომენტზე მთელი ბავშვობა ვოცნებობდი. ვიტყოდი, რომ ჩემი კარიერა ახლა იწყება" — განაცხადა ფედერერმა მოგვიანებით, როდესაც ტრიბუნებიდან თავგადაკლულად მოქომაგე სამხრეთაფრიკელ დედას გადაეხვია და პროფესიული ტურნირის მთავარი ჯილდო ცხოვრებაში პირველად შეათამაშა ხელში.

გადამწყვეტ მატჩში შვეიცარიელის მეტოქე ჟულიან ბუტე ასაკით მასზე ბარე 7 წლით უფროსი გახლდათ, მაგრამ დიდი გამოცდილებით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებდა: ფრანგი წარსულში მხოლოდ ჩოგბურთის მეორე ლიგაში — სატელიტებსა და ჩელენჯერებზე ასპარეზობდა და ATP-ის ფინალში პირველად გააღწია.

ალბათ, სწორედ ამით აიხსნებოდა მატჩის მეტად ნერვიული, ქაოტური ხასიათი და ხშირი შეცდომები, რაც მოთამაშეებიდან გვერდით და მთავარ მსაჯებსაც გადაედოთ (დატანჯული გარეგნობის რეფერი ლარს გრაფს მესამე სეტში მოწოდების მიმდევრობის დადგენაც კი შეეშალა).

ბუტეს მთელი კვირის მანძილზე მოწოდება ერთადერთხელ დაეკარგა, მაგრამ ფინალში ბურთის პირველ-მეორე კვადრატში მოხვედრება უჭირდა, 11 ორმაგი შეცდომა დაუშვა და ფედერერს ბრეიკი ექვსჯერ გადაულოცა. თავის მხრივ შვეიცარიელი ცდილობდა, ზედმეტად დისციპლინირებულად ეთამაშა, შედეგად მეტად პასიურობდა და არც თვალს ახარებდა ეფექტური დარტყმებით.

კორტზე მდგომარეობა ელვის სისწრაფით იცვლებოდა, უპირატესობა და ინიციატივა ხან ერთი მოთამაშის ხელში იყო, ხან მეორის. პირველ სეტში ბუტე 4:2 დაწინაურდა, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო. მეორე ხელის ტაიბრეიკზე ფედერერს მატჩ-პოინტი ჰქონდა, თუმც ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.

მესამე ხელში ვნებათაღელვა და ისტერიკა ოდნავ ჩაცხრა. შვეიცარიელმა მეტოქეს თავიდანვე აართვა მოწოდება, ნერვები დაიწყნარა და მატჩის დაწყებიდან 2 საათისა და 15 წუთის შემდეგ გამარჯვება გაიფორმა.

„შვებით ამოვისუნთქე! ზედიზედ მესამე ფინალი რომ წამეგო, არ ვიცი, რა მეშველებოდა. პირველი ამოცანა — მინიმუმი შევასრულე, ტურნირი მოვიგე და ახლა ნაკლები ზეწოლით ვითამაშებ. ჩემი მომდევნო მიზანი საუკეთესოთა 15-ეულში მოხვედრაა. ვიცი, ეს ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი. მილანიდან კი მხოლოდ ტკბილ მოგონებებს გავიყოლებ" — აღნიშნა ფედერერმა.

გული მაინცდამაინც არც ფრანგს დასწყვეტია: „ჩემს ადგილზე იმედგაცრუებულად ყოფნა სისულელე იქნება. ასე კარგად ცხოვრებაში არ მითამაშია, წლების მანძილზე მძიმე შრომამ ბოლოს და ბოლოს ნაყოფიც გამოიღო. ისე, ცოტა ნაკლებად ემოციური რომ ვყოფილიყავი და არ მენერვიულა, ფინალის შემდეგი შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო".

**ბოგოტა. კოლუმბიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $**

**მეოთხედფინალი: ფერნანდო ვისენტე (2, ესპანეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (7, რუსეთი) 6:7 (4:7), 6:3, 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (2, არგენტინა) — უგო ნალბანდიანი (არგენტინა) 7:5, 6:3; ალექსანდრე სიმონი (ბრაზილია) — გოლერმო კორია (5, არგენტინა) 6:4, 6:4; ხუან ალბერტ ვილოკა (ესპანეთი) — მაურისიო ადადი (კოლუმბია) 6:3, 3:6, 6:4.**

**ნახევარფინალი: ვისენტე — სიმონი 6:3, 7:6 (9:7); ჩელა — ვილოკა 7:6 (12:10), 6:3.**

**ფინალი: ვისენტე — ჩელა 6:4, 7:6 (8:6)**

ბოგოტის ტურნირის ფინალი ძალიან უცნაური აკომპანიმენტით გამოირჩეოდა. მაშინ, როდესაც ესპანელი ფერნანდო ვისენტე და არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა 2 600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ქალაქის კორტზე იბრძოდნენ, სტადიონის გარეთ ხმაურიანი საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა ტურნირის მთავარი სპონსორის — ლუდის ფირმა „კლუბ კოლუმბიას" წინააღმდეგ.



ლინდსი დევენპორტი და მარტინა ჰინგისი

ფირმის მუშაკები ხელფასების გაზრდის მოთხოვნით თურმე დეკემბრიდან გაფიცულნი იყვნენ და თავიანთი აღშფოთების გამოხატვას არც ამჯერად მოერიდნენ: მრავალი გულშემატკივარი მატჩის სანახავად არ შეუშვეს, თანაც გარედან მთელი ხმით გაჰყვიროდნენ საპროტესტო ლოზუნგებს.

ისინი, ვინც ტრიბუნებამდე მიაღწია, ძირითადად 23 წლის ვისენტეს უჭერდნენ მხარს (კოლუმბიაში არგენტინელები თურმე არ ყვარებიათ). ესპანელმაც შეიფერა ქომაგობა — აყლაყუდა ჩელას ორ ხელში აჯობა და კარიერის მესამე ტიტული მოიპოვა.

**ტოკიო (იაპონია). PAN PACIFIC OPEN. დარბაზი, ხალიჩა, საპრიზო 1,2 მილიონი $**

**ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მაგდალენა მალეევა (8, ბულგარეთი) 6:3, 1:6, 6:0; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ანა კურნიკოვა (3, რუსეთი) 6:1, 6:7 (5:7), 6:0**

**ფინალი: დევენპორტი — ჰინგისი 6:7 (4:7), 6:4, 6:2**

როგორც მოსალოდნელი იყო, ტოკიოს ტურნირის ფინალში მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები — მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი ფრიად სასიამოვნო სანახავი გამოდგა და დევენპორტის გამარჯვებით დასრულდა, რომელსაც დარბაზში სწრაფ საფარზე თამაში მეტოქეზე მეტად უყვარს და აწყობს.

„მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოსვლა გადავწყვიტე. ერთი კვირის წინ ეს მაინცდამაინც არ მინდოდა, რადგან ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი (ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ჯენიფერ კაპრიატისთან წაგებით). შინ პირდაპირ მელბურნიდან დაბრუნებას აქედან ტიტულის გაყოლება ნამდვილად ჯობდა" — გაიხარა 24 წლის ამერიკელმა.

დევენპორტმა ფინალის პირველი სეტი ტაიბრეიკზე დათმო, მეორეში ბრეიკითაც ჩამორჩა, მაგრამ თანდათან ჰინგისს ძალისმიერი თამაში მოახვია თავს და უპირატესობა ხელთ იგდო. მეტოქის მძლავრი მიღებებით დაშინებულმა მარტინამ თავის მხრივ ორმაგ შეცდომებს უმატა, მნიშვნელოვან მომენტებში ამერიკელს თავად უწყალობა ქულები და ზედიზედ მეორედ დამარცხდა ფინალში.

„მოგების შანსები მქონდა, მეორე ხელშივე უნდა დამესრულებინა ყველაფერი, თუმცა ლინდსის წინააღმდეგ ამის გაკეთება ძნელია, მუდმივად თავდაცვაზე უნდა იფიქრო, ეს კი ფსიქოლოგიურად საოცრად გასავათებს" — თავი იმართლა ჰინგისმა, რომელიც პირად შეხვედრებში დევენპორტს 10:13 ჩამორჩება.

„მსოფლიოში საუკეთესო ჩოგბურთელის დამარცხება მეტად სასიამოვნოა. ცდას არ დავაკლებ, კლასიფიკაციაში მარტინას რომ გადავასწრო" — განაცხადა ამერიკელმა, რომელსაც მთავარ ჯილდოსთან ერთად 175 ათასი დოლარიც ერგო.

**ავთანდილ სვანიძე**

3 თებერვალი

**ნახევარფინალი**

**შვედეთი 25:24 იუგოსლავია**

„მეტოქე ძალიან ძლიერი გამოდგა. ანგარიშში შვიდი ბურთით დაწინაურების შემდეგ თამაში უკვე მოგებული გვეგონა და ოდნავ მოვეშვით. იღბალი გვქონია, რომ არ დავისაჯეთ. ლოვგრენმა ფანტასტიკური გოლი შეაგდო. ურთულესი ფინალი გველის" — თქვა ნამატჩევს მსოფლიოს საუკუნის ხელბურთელად აღიარებულმა შვედეთის ნაკრების ცენტრმა მაგნუს ვისლანდერმა.

მსოლიო ხელბურთში უკანასკნელ ათწლეულში რუსეთთან ერთად გაბატონებული შვედეთი აშკარა ფავორიტი იყო, მაგრამ მეოთხედფინალში ესპანეთის მძლეველ იუგოსლავიასთან მაინც სიფრთხილე მართებდა. ყველაფერიც ლოგიკას დაემორჩილა. იოჰანსონის შეგირდებმა თავიდანვე თავის დაკრულზე ააცეკვეს მოწინააღმდეგე და მალე ისე გამოჩნდა, გამარჯვებაც დაიბევესო. თუმცა სლავებში სიამაყემ გაიღვიძა და მათ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. ბოლო წამებზე კი დაახლოებით 11 მეტრიდან ლოვგრენის ყუმბარასავით გასროლილმა ბურთმა კარის ბადე ლამის გაარღვია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფინალში შვედეთი გავიდა.

თავიდან სკანდინავიელებს არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. მათ გუნდურ თამაშს მეტოქემ ვერაფერი დაუპირისპირა. მარჯვენა ფრთაზე ერნელინდმა გაილაღა და გამოცდილ ჯორჯიჩს სამჯერ თავზეც გადააჭარა ბურთი. ლოვგრენი და პატრიკ ანდერსონის წყვილიც შეუდარებელი იყო. „ყვითლები" მუდმივად სროლისთვის იდეალურ პოზიციაში რჩებოდნენ და ჯორჯიჩს საკუთარი ტალანტის გამოჩენის მცირედ შანსსაც კი არ უტოვებდნენ. იუგოსლავია თავდასხმაშიც მოიკოჭლებდა. ესპანეთთან ბრწყინვალედ მოთამაშე სკრბიჩმა შესვენებამდე ერთი გოლის გატანაც ვერ მოახერხა, იოვანოვიჩი კი თავის მხოლოდ ერთხელ გამოჩენას დასჯერდა. ერთადერთი ლისიჩიჩი ახერხებდა სვენსონისა და გენცელის ჯობნას, რომლებიც მორიგეობით მშვენივრად იცავდნენ შვედეთის კარს. ამიტომაც საწყისი ოცდაათი წუთი ჩრდილოელებმა 14:9 მოიგეს.

მეორე ტაიმი შვედებმა კიდევ უფრო ძლიერად დაიწყეს, რათა მოწინააღმდეგისთვის მალევე მოეღოთ ბოლო. ჰოდა, რვა წუთში ანგარიში უკვე 18:11 გახდა. შემდეგ ისინი დაწყნარდნენ და მეტოქისთვის იოლად გოლის გატანა რომ არ დაენებებინათ, ამისთვისღა ირჯებოდნენ. იუგოსლავიელებიც სწორედ ამ დროს გამოფხიზლდნენ. ისინი დაცვაში 5-1 სისტემა მიენდნენ, წინ იოვანოვიჩმაც გამოიღო ხელი და 50-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ორ ბურთამდე შემცირდა — 21:19. ამ პერიოდში ყველაზე მეტად თავი შეცვლაზე შესულმა მაქსიჩმა ისახელა, რომელმაც სამჯერ გაუტანა შვედებს.

სკანდინავიელები აირივნენ. ვრანიესმა 7-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნაც კი გააცუდა. ჯორჯიჩი საერთოდ აღარ ფიქრობდა გოლის გაშვებას და საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე იოვანოვიჩმა თავისიანები დააწინაურა — 22:21. თუმცა შვედები მოპანიკე ხალხი არ არიან და ორ წუთში ვრანიესმა წყვილი გოლი შეაგდო. მატიჩმა მალევე გაათანაბრა, მაგრამ „ყვითლები" ისევ წინ გავიდნენ. 15 წამი რჩებოდა თამაშის დამთავრებამდე, როცა იოვანოვიჩმა პენალტით ისევ აღადგინა თანაფარდობა ანგარიშში. ყველას ეგონა, დამატებითი დრო დაინიშნებოდა, თუმცა სიდნეის ოლიმპიადის საუკეთესო მოთამაშე ლოვგრენმა ისეთი ძალით და ისე მოულოდნელად გატყორცნა ბურთი 11 მეტრიდან, მეთერთმეტედ გაუტანა ჯორჯევიჩს, რომელმაც რეაგირებაც ვერ მოასწრო.

**საფრანგეთი 24:21 ეგვიპტე**

„ჩვენი აღარავის სჯეროდა, მაგრამ დავამტკიცეთ, რომ საქმის გამოსწორება შეგვიძლია" — თქვა დიდიე დინარმა ეგვიპტელთა დამარცხების შემდეგ. მისი და მისი თანაგუნდელების კი პირველი ტაიმის მერე აღარ სჯეროდათ, რომელიც მათ 8:10 დათმეს და საკმაოდ უხეიროდაც ითამაშეს. განსაკუთრებით მეკარე კრისტიან გოდენი „გამოირჩა", რომელიც მუმიასავით იდგა და „ფარაონთა" ტყორცნებს ვერაფერს უხერხებდა. „კი ჩამოვრჩით, მაგრამ ბრძოლის ჟინი არ გაგვნელებია. ეგვიპტეს ისეთი არაფერი უჩვენებია, თამაშის ხალისი წაგვრთმეოდა. უბრალოდ, უიღბლობა უნდა მორჩენილიყო" — დაამატა დინარმა.

მეოთხედფინალში ეგვიპტემ ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთი გაამწარა და საფრანგეთთანაც თამამად დაიწყო თამაში, ოღონდ მასპინძლები რუსებზე უფრო სერიოზულად მოეკიდნენ აფრიკის ჩემპიონს და მეორე ტაიმში მისი გატეხვა

# ცხრიდან ცხრით მეცხრე ცაზე

## საფრანგეთი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია

*საფრანგეთში ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი მასპინძელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. „ლურჯებმა" ჯექსონ რიჩარდსონის კაპიტნობით მეორედ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა. პირველად მათ ოქრო 1995 წელს ირგუნეს ისლანდიაში. გადამწყვეტი მატჩები გასულ უქმეებზე გაიმართა და დიდი დაძაბულობითაც გამოირჩა. თუმცა ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ:*



AFP მარი ზიდან

პატრიკ კაზალი, ჯექსონ რიჩარდსონი, ანდრეი გოლიჩი და ჟერომ ფერნანდესი შვედთა ძლევას ზეიმობენ

მაინც შეძლეს. „ტაიმი მხოლოდ ორი ბურთით წავაგეთ მაშინ, როცა, სავსებით რეალური იყო, 4-5 ბურთით ჩამოვრჩენილიყავით. სულელურ გოლებს ვუშვებდით, ასპროცენტიან მომენტებს ვაფუჭებდით, უაზროდ ვჯარიმდებოდით. ასე აღარ უნდა გაგრძელებულიყო" — თქვა „ლურჯების" მთავარმა მწვრთნელმა დანიელ კონსტანტინიმ.

მეორე ტაიმში მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი არაევროპელი ნახევარფინალისტი დიდი წნეხის ქვეშ მოექცა. საფრანგეთის კარში ბრუნო მარტინი ჩადგა, რომელიც ლამის მკვდარ ბურთებს იღებდა. თავდასხმაში გრეგ ანკეტილი გაიხსნა, რომელსაც ჯამში 7 გოლი დაუგროვდა. ამიტომაც მასპინძლებმა ნელ-ნელა თამაშის სადავეები იგდეს ხელთ და მეტად დაძაბულ ბრძოლაში გააღწიეს ფინალში, სადაც მათ შვედები ელოდნენ.

4 თებერვალი

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

**იუგოსლავია 27:17 ეგვიპტე**

ნახევარფინალში მოღლილ აფრიკელებს იუგოსლავიელებმა ცხვირიდან სულ ძმარი ადინეს და მეტად იოლად დაათმობინეს ბრინჯაოს მედლები, პოდიუმის უკანასკნელი საფეხურისთვის ბრძოლა საკმაოდ მშვიდად დაიწყო და 15 წუთში ოდენ 6 გოლი გავიდა. ევროპელები 4:2 დაწინაურდნენ. აფრიკელებმა ინიციატივა დათმეს და კონტრშეტევების იმედზე დარჩნენ. მათი მარცხენა ფრთა ჰეგაზიმ თავისი სისწრაფის ხარჯზე რამდენჯერმე გაიტანა კიდეც, მაგრამ ტაიმი იუგოსლავიამ მაინც სამი ბურთით მოიგო, რაც მისი ცენტრის, სკრბიჩის (9 გოლი) დამსახურებაა.

შესვენების შემდეგ ეგვიპტის იუგოსლავიელმა მთავარმა მწვრთნელმა ვიშკოვიჩმა თანამემამულეების შეტევების გასაუვნებელი იარაღი ვერაფრით მოიგონა და მისი გუნდი მეოთხე ადგილს დასჯერდა, რაც მათთვის მაინც უდიდესი მიღწევაა.

**ფინალი**

**საფრანგეთი 28:25 შვედეთი**

ძირითადი დრო 22:22

**საფრანგეთი: ომეიერი, მარტინი; ფერნანდესი (8), დინარი, ჟ. ჟილი, ბ. ჟილი (2), ნარსისი (2), ანკეტილი (3), გოლიჩი (2), რიჩარდსონი (3), აბატი (2), კაზალი (6)**

**შვედეთი: გენცელი; ბოკისტი, ლოვგრენი (8), ვისლანდერი (4), ფრანდესიო (1), ვრანიესი (3), ანდერსონი (5), ერნელინდი (2), ერიკსონი (2)**

პარიზის სპორტკომპლექს „ბერსიში" კვირას გამართულ ფინალს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ლიონელ ჟოსპენი და სხვა უამრავი მაღალჩინოსანი დაესწრო. „ლურჯებმაც" იმედი არ გაუცრუეს [illegible]მულ ქომაგებს და ახალი საუკუნის პირველი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ გუნდურ სახეობებში.

„ეს უდიდესი სიხარულია. ბრწყინვალე მატჩი იყო. ძალიან, ძალიან ბედნიერები ვართ. ამაზე უკეთეს საჩუქარს დანიელ კონსტანტინი ვერც ინატრებდა" — თქვა ნამატჩევს ბატონმა შირაკმა. მისი ნაუბრის პირველი ნაწილი ადვილი გასაგებია, რაც შეეხება კონსტანტინის საჩუქარს, გეტყვით, რომ საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თანამდებობა დატოვა.

დანიელ კონსტანტინი ამ პოსტზე 1985 წელს მოვიდა და ფრანგული ხელბურთი ააღორძინა. „მანამდე საფრანგეთში ხელბურთი ფაქტობრივად არ არსებობდა. ის ხისმჭრელებს აიყვანდა და სამ წელიწადში მათგან არტისტებს აკეთებდა" — ასე შეაფასა კონსტანტინის ღვაწლი რუსთა დამრიგებელმა ვლადიმირ მაქსიმოვმა.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ფრანგები არ შეუშინდნენ და მთელი მატჩი მშვენივრად ჩაატარეს, განსაკუთრებით დაცვაში. დასტურად ისიც იკმარებს, რომ მაგნუს ვისლანდერმა ოდენ ოთხი გოლის გატანა მოახერხა. და რომ არა ტყორცნების დროს უიღბლობა თუ უხეირობა, და პეტერ გენცელის ფანტასტიკური თამაში, მასპინძლები გაცილებით იოლად და დამატებითი დროის გარეშე მოიგებდნენ.

შვედეთი ფავორიტი იყო და მატჩი ზედმეტად თავდაჯერებულად დაიწყო, რისთვისაც მყის დაისაჯა. საწყისი 7 წუთი მან 0:4 წააგო. შემდეგ სტეფან ლოვგრენმა გამოიღო ხელი და მისი გარჯის წყალობით მე-16 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა — 7:7. თუმცა ცოტა ხანში წინ კვლავ საფრანგეთი გავიდა — 11:9. ტაიმის ბოლო ხუთ წუთში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა და შესვენებაზე მასპინძლები მინიმალური უპირატესობით გავიდნენ.

მეორე ოცდაათწუთეულში კონსტანტინიმ კარის დაცვა მარტინის ანდო, რომელმაც თავიდან შვედთა ტყორცნებთან ვერაფერი გააწყო და მეტოქეს პირველად მისცა წინ გასვლის საშუალება (12:13). ეს „ლურჯებისთვის" უძნელესი მომენტი იყო, რადგან პატრიკ კაზალმაც სწორედ ამ დროს მიიღო ტრავმა. მიუხედავად ამისა, მათ მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და წავიდა ბურთი-ბურთში თამაში, როცა წინ სულ შვედეთი იყო და საფრანგეთი სულ ათანაბრებდა. 22:21 იყო და რამდენიმე წამიღა რჩებოდა საფინალო სირენამდე, გრეგ ანკეტილმა დამატებით დროს რომ დააკისრა მსოფლიოს ჩემპიონის გამოვლენა.

პირველ ხუთ წუთში ლოვგრენმა კვლავ ორჯერ დააწინაურა „ყვითლები", მაგრამ ჟერომ ფერნანდესმა და მოედანზე სასწაულებრივ დაბრუნებულმა კაზალმა ორჯერვე გაათანაბრეს — 25:25. ბოლო ხუთ წუთში კი იმავე კაზალმა, ანკეტილმე და ბერტრან ჟილმა „ლურჯებისთვის" ოქროს მედლები გამოჭედეს, რაშიც მარტინიც ძლიერ დაეხმარათ, რადგან სერბული წარმოშობის ვრანიესს პენალტი არ გაატანინა.

„უდიდესი კმაყოფილება ვიგრძენი. ტურნირის განმავლობაში ბევრჯერ გაგვიმართლა, მაგრამ ახლა ჩვენი გამართლების ჯერი იყო. საოცნებო ფინალი იყო, ბოლოს და ბოლოს როდესმე ხომ უნდა მოგვეგო შვედეთისთვის ოფიციალურ მატჩში. ნამდვილად საუკეთესონი ვიყავით, რადგან ცხრა მატჩიდან ცხრავე მოვიგეთ. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვართ" — ასეთი იყო დანიელ კონსტანტინის ბოლო სიტყვები საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე.

**ბაბი ბურული**



AFP მარი ზიდან

ფრანგი ბერტრან ჟილის ამ ტყორცნას მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო გოლი მოჰყვა

**5-8 ადგილისთვის**

**ესპანეთი 24:23 უკრაინა**

**რუსეთი 33:29 გერმანია**

**მატჩი მე-5 ადგილისთვის**

**ესპანეთი 40:38 რუსეთი**

ძირითადი დრო 35:35

**მატჩი მე-7 ადგილისთვის**

**უკრაინა 30:24 გერმანია**

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ სამველ ღარიბიანს მამის არამაის ღარიბიანის გარდაცვალების გამო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge